

საერთო გაზეთი

№20 (570) • 15 ივლისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღასი 1 ლარი

რა ამოიღო ბიძინა ივანიშვილმა ჯიბიდან და რა ჩაიღო?!



მივმართავ იმ ნაცარქექიებს, რომლებიც ამტკიცებენ, ბიძინა ივანიშვილმა მთელი საქართველო ჯიბეში ჩაიღო: თქვენ, უმადურნო, ახლა მე ჩამოგითვლით ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულ საქმეებს და იქნებ ერთზე მაინც მომწეროთ ან დამირეკოთ, რომელი ჩაიღო ჯიბეში?



რა უნდა ჩვენგან ამერიკას?



მოუხმობლების შესახებ



რატომ უნდა მოიხვანონ გორალებმა ატაში და ვაჟლი, როცა არგენინიდან უფრო იაფად შეამოვიზანო?

კახა ბენდუქიძე 2008 წ.

კახი, როგორღაც საქართველო გაყიდა



სიცოცხლეშივე მიტოვებულ შაქარას ნუთუ სიკვდილის შემდეგაც მარტო დატოვებენ მკვლელების პირისპირ?

სანტექნიკოს გელა ზაძელაშვილის აღსარება

კატეგორიულად ვითხოვ, შემიჩერდეს ჟურნალისტის კვალიფიკაცია და მომენიჭოს სანტექნიკოსის სტატუსი



ვინ და რატომ მოკლა პროკურორი კაატა ტყეშელაშვილი?

გაზეთი გაზეთში!

სსფუ დრო

საქართველოს მნიავრთა ეროვნული აკადემიის გაზეთი
N3 (8). 15 ივლისი, 2020 წ.

მოუხმობლავის შესახებ

პანტანო ხარჩილაძე:

„საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილს „უსამშობლობის ტრაგედია“ დიდი გამოხმაურება და მოწონება მოჰყვა.

არადა, როცა ამ წერილს ვწერდი, ვშიშობდი, იქნებ საზოგადოებას სწორად ვერ გაიგოს ის, რისი თქმაც მინდოდა და წერილისთვის წამდგარებულ, ცოტა არ იყოს მკვანძედ და ხისტად ნათქვამ ფრაზას — „ვიორგი შაქარაშვილი მოვკალით ჩვენ, ყველამ ერთად და ყველამ ცალ-ცალკე“, რომელიც, ფაქტობრივად, წითელ ხაზად გასდევს მთელ წერილს, საზოგადოების მხრიდან ასევე მკვანძედ და ხისტი რეაქცია არ მოჰყოლოდა.

ჩემდა გასაზარად, ჩვენმა მოქალაქეებმა აბსოლუტურად ზუსტად და სწორად გაიგეს ამ წერილის პათოსი, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა: ჩვენ გვყავს შესანიშნავი საზოგადოება, განათლებული, გონიერი, წიგნიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოება, რომელიც პასუხისმგებლობას გრძნობს ყველაფრის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდება.

ბედნიერად გაკვირვებული და გაოცებული ვარ ამ დიდებული საზოგადოების „ადმოჩინით“, ბედნიერად გაკვირვებული და გაოცებული ვარ და იმავე დროს ცოტათი შეცბუნებულიც: — როცა ქვეყანას ასეთი საზოგადოება ჰყავს, როცა ქვეყანას ამდენი გონებადამჯდარი, წესიერი, კულტურული და განათლებული მოქალაქე ჰყავს, რატომ იგრძნობა ქვეყანაში ასე მძაფრად ინტელექტის სიდუხჭირე, აზროვნების და ანალიზის დეფიციტი?

რატომ ისმის უგზურთა და უმეცართა როყიო ხმა ასე ხმა-მადლა და რატომ არ ისმის ამ საზოგადოების ხმა ჩვენი ტელევიზორებიდან, ჩვენი გაზეთების ფურცლებიდან, სოკობივით მომრავლებული ინტერნეტ გამოცემებიდან, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ტრიბუნებიდან?

მერე კი გვიკვირს რატომ არის ამდენი აგრესია ქვეყანაში რატომ არის ახალგაზრდებში ამდენი სი-

ბული, ამდენი დაუნდობლობა და სისასტიკე?

ახალგაზრდობა თითქოს დაბალი ღობეა, ისე გადაალაჯებენ ხოლმე, ისე წამოუთაქებენ თავში, თითქოს მხოლოდ ისინი არიან ცუდები, ესენი კი კარგები, და იმდენად კარგები, რომ მათი განსჯის და გაკიცხვის უფლება აქვთ.

არადა, ისინი ისეთები არიან, როგორებიც გაზარდეს. ისინი ისეთები არიან, როგორებიც იყვნენ და როგორებიც არიან მათი უფროსები, რომლებიც აგერ, ახლახან, 90-იან წლებში, ავტომატებით დარბოდნენ და ისეთი აზარტით, ისეთი მონდომებით და ენთუზიაზმით ზოცავდნენ ერთმანეთს, გეგონებოდა, საქართველოსი კი არა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დატაკებული სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები არიანო.

მე მინახავს მათ მიერ დაღწეული, დანგრეული და გადამწვარი რუსთაველის პროსპექტი, მინახავს მათი ტყვეობით და ჭურვებით ჩამოსხეპილი ჭადრები, საცეროვით დაცხრილული შენობები...

ნამდვილი კომმარი... ნამდვილი სასაკლაო... ქართველთა მიერ საკუთარ ქალაქში მოწყობილი ჯოჯოხეთი.

ჩვენ გვიკვირს და აღშოთებულები ვართ, რომ 21-ე საუკუნის ოციან წლებში, უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიციების ქვეყანაში, მის დედაქალაქში შესაძლებელი ხდება, ერთმანეთს ბრძოლა გაუმართოს დედაქალაქის ორმა უბანმა „ნახალოვკამ“ და საბურთალომ და „მტრის“ დასამარცხებლად მამუელ რაზმებს უხმონ და ეს რაზმებიც, „ტოიოტებზე“ და „მერსედებზე“ ამხედრებულნი, მყისვე მიემართებიან „თანამემამულეთა“ სამველად ერთი რაზმი კი მეორეს გაეკიდება და მანამდე მისდევს, სანამ „მტერი“ არაგვში არ გადაიჩეხება.

„ძღვეაი საკვირველი“, აი, ამას ჰქვია...

ერთი რაზმისთვის ნახალოვკაა „სამშობლო“, მეორესთვის — საბურთალო — დაპატარავებული, მუნიციპალურ სახლურებში მოქცეული, ლოკალური სამშობლო.



მაგრამ სად არის ერთიანი, დიდი და დიდი სამშობლო, ყველასთვის საერთო სამშობლო, რომელსაც საქართველო ჰქვია?

არაგვის ნაპირებთან გამართული „ნახალოვკა“ — საბურთალოს „ომის“ ამბავი გვაშფოთებს და გვაოცებს, მაგრამ ის დაგვაიწყნად როგორი დათარეშობდნენ ამ ოცდაათი წლის წინათ საქართველოში ქართული ბანდორომირები, რომლებიც ქართული სახელმწიფოს სახელით საოცარი სისასტიკით უსწორდებოდნენ ქართველებს.

მე ისიც ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ამხნევედნენ, როგორ აქეზებდნენ ამ ბანდორომირებს ერის „სასახელო“ შვილები, მათ შორის, თქვენ წარმოიდგინეთ და ხელოვნების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მწერლები, პოეტები.

ამ „ერისკაცებიდან“ დღეს ბევრი ცოცხალი არ არის, მაგრამ ვინც დარჩა, იმათ მინდა ვუთხრა: მიმიფურთხებია მე თქვენი პოეტობისთვის, თქვენი მწერლობისთვის, თქვენი ჟურნალისტობისთვის, თქვენი ხელოვნებისთვის, თქვე ფარისევლებო და ავაზაკებო.

მე კი მიმიფურთხებია, მაგრამ საქართველო, ქართული სახელმწიფო დღემდე სათუთად ინახავს მათ „ნათელ“ ხსოვნას, ხოლო ცოცხლად დარჩენილებს დიდ პატივში ამყოფებს.

ამასწინათ ამ ეროვნული უბედურების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, ერთ-ერთი ტელევიზიის კერძიდან ეროვნული გმირიც კი უწოდეს.

ოცდაათი წელი გავიდა იმ დროიდან, მაგრამ არაფერს არ



დარქმევია თავისი ნამდვილი სახელი, არაფერს არ მისცემია ზუსტი და პირუთენელი შეფასება.

ყოველივე ამის შემდეგ გვიკვირს, სად გაქრა „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ და, საერთოდ, სად გაქრა, ვინ გააქრო, ვინ ამოფხიკა ჩვენი ლექსიკონებიდან ეს დიდი სიტყვა „სამშობლო“?

— ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენ ქართველებად არ ვზრდით ჩვენ შვილებს, ჩვენ საქართველოს მოქალაქეებად არ ვზრდით ჩვენს ახალგაზრდა თაობებს-მეთქი, ვთქვი ჩემს წინა წერილში.

კი მაგრამ, როგორ და რანაირად უნდა აღიზარდონ ქართველებად ჩვენი შვილები იმ ქვეყანაში, სადაც ერთმა თქვა: „მე ვარ ქართველი, მამასადამე, მე ვარ ევროპელი“, მეორემ ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა და და მამის სახელი ამოვიშალა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან, მესამემ — „სამშობლო არ ვიცი მე — მთავარია ჩემი შვილები თავისუფალ ადამიანებად გაიზარდონ“, მეოთხემ თვალეები გადაატრიალა და რა არის ეროვნული ცნობიერება? რას ნიშნავსო? — გაკვირვებულმა იკითხა.

მთელი პრობლემა იმაშია, რომ ამ ოთხთაგან ერთიც, მეორეც, მესამეც და მეოთხეც რიგითი მოქალაქეები კი არა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეები იყვნენ.

იმ ქვეყანაში, სადაც ასეთები და ამნაირები სახელმწიფოს მთავარი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის, თავკაცები არიან, როგორ შეიძლება ახალი თაობის

ქართველებად აღზრდაზე ვილაპარაკოთ?

საოცარი საზოგადოება „აღმოვაჩინე“-მეთქი, ვთქვი წერილის დასაწყისში.

ეს ის საზოგადოებაა, რომელსაც ხანდახან მოუხმობლებსაც ვეძახით.

მოუხმობლებს იმიტომ, რომ მათთვის არასოდეს არც ერთ ხელისუფლებას არ მოუხმია და გვერდით არ ამოუყვინებია.

მხოლოდ ერთადერთხელ, 2012 წელს გამოჩნდნენ ისინი ასპარეზზე და მერე ნელ-ნელა სადღაც გაქრნენ და გაუჩინარდნენ, მათი ადგილი კი ისევ უსახო, უწარსულო, უბიოგრაფიო ადამიანებმა დაიკავეს. არადა, სინამდვილეში, ქვეყანა მათ პროფესიონალიზმზე, მათ ინტელექტზე, მათ შეუპოვრობაზე, მათ პატრიოტიზმზე, მათ ქართველობაზე დგას.

ისინი არ არიან ცოტანი, მაგრამ არც ისე ბევრი არიან, რომ ამდენ ხეობებს და რეგვენს რიცხვითობით აჯობონ.

სტატისტიკური სამსახურები ზუსტად აღრიცხავენ ხოლმე რამდენი ტონა კარტოფილი მოვიწიეთ, რამდენი კიტრი და პამიდორი შევჭამეთ, რამდენი ლიტრი ღვინო ჩამოვასხით, ერთ სულ მოსახლეზე რამდენი პური, რამდენი წიწიბურა და მაკარონი მოვიხმარეთ, მაგრამ სტატისტიკა არაფერს ამბობს იმაზე, ერთ ჭკვიან, გონიერ და წესიერ ადამიანზე რამდენი უგზური და ბრიყვი მოდის.

ასეთი სტატისტიკა არ არსებობს, სამაგიეროდ, არსებობს არჩევნები, რომელიც მთლად ზუსტად თუ არა, ზოგადად მაინც გვიქმნის წარმოდგენას, თუ როგორი თანაფარდობაა ჭკვიანებსა და ბრიყვებს შორის, გონიერებსა და უგზურებს შორის.

არჩევნები ახლოვდება... ვნახოთ, ვინ მოუხმობს მოუხმობლებს და ვინ „აღმოაჩინს“ იმ დიდებულ საზოგადოებას, რომელსაც ერის საუკეთესო ნაწილი ჰქვია და, როგორც ვთქვით, რომლის მხრებზეც დგას ეს ქვეყანა.



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშაძის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სბ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ან ორის ვალდებით. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ინფორმაცია შპს „საგამომცემლო ცენტრი“: თბილისი, აგლაძის 39

ამას წინებზე ერთმა ცნობილმა ადამიანმა (პროფესორმა სოსო სიგუამ) „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ბიძინა ივანიშვილის ფოტო დალო და იქვე მიაწერა: „ღირსეული ქველმოქმედი“.

უცებ გამოხტა ვიდეოც, ვისი გვარ-სახელი თუ ვინაობა არაფერს გვეუბნება და დიდაქტიკური რეპლიკა ისროლა: „სამაგიეროდ ჯიბეში ჩაიღო მთელი საქართველო“!

სხვათა შორის, ფრანზა – ბიძინა ივანიშვილმა რომ ჯიბეში ჩაიღო მთელი საქართველო, ბოლო დროს ხშირად მესმის.

სანამ იმის ჩამოთვლაზე გადავალ, თუ რა ჩაიღო ივანიშვილმა ჯიბეში, 2012–2013 წლების ამბავს გავიხსენებ: ალბათ გახსოვთ, საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრი და შემდგომში პრემიერ-მინისტრი ხშირად მართავდა გაფართოებულ პრესკონფერენციებს, სადაც სხვა ჟურნალისტებთან ერთად მეც ვსვამდი შეკითხვებს. ამას მოჰყვა ჩემი შეხვედრა ბატონ ბიძინასთან. რასაკვირველია, ჩემს ნაცნობ-მეგობრებსა თუ უცნობებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ეს ამ-

ვანი, იქით დაიწყებენ ხვეწნას. არ დაიჯერებთ, ერთი გურული მყავს საკუთარი თვალთ ნანახი, კერძო გამსესხებლებს ხეს სთავაზობდა, გირაოში ჩაიდებ, იმ თვის ბოლოს ბიძინა ვიდულობს, ეგ ამბავი გადაწვეტილიაო. მასეთი ქლიავიც არავინ აღმოჩნდა, რომ ხეში ფული ჩაედო, მაგრამ როგორც მითხრეს, ასეთები ბევრნი იყვნენ.

ახლა კი მივმართავ იმ ნაცარქექებს, რომლებიც ამტკიცებენ, ბიძინა ივანიშვილმა მთელი საქართველო ჯიბეში ჩაიღოო: თქვენ, უმადურნო, ახლა მე ჩამოგივლით ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულ საქმეებს და იქნებ ერთზე მაინც მომწეროთ ან დამირეკოთ, რომელი ჩაიღო ჯიბეში, რომელი არ გაჩუქათ, რომელი არ ჩააყენა ხალხის სამსახურში?

11. ჯანსუღ კახიძის მუსიკალური ცენტრის ჩაუტარა სრული რეკონსტრუქცია,

12. ოპერისა და ბალეტის თეატრს სრული რეკონსტრუქცია,

13. განაახლა და სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზს (ფილარმონია),

14. შოთა რუსთაველის თეატრს ჩაუტარა სრული რეკონსტრუქცია,

15. მარჯანიშვილის თეატრს ჩაუტარა სრული რეკონსტრუქცია,

16. გრიბოედოვის თეატრის სრული რეკონსტრუქცია,

17. თავისუფალი თეატრის სრული რეკონსტრუქცია,

18. მოზარდმაცურებელთა თეატრი,

19. თუმანიშვილის თეატრი,

20. მარიონეტების თეატრი,



რა ამოიღო ბიძინა ივანიშვილმა ჯიბიდან და რა ჩაიღო?!



ბავი და დამიდგა კიდევაც რიგები – მირეკავდნენ, მაკითხავდნენ, ზოგი მარცხნიდან მივიღა, ზოგი – მარჯვნიდან, წერილები მოჰქონდათ, გადავიკითხე. რამდენიმე მისაყვებულს კიდევ, ბიძინა ივანიშვილთან ასე ახლოს თუ იყავი, რატომ გვიმალავდიო? კი ვიძახდი, არ ვარ მე ის კაცი, თავი დამანებეთ-მეთქი, მაგრამ განა ესმოდა ვინმეს?

მოკლედ, უკვე გითხარით, დამიდგა-მეთქი რიგები, ყველას რაღაც ჰქონდა გასაყიდი, ყველას რაღაც ჰქონდა გასასაღებელი, ყველას რაღაც ჰქონდა სათხოვარი, ყველას ჰქონდა სურვილი, რომ ბიძინა ივანიშვილს აუცილებლად უნდა წაეღო მათ მიერ შემოთავაზებული, ანუ ჩაეღო ჯიბეში და გადაეხადა ფული.

რომელი ერთი ჩამოვთვალაო? მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, ყველას უნდა, რომ რაღაც მიჰყოლოს... ყველას უნდა, რომ ჯიბეში რამე ჩაუღოს და კაი ხეირი ნახოს. ახლა წარმოიდგინეთ, მე რომ ამდენი დარტყმული მაწუხებდა, ჩემზე უფრო დაახლოებულებს რამდენი შეაწუხებდა?!

იცით, ამის რის თქმა მინდა? ძალიან ბევრი არაფრის მაქნისი, ცხოვრებაში ერთი ხე რომ არ გაუხარებია, მისდგომია ბიძინა ივანიშვილს და ლანძღავს, ამანაო, ამ ოლიგარქმაო, მთელი საქართველო ჯიბეში ჩაიღო. ამ დროს რომ ჰკითხო, რამე ხომ არ გაქვთ გასაყიდი, სახლი, მიწა ან ხე, ბიძინამ უნდა იყიდოსო, ჯიბეში უნდა ჩაიღოსო, სიხარულით ცას ეწე-

მამ ასე, ბიძინა ივანიშვილმა:

1. ააშენა სამების ტაძარი,
2. გაარემონტა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა თსუ-ს 1 კორპუსი,
3. გაარემონტა კონსერვატორია,
4. გაარემონტა სამხატვრო აკადემია,
5. გაარემონტა პირველი კლასიკური გიმნაზია,
6. ააშენა საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი,
7. ააშენა ფრანგული სკოლა,
8. საქართველოში ააშენა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა 36 სკოლა,
9. გაარემონტა 400-ზე მეტი სკოლა,
10. აღდგა და რესტავრაცია ჩაუტარა 540 ტაძარს და ძეგლს (აგრეთვე კაცხის მონასტერს, ვარძიას, მცხეთა – სვეტიცხოველი, გერგეტის სამებას, უფლისციხეს და ა.შ.);



21. მუსიკისა და დრამის თეატრი,

22. მსახიობების ხელფასით უზრუნველყოფა,

23. ააშენა ბათუმის დელფინარიუმი,

24. ბათუმის ზოოპარკი,

25. ბათუმის ეშმაკის ბორბალი,

26. გასართობი ცენტრი „ციცინათელა“,

27. სიღნაღის სრული რეკონსტრუქცია,

28. ბაკურიანის საბაგირო გზა,

29. საქართველოს ეროვნული მუზეუმი,

30. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი,

31. იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმი,

32. აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი,

33. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი,

34. თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი,

35. ებრაელთა მუზეუმი,

36. დააფინანსა 20-ზე მეტი მუსიკალური ანსამბლი,

37. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,

38. ბოტანიკური ბაღი,

39. 2004–2007 წლებში მინისტრების დეპუტატებისა და ა.შ. პირების ხელფასები,

40. დააფინანსა სტიქიით დაზარალებულები,

41. უამრავ ადამიანს უფასოდ უმკურნალა და არაერთ სტუდენტს აფინანსებს საზღვარგარეთ.

42. საერთაშორისო აუქციონებზე შეიძინა ფიროსმანის რამდენიმე ნახატი და მუზეუმს გადასცა საჩუქრად.

43. ქართული ჯარის ყაზარმების რემონტი და ხელფასები,

44. საპატრულო პოლიციის სრული ეკიპირება და დაფინანსება,

45. სოფელ ჭორვილის მოსახლეობისთვის სახლების მშენებლობა და მათთვის ყველანაირი დახმარება,

46. ურეკის დიდი საკონცერტო დარბაზის მშენებლობა,

47. ძველი თბილისის რეაბილიტაცია,

48. გორი-ჭიათურა-ზესტაფონი ტრასაზე ასფალტის დაგება,

49. თბილისი-ზაშურის ავტობანის თანადაფინანსება,

50. ქუთაისის ძველი უბნის რეაბილიტაცია,

51. საპატრულო პოლიციისთვის ავტომობილების შექმნა,

52. საჩხერისა და გორის სამხედრო ბაზების მშენებლობა,

53. ყველა სარაგბო სტადიონის მშენებლობა,

54. რაგბის ნაკრების დაფინანსება,

55. საფეხბურთო ცენტრი „ბასა“,

56. თბილისის კანალიზაცია,

57. აშენდა და გარემონტდა საჩხერისა და ურეკის კულტურის სახლები,

58. აშენდა ბოტანიკის ინსტიტუტი,

59. პოლიციის შენობები,

60. ფინანსდება ისტორიული საბავშვო ჟურნალი „დილა“,

61. განაახლა ბაკურიანისა და საჩხერის კინოთეატრები და ხელოვნების სახლები,

62. საერთაშორისო ტურნირებისა და ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის ეკიპირების შესამენად და ხელფასებისთვის წლების განმავლობაში ფინანსდება 14 სპორტული ფედერაცია და 6 სპორტული კლუბი,

63. ათი ათასობით წიგნი საჩუქ-

რად გადაეცა საქართველოს ეროვნულ, მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს,

64. წლების განმავლობაში სოციალურ დახმარებას სისტემატურად იღებს ხელოვნებისა და სპორტის 500-ზე მეტი მოღვაწე.

ჯამში ბიძინა ივანიშვილმა გაიღო 3 მილიარდი დოლარი და აგრძელებს ქველმოქმედებას. ამ სიაში არ არის ზეიად გასახურდიას სახლ-მუზეუმი ზიბულაში, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოკლეს. ბიძინა ივანიშვილმა არა მხოლოდ მუზეუმი გააკეთა, არამედ ეს სოფელიც ააყვავა – გაიყვანა წყალი, გაზი, დააგო ასფალტი და ასე შემდეგ. ამ სიაში ასევე არაფერია ნათქვამი აბასოუმანზე, სადაც ბიძინა ივანიშვილმა სასწაული ჩაიღინა, იქაურები ლეგენდებს ყვებიან. არაფერია ნათქვამი წყალტუბოზე, სადაც იგივეს აპირებს. არაფერია ნათქვამი მთაწმინდის ფერდობზე, სადაც გამწვანება-გაყვითლობილებას აპირებს. არაფერია ნათქვამი იპოდრომის ტერიტორიაზე, სადაც დასასვენებელი პარკის მოწყობას და მერე „ჯიბეში ჩაიდებს“ აპირებს. დარწმუნებული ვარ, სანამ ეს წერილი გამოქვეყნდება, მისი რამდენიმე მსგავსი იდეა კიდევ გაგრცხვდება. რედაქტორს ვთხოვ, სანამ სტამბაში გაზეთს გაუშვებს, გადაამოწმოს და ჩაამატოს. ამ შემთხვევაში ვხუმრობ, მაგრამ ნათქვამია, ისეთ ხუმრობას რა ეუთხარო... თუ როგორც არის.

ბელა ზემელაშვილი
555 48 48 61



გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, ბოლო პერიოდში ამერიკელი კონგრესმენებისგან არ წყდება ხელისუფლების მისამართით კრიტიკული სახის წერილები. როგორ ფიქრობთ, რა უნდა ამერიკას?

— თავად, ეს კითხვა: რა უნდა ჩვენგან ამერიკას, „ობივატელისთვის“, თითქოს, ბუნებრივია, მაგრამ მეორე მხრივ, იმ ადამიანებისთვის ვისაც პრეტენზია აქვთ რომ თავიანთი განათლებით, ინტელექტუალური მდგომარეობით უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, ეს კითხვა მრავალ ასპექტს შეიცავს. შეიძლება კვლევები ჩატარდეს და დიდი წიგნიც კი დაიწეროს თუ რა უნდა ჩვენგან ამერიკას. მოკლედ რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ რამდენიმე განაცხადა სურვილი პრო-დასავლური კურსი აერჩია. პირველ რიგში, ეს იყო ბალტიისპირეთი,

ვითხოვეთ: მოდი, დაგვეხმარე, რათა დემოკრატიული სახელმწიფო გავხდეთ და ისე ვიცხოვროთ, როგორც ევროპაში ცხოვრობენო. მეორე მხრივ, რა გამოდის: ფართო მასას გვინდა ისე ცხოვრება როგორც ევროპაში ცხოვრობენ, მაგრამ მუშაობა, უნარ-ჩვევები ისეთივე გვაქვს როგორც თავის დროზე თურქეთის, სპარსეთის, რუსეთის ბატონობაში გვექონდა. დასავლეთმა დაიწყო ჩვენი დახმარება. დღეს, ყველა ითვლის: ვის, რამდენი ფული აქვს, რომელმა პარტიამ რა მიიღო, მაგრამ არავის შეუწუხებია თავი დაითვალოს: ამერიკამ და ევროპამ, დახმარების სახით, საქართველოში რამდენი

სანქციები დაგვიწესა, გამოყოფილი დახმარებიდან 20 მილიონი ლარი შეიძლება გაგვიყინონ. ამას რით ახსნით?

— მოდით, ვთქვათ: რა არის ამერიკის კონგრესის მთავარი საქმიანობა? ხშირად, ჩვენთან, ორივე პალატას კონგრესს უწოდებენ, მაგრამ ამერიკაში მიღებული ასე: კონგრესი არის ქვედა პალატა, ზედა პალატა — სენატი. ისინი ფულს ითვლიან. კონგრესმენის მთავარი დანიშნულება ეს არის: დაითვალოს სად იხარჯება ხალხის ფული. ანუ, ამერიკის გადასახადის გადამხდელთა ფული. ეს თანხა საქართველოში, სომხეთში, მოლდოვაში დემოკრატიის, თავი-



რა უნდა ჩვენგან ამერიკას?



საქართველო და განსხვავებული ამპლიტუდით სომხეთი. უკრაინაში იყო რყევა — ნახევარი უკრაინა, ძირითადად, დასავლეთის მხარე პრო-დასავლური იყო, აღმოსავლეთ უკრაინა — პრო-საბჭოური და შემდგომ, უკვე, პრო-რუსული. აი, ასეთი გეო-სტრატეგიული რუკა შეიქმნა. რუსეთი არასდროს შეგვიკითხია: რა გვინდოდა — დასავლური თუ აღმოსავლური ცხოვრების წესი. თავად, საქართველო, იგივე: „ეროვნული მოძრაობა“ დასავლეთისკენ იხრებოდა. ზვიად გამსახურდიას წვლილი პრო-დასავლური კურსის აღებაში ძალიან დიდია. ზვიადი, თავიდან ფეხებამდე, პრო-დასავლელი იყო. მაშინ, უკვე, განმტკიცდა, რომ ჩვენი ადგილი დასავლეთში იყო. შემდეგ გაჩნდა ნატოს პრობლემა. კი ბატონო, დასავლეთში არის ჩვენი ადგილი, მაგრამ გაჩნდა კითხვა: იქამდე, რუსეთი გაგვიშვებს?! რუსეთმა აფხაზეთის, სამაჩაბლოს პრობლემების ინსპირირება მოახდინა. ამიტომ, ბუნებრივია, ერმა ალტერნატივის ძებნა დაიწყო და ასეთად, ნატო გამოჩნდა. მართალია, ნატო ვერ დაიკვეხნის, რომ მისი რიგების შევსება მხოლოდ-დამხოლოდ დემოკრატიული პრინციპების ერთგულების მიხედვით ხდებოდა. ამისთვის თურქეთის მაგალითიც კმარა. ერთი რამ ცხადი გახდა: დასავლეთი ქველმოქმედი არ არის. ჩვენიან გაიძახიან: დაგვანებოს თავი ამერიკამ, რატომ ერევა ჩვენს საქმეებშიო. ამ დროს, არ ამბობენ მთავარს — ამერიკას ჩვენს საქმეებში ჩარევა თავად

მილიარდი დოლარი ჩადო. დასავლეთში ფილანტროპები არ არიან. ისინი ამბობენ: თუ გინდათ ჩვენს ოჯახში მიგიღოთ, ამაში ხელს შეგიწყობთ, მაგრამ დახმარების მარგი ქმედების კოეფიციენტს გავაკონტროლებთ. დასავლეთი ამბობს: მილიარდებს რომ გაძლევთ, კეთილი ინებეთ და იმის უფლებაც მომეცით შევამოწმო: ეს მილიარდები სად მიდის, ხარჯვის ეფექტი რა არის. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ თუ დასავლეთი ერთი ხელით გვაკონტროლებს. როგორც სკოლის მოწაფეებს, ხანდახან, ყურსაც გვიწევს. აი, ეს, უკვე, ჩვენ აღარ მოგვწონს. ქართველები ვართ, რომელთაც დავით აღმაშენებელი და თამარი გვაყავდა. სხვა ქვეყნების მოსახლეობა ხეებზე რომ ცხოვრობდნენ, ჩვენ ბიბლიას ვთარგმნიდით, გელათი, „ვეფხისტყაოსანი“ გვექონდა, დიდი ისტორია გვაქვს. მახსოვს, 90-იანი წლების დასაწყისში უცხოელები რომ ჩამოდიოდნენ ვაკამთობლით: ჩვენი ისტორია საუკუნებს ითვლის, ამერიკას კი მხოლოდ სამასწლიანი ისტორია აქვს. სამაგიეროდ, ჩვენ, დემოკრატია გვაქვს, თქვენ — არა, ჩვენ, კარგად ვცხოვრობთ, თქვენ, ცუდად — გვახსუხობდნენ ამერიკელები. ამიტომ, ჩვენი ეროვნული ღირსება, სიამაყის შეგრძნება, მათთვის არაფერს წარმოადგენს. კი ძველი კულტურის პატრონი ხართო, მაგრამ დღეს, რა ხდება მნიშვნელოვანი ეს არისო.

— ბატონო სოსო, ამერიკამ

სუფლების განვითარებისათვის, ხალხის საბოლოო კეთილდღეობის ამალგებისათვის იხარჯება. იგივე, ამერიკის კონგრესი ერთ პაკეტში განიხილავს დემოკრატიასა და ხალხის ცხოვრების დონეს. ამიტომ, ცოტა მომთხოვნიც არიან. როცა გვეხმარებიან, მოგვწონს, მაგრამ როცა ამერიკა გვეუბნება: იცით რა, თქვენ, ამერიკის გადასახადების გადამხდელთა ფულს ანიავეთ, ჯიბეში იღებთ, ამიტომ ფულს აღარ მოგცემთ იმისთვის, რომ თქვენმა ორი წიგნის წაუკითხავმა დეპუტატებმა ევროპაში ისე ირთონ და იქედან, ვერაფერი გადმოიღონო, ამაზე ვბრაზდებით. დაახ, ამერიკა გვეუბნება: არ მოგცემთ ფულს იმისთვის, რომ თქვენმა მინისტრებმა წელიწადში სამჯერ მანქანები შეიცვალონ. ჩვენ ვიძახით: ვინ კითხავს ამერიკას აქ, რა კანონს მივიღებთო. ამერიკა გვეუბნება: კი ბატონო, არ გინდა, თავში ქვა გიხლია, მაშინ მე, დახმარებას ნუღარ მთხოვ. მე ხომ თქვენთან რუსეთით ვარს არ ვგზავნი, არამედ გეხმარებიო. ამერიკელები იგივე, კონგრესი თავის ბიუჯეტს აკონტროლებენ. ნეტავ, ჩვენი პარლამენტი ამის მეთოდს აკონტროლებდეს. აი ეს არის მთელი საიდუმლოება. უკანასკნელ ხანებში ამერიკელებს ბევრი რამ არ მოსწონთ. გამოსავალი არის უფრო ღიაობა. ზოგი კანონმდებელი ამბობს: ამერიკელი კონგრესმენები თავად კი არ აზროვნებენ, არამედ რასაც ქართული ოპოზიცია ჩას-

მახებს ყურში, იმას იმეორებენო. ამას ამერიკელები შეურაცხყოფად იღებენ. ელემენტარულია: დეგენერატი უნდა იყო, რომ ერთხელ მაინც არ დაფიქრდე: რად უნდა ამერიკას ამხელა საელჩო ერთი ციციქნა საქართველოში? ვინმემ იცის რამდენი თანამშრომელია აშშ-ს საელჩოში ან რით არიან დაკავებული? — ინფორმაციის შეგროვებით. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ამერიკელი კონგრესმენები და სენატორები თუთიფუშებივით არიან და რასაც ჩასძახებენ იმას ამოიძახებენ, ძალიან ცდება. ასე გამოდის, საერთოდ არ გვცოდნია რა არის ამერიკა, დასავლეთი. ამას შეიძლება მოჰყვეს ის, რაც იგივე, ბელორუსიანთან მიმართებით მოჰყვა. ლუკაშენკომ რამდენჯერ ათამაშა ერთი ადგილი — ხან პრო-დასავლელი იყო, ხან პრო-მოსკოველი, ორ სკამზე ჯდომა უნდოდა. მაგრამ რა მიიღო? — დღეს თუარა ხვალ, ბელორუსია დამოუკიდებლობას დაკარგავს. 9 აგვისტოც მოვა, არჩევნები ჩატარდება და ვნახავთ, რა მოხდება ბელორუსიაში. იქ, უკვე სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე დგას საქმე. ასე, რომ ამერიკელები რომლებმაც საქართველოში ბევრი ენერგია და სახსრები ჩადეს, სამართლიანად თვლიან: მათ აქვთ მორალური უფლება ჩვენს ხელისუფლებას მოსთხოვონ: ან თავი დამანებე და დახმარებას რომ შეგიწყვიტავ ნუღარ წუწუნებ, ან ისე მოიქეცი, რომ სტიმული მქონდეს ჩემი გა-

დასახადის გადამხდელს ვუთხრა: შენი ფული, საქართველოში, ქუჩაში კი არ იყრება, არამედ შედეგი მოაქვს. რას ნიშნავს შედეგი: იმას, რომ საქართველო იქნება დემოკრატიული, ანუ, დასავლური. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩვენს ოპოზიციას იმხელა გავლენა აქვს ამერიკელები დაარწმუნოს: საქართველო საშინელი გზით მიდისო, ცდება. ამ დროს, ეს ოპოზიცია თავის მოსახლეობას ვერ არწმუნებს შემდეგში: მმართველ პარტიას ვჯობივარ და ხმა მე მომეციო, ეს უკვე არაფერში აღარ ჯდება.

— დღეს, ამერიკას საკუთარი პრობლემები გასჭირვებია, ჩვენ როგორღა უნდა მოგვხედოს?

— ის, რომ დღეს ამერიკასა და ევროპას შორის რაღაც გაუგებრობა და კონფლიქტია, რაც ზოგჯერ მწვავე ფორმებსაც იღებს, ეს დროებითია. უარესიც ყოფილა. მახსოვს, როგორ დამეუქრა ინგლისი კენედის, რომ ნატოდან გავიდოდა. მაშინ რაკეტების — ტრაიდენტების მიყვანა კენედის ინგლისის უარი უთხრა. მერე, ვითარება დალაგდა. ტრამპი დღეს არის, ხვალ არ იქნება. უთანხმოება დროებითი, წარმავალია. მათი ინტერესები ორგანულად არის გადაკვეთილი.

აქვე, ერთსაც ვიტყვი: ჩვენი პარლამენტი იხილავს კანონს: ზღუდავს თუ არა მედია სიტყვის თავისუფლებას. უკვე შეიქმნა განწყობა, რომ ეს კანონი მედიას ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. ამ დროს, იგივე ამერიკის დადგენილებაში წერია მედიის თავისუფლების შესახებ. გახარიათ განაცხადა: ამ სფეროში წესრიგი უნდა დამყარდესო. შეიძლება ეს სიმართლეა, მაგრამ რა აუცილებელია ამ კანონის არჩევნების წინ მიღება. მოიცადოს პარტიამ და ეს საკითხი არჩევნების მერე განიხილოს, ხომ შეიძლება. რატომ აძლევს ოპოზიციას საბაბს ხმაური ატეხოს? ცეცხლის გარეშე კვამლი ხომ არ არსებობს? იყო დრო, როცა ბუში სააკაშვილს დემოკრატიის შექმნას უწოდებდა, მაგრამ არჩევნების დროს უთხრეს: მორჩა, უნდა დატოვო ხელისუფლება, ორი ვადა გვეოფაო. აქედან, ცოტა გაკვეთილები უნდა გამოვიტანოთ. მთელი უბედურება იცით რაშია: პირველი



სიხოსხლავი აკვლავთან გარემო დაბოვებულ გიორგი შაქარაშვილს ნუთუ სიკვდილის შედეგად გარემო დაბოვებენ იმავე აკვლავის პირისპირ?

იძლევა თუ არა ექსპერტიზის დასკვნა ორმაგი ნაქითხვის საშუალებას და ვის აფარებს ხელს ნაპროკურორალი გვარამია და მისი „საბამომიებლო კანტორა“?

ნაცემოდრობა და მისი „ას-კოლეგა“ რომ ყველა ტრაგედია-ს მხოლოდ ქულების დაწერის, ბიძინა ივანიშვილისა და მოქმედი ხელისუფლების ლანძღვის, გამოძიებისთვის თავგზის აბნევის საშუალებად განიხილავენ, ეს არაა ხალხი. იგივე მოხდა 19 წლის ფეხბურთელის, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის შემთხვევაშიც. როგორც ყოველთვის, ახლაც პოლიციელ-გამომძიებელ-ფურნალისტ და პლიუს „ნათელმ-ხილველის“ წამყვანი როლი, ნაპროკურორალი, ფორიკავიზიის ურეიტინგო კანტორის გამგემ, ნიკულა გვარამიამ იკისრა.

გვარამია ტაკიმასხარას და მის „კამანდას“ ადამიანური ტრაგედია რომ ძალზე ნაკლებად აღელვებს, ეს თავადვე არაერთხელ განაცხადა, თურმე გარდაცვლილის ოჯახის პოზიცია რა იქნება მათთან დაკავშირებით, არ აინტერესებთ, იმიტომ, რომ

ვევაში ისეთი „გონება“ და „ენა-მხვილი“ კომენტარი აქვს გაკეთებული, ენა ვერ აღწერს. მთავარი ისაა, რომ ნიკულასა და მის „რაზმს“, თურმე „ამაზე“ კიდევ ექნებათ მამტიციებული და მამხილებელი გამოძიებები. ალბათ ისეთი, „გრძნულ“ ნოდარა მელაძეს რომ ჰქონდა „ექსკლუზიური“ კადრები შემთხვევის ადგილიდან. ბრალდებულთა ადვოკატების მიერ ფურნალისტებისთვის გადაცემული მასალები, მათ შორის ოპერატიული და საგამომიებო სამსახურების მიერ გადაღებული ვიდეოკადრები, თურმე ექსკლუზივები ყოფილა.

ერთი ფრიად საინტერესო დეტალი, ნაციონალურის მმართველობისას რამდენიმე ე.წ. კანონიერი ქურდი მათ შორის, აკაკი ბილანიშვილი ნაცრეფიძის დასრულებამდე საქართველოში ცხოვრობდა, მაგრამ ამ კონტიგენტთან „ხმალამოღებულად“ მეტროლი

გამოვთქვა ამ ტრაგედიათა დაკავშირებით და თანაგრძნობა გამოვუცხადო გიორგი შაქარაშვილის ოჯახსა და ახლობლებს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ეს ბავშვი, აბა, სხვა რა დავარქვა 19 წლის ბიჭს, ასფიქსიით გარდაცვალა, წყალში დაიხრჩო, მაგრამ როგორ აღმოჩნდა მდინარეში? სავარაუდოდ, მას მაგრად სცემეს და წყალში გადააგდეს. არ დავმალავ, თავიდანვე რამაც გაამკვირვა, ეს იყო სამართალდამცავების, მათ შორის, გამომძიებლის გაურკვეველი საქციელი, უფრო ზუსტად, უმოქმედობა. საერთოდ, საქმის „გაფუჭება“ თუ უნდათ, ეს გამომძიებლის „კომპეტენცია“, მან უნდა გააფუჭოს, მაგრამ ოპერატიული შემადგენლობა რატომ იყო ასე უმოქმედო? გიორგი შაქარაშვილის ძებნა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, თუ არ ვცდები ოთხი დღე და სამართალდამცავებმაც ამ პერიოდის შემდეგ დაიწყეს მეტნაკლებად აქტიური მოქმედება. ისიც ჯერ არავის აკავებდნენ, თავიდან თითქოს მხოლოდ ჰკითხავდნენ, რას მიქვია ეს საქციელი, ბავშვი დაიკარგა, მოკლეს, როგორ შეიძლება ამის გაკეთება?! ვიძიებ, შესაბამის სტრუქტურებს უმოქმედობას ვამჩნევდი, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ საქმე „გაფუჭებისკენ“ მიყავდათ, მაგრამ მერე თითქოს რაღაც ძალა ჩაერია, რომელმაც ამ ასე ვთქვათ, ჩამინებულებს, თითქოს შეუძახა, რას აკეთებთ, სასწრაფოდ დაიწყეთ მუშაობა და ამათაც მოხვედრეს პირდაპირ ხელი და 17-ვე პირი გისოსებს მიღმა შეყარეს და დაიწყო ჭორების გაშვება. აბა საიდან აქვთ ინფორმაცია, ე.ი. ჭორებია. ისე, საქმის „გაფუჭება“ ზუსტად ჭორებიდან მოდის, ისე გაამაძინებენ ხოლმე საქმეს... ესენი 17-ვე ძალიან ახალგაზრდები არიან ხომ, მათ შორის არაა რულწლოვნებიც, ამ რია-რიაში ესენი თვითონვე დაეჭვდებიან მართ-



ლაც ჩაიდინეს თუ არა მომხდარი, აურდაურევენ ყველაფერს. ვფიქრობ საგამომიებო საქმეში ახლა დიდი დომხალია, თავსა და ბოლოს ვერ გაიგებ. ეს 17 კაცი კი ყავთ დაჭერილი, მაგრამ იმიტომ ყავთ, რომ საზოგადოებრივ აზრს უწვევენ ანგარიშს, რომელიც ძალზე აღშფოთებელია მომხდარით. ასე რომ არ იყოს, ზომ ნახეთ ერთსაც კი არ იჭერდნენ. სავარაუდოდ რაღაც მოხდა, ვიღაც აქტიურად ჩაერია, რომ საქმე დაძრულიყო. ათასი ჭორებიც დადის, რომ ერთ-ერთი მძალი „რანგის“ კრიმინალის შვილია მანდ გარეული, რომ ის კრიმინალი ახლა ვითომ არჩევნებისთვის ჭირდებათ და იმიტომ იქცევიან სახელისუფლებო სტრუქტურები ასე, მაგრამ ჩვენ ხომ არ უნდა დავიჯეროთ ნაცებისა და მათი რუპორების გამშვებელი ჭორები და შეფარული დეზინფორმაცია. ამ შემთხვევაში საუბარია კანონიერ ქურდ აკაკი ბილანიშვილზე, რომელიც თურმე „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნების მოგებაში უნდა დაეხმაროს. ცნობისთვის, ნაცზოვის მმართველობისას ეს ბილანიშვილი საქართველოდან არსად წასულა, ოთხი კანონიერი ქურდი იყო აქ, რომლებსაც იმისა და ნაცებს ბუზი არ აუფრენიათ და ერთ-ერთი ეს ბილანიშვილი (დაბადებული 1950 წელს) იყო. ნაცებმა თავიანთი „პუმანიზმი“ იმით გაამართლეს, რომ ვითომ ბილანიშვილმა ოთხი ბოთლი შავი ღვინო დალია, ტვინიში სისხლის გაფონვა დაემართა და ფაქტობრივად „ტრუპი“ იყო. არავითარი „ტრუპი“, „კაკო“ თავისით დადიოდა და თავსაც კარგად გრძობდა. მე თვითონ შევაგზავნე მასთან „დაზვერვაზე“ და ძალიანაც კარგად იყო. იყო მეორე ქურდი გოგია ჩიქოვანი (დაბადებული 1925 წ), მეტსახელად „პაპაშა“, რომელიც უკვე გარდაცვლილია (ჩიქოვანი 2013 წელს 88 წლის ასაკში გარდაცვალა — მ.ს.).

ბატონო დავით, ეტყობა ნაცები ბილანიშვილებს „დალატს“ არ პატიობენ და საქმეში „მძიმე არტილერია“ ჩართეს

ნაპროკურორალ გვარამიას სახით. საინტერესოა, „პაპაშას“ თუ ენათესავება ვახო ჩიქოვანი, რომელიც ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტად ჩანს ამ ტრაგედიაში და მის მკაცრად დასჯას ითხოვს გიორგი შაქარაშვილის ოჯახი.

ვახო ჩიქოვანი თუ ახლო ნათესავია, მაშინ „პაპაშას“ შვილიშვილი იქნება, თორემ მისი შვილი ჭკუადამჯდარი კაცია, ბიზნესმენია და საკუთარი ფირმა აქვს. ჩიქოვანიც თუ იყო გარეული, არ ვიცოდი. „პაპაშას“ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნაცხელისუფლებასთან, საერთოდაც, ქურდების უმძაღლეს „ემშელელებში“ გადიოდა. სააკაშვილის მმართველობისას ისიც საქართველოში იყო, ბილანიშვილი-ჩიქოვანის აქ ყოფნის მომსწრე თვითონ ვარ. ნაცები, როგორც სხვა ყველა საქმეში, აქაც ორმაგი სტანდარტით მოქმედებდნენ.

ყველა „კანონიერი ქურდი“, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს საქართველოში იყო და ციხეში არ იჯდა, მართლაც „შეკრული“ იყო ოფიციალურ სტრუქტურებთან. თავად დაფიქრდით, სოდა იცოდა რომ ოთხი კანონიერი ქურდი იყო საქართველოში, ბილანიშვილი, „პაპაშა“ ჩიქოვანი, იმ ორიდან ერთი მგონი, კერესელი იყო და ვერ აიყვანეს?! რამდენადაც მასსოვს, შაქარაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით დაკავებულებშიც ფიგურირებს კერესელიც. შეიძლება იმ ქურდის ნათესავიცაა. „პაპაშას“ არ აყვანას იმით ამართლებდნენ უკვე მოხუცობა, ბილანიშვილს კი, როგორც გითხარით, ტვინიში სისხლი ჩაექცა, სადაცაა გარდაცვლენა და რა გინდათ მისგანო. ეს როგორ, შენ ვინც გინდა იმას არ იჭერ, აქაც შერჩევითი სამართალი გაქვს? მიკვირს, თავადაც სპორტსმენებმა როგორ გაიმეტეს 19 წლის ფეხბურთელი და მოკლეს. რომელ კაცობასა და სპორტსმენობაში წერია, რომ ერთ ადამიანს, თუნდაც სამს 17 კაცი რომ ესხმის თავს. ესენი არიან თავზე ხელაღებული, უზნეო ადამიანები, იგივე




შაქარაშვილის ბიძას, ადვოკატ ნიკოლაძეს მოუხერხებია და ოჯახი „გვარამია და კომპანიის“ წინააღმდეგ აგრესიულად განუწყვტა. ეს მდარე „უნიკუმი“ ასკენის, რომ აღმატებული საჯარო ინტერესი შაქარაშვილის საქმეში თურმე არის ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედება და არა ის, თუ ვინ მოკლა 19 წლის ფეხბურთელი. გვარამიას ზუსტად ეს სიტყვები, რომ თურმე ხალხს არ აინტერესებს მკვლელის ვინაობა, იწვევს ეჭვს, რომ თავად ცდილობს მავანთა დაფარვას.

რაც შეეხება გიორგი შაქარაშვილის საქმეში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის ავთანდილ ბილანიშვილის, იგივე „კაწროს“ მონაწილეობას, რომელიც ბერა ივანიშვილის მეგობარი ყოფილა, ნაპროკურორალ გვარამიას თურმე სამი წყარო უდასტურებდა. ნიკულამ პოზიცია შეარბილა, „კაწრო“ თურმე მკვლელობაში კი არ მონაწილეობდა, არამედ საუბარი „საქმის ჩაფარცხვას“ შეეხებოდა. გვარამიას ამ კონკრეტულ შემთხ-

ნაცსეჭტა, მათ ვაგლახად არ შეხება. „საერთო გაზეთი“, კულის ყოფილი თანამშრომლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უკვე წერდა, ნაცრეფიძის დროს, ის ე.წ. კანონიერი ქურდები, რომლებიც არ გაქცეულან, არ გაუტყვებიათ და მოუკლავთ, ყველა „შეკრული“ იყო და თანამშრომლობდა მაშინდელ ხელისუფლებასთან. გამოდის, იგივე ბილანიშვილიც კარგ ურთიერთობაში იყო ნაცებთან, მამ რას მივაწეროთ ნაპროკურორალ გვარამიას „ზედამატებული“ ქოთქოთი, რაც ქმრის თუ საყვარლის მიერ ნაღალატევი მდებარის რეაქციის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს? ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება პროფესორი „ოპერატივნიკი“, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგინძე, რომელსაც გარკვეული პერიოდი ნაცების მმართველობისასაც მოუწია სამართალდამცავ სისტემაში მუშაობა.

დაპირით გაზნინებ: უპირველესად მინდა დიდ მწუხარებას



რა უნდა ჩვენგან ამერიკას?

← 7 გვ.

ოთხი წლის პარლამენტი და შემდგომი ოთხი წლის როგორც დღე და ღამე ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. მმართველი პარტია მაქვს მხედველობაში. ამერიკელებს რა, ანალიზის უნარი არ აქვთ? იქ, ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, რომელიც მართლ იმით არის დაკავებული: ანალიზებენ, ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებს ფულს რომ უხდიან და ეხმარებიან, ისინი საით მიდიან — პროგრესისკენ თუ რეგრესისკენ? როგორც კი რეგრესს შეაჩვენებენ, მაშინვე



განგაშს ტყუილს. ზოგიერთ ჩვენს მოქალაქეს ჰგონია, რომ ამერიკას უფრო სჭირდება საქართველო, ვიდრე პირიქით. ეს არის პრობლემა. იმედგაცრუება ტალღისებურად მოხდა — ჯერ შევარდნამ, მერე სააკაშვილი. აქედან, ვერც ერთმა გამოიტანა გაკვეთილები და ვერც მორეკამ. ამ ხელისუფლებას ჯერ აქვს დრო. პრემიერმა თქვა, რომ სასაიმოვნო არაფერია იმაში, რომ სანქციები დაწესდა. საგარეო საქმეთა მინისტრზე კომენტარიც შედგმულია. მაგრამ ეს, თურმე, ოპოზიციის ბრალია. თურმე, გიგა ბოკერიას შეუძლია თავის ჭკუაზე ათამამოს ამერიკის კონგრესის ორივე პალატა, მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ ვერ უხერხებს ვერაფერს. ამერიკელები გააბამულა და ამით ვერაფერს უხერხებს.

— ბატონო სოსო, ამერიკა მიგვიითხუთებს: ქვეყანაში ოლიგარქია შეამცირეთო. ამავე დროს, გვეუბნება: ოპოზიციას გაუფრთხილდითო. ეს რას ნიშნავს?

— მოვლენებს ყურადღებით ვადევნებ თვალს და მინდა გითხრა, რომ ამერიკას ოპოზიციისადმი სიმპათიას ვერ ვაჭყობ. ეს, ცოტა გაზვიადებულია. რაც შეეხება ივანიშვილის ფაქტორს, ამაში მთავარი დამნაშავე პარტიაა. როცა „ქართული ოცნების“ მორეკამის წევრები ამბობენ: ივანიშვილია ყველაფერი, ამას ამერიკაში სხვანაირად აღიქვამენ. ორ სკამზე ჯდომა არ გამოვა. ვიძახით: ჩვენი ადგილი დასავლეთშიაო, მაგრამ თავად დასავლეთს ვერ ვაჯერებთ, რომ ჩვენი ადგილი იქ არის. ამას ღრმა დასკვნები სჭირდება. აქვე, ერთი რამ უნდა გაეთვალისწინოთ: შინაგანად ამერიკელები ძნელად ეგუებიან რომელიმე პარტიის მესამე ვადას. ეს მხოლოდ რუსულ ტყუილს შემთხვევაში მოხდა. მერე, კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანეს, რომ მესამე ვადით არჩევა აღარ შეიძლება. ლეგიტიმურია ორი ვადა. მესამე ვადა დემოკრატიული არ არის.



— მაგრამ ვის მოიაზრებენ ჩვენს ხელისუფლებაში, „ნაცმოპრაობის“ ცხრა წელიც ზომ იციან რაც იყო?

— უბედურება იცი რა არის, ეს არის ამერიკელების ტრაგედია, რაც ზშირად უარყოფით შედეგს იძლევა. თავის დროზე კონდოლიზა რაისმა თავი მოიკლა, რომ როგორმე პაკისტანში მუშარაფი თავიდან მოეშორებინათ. მოიშორეს კიდეც. მუშარაფი პრო-ამერიკელი იყო. რა მიიღეს? — ქაოსი. იგივე, ავღანეთის პრობლემები პაკისტანიდან მოდის. ამერიკა თვლის: თუ დემოკრატიაა, მაშინ არ შეიძლება ერთი ადამიანი ქვეყნის

სათავეში დიდხანს იყოს, იგი უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამის მერე რა იქნება, ამაზე ფიქრით ამერიკელები, უკვე, თავს აღარ იკლავენ. იგივე, მოხდა ერაყში. ეშველა ერაყის იმის გამო სადამ ჰუსეინი რომ გადააგდეს? იგივე, მუამარ კადაფი რომ გადააგდეს, ეშველა ლიბიას? სწორედ, ლიბიისგან ზდება მთელი უბედურება — ევროპა ლტოლვილებით გაივსო. ერაყში, დღესაც, სამოქალაქო ომია. ამერიკელებს ეს ბზიკი ჰყავთ თავში — ერთი ადამიანის მმართველობაში დიდხანს ყოფნას დიქტატურად მიიჩნევენ. დიქტატურა ნუ იქნება და ქაოსი ჯობია — ასეთია მათი პოზიცია. გაუაწყლები და ნელ-ნელა წესრიგი დამყარდება. მაგრამ როგორია 20–30 წელი ქაოსში ყოფნა. აბა, ერთი ჩადით ლიბიაში და მოსახლეობას ჰკითხეთ: მოსწონთ ამერიკელების საქციელი? ანდა, ერაყში და პაკისტანში იკითხეთ: რამდენად მოწონს ხალხს ქაოსი და უბედურება. ჩვენ, მაღლობა დემეროს ამ სცენარებიდან შორს ვართ.

— საქართველოს რას უპირებენ?

— მთავარი იცით რა არის: ამერიკელები თვლიან, რომ საქართველოს შანსი ეს არის არჩევნები. ამერიკელების გადმოსახედიდან საქართველოსთვის ეს უკანასკნელი შანსია. კი, არჩევნების მერე იქნება ათი პარტია, რასაკვირველია, ქაოსიც, როგორც ევროპის მაგალითია. ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ავირჩიეთ და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ — ერთი პერიოდი შეიძლება იყოს ქაოსიც. თავად ხალხზე დამოკიდებულია რა მოხდება. ბოლოსდაბოლოს ქართული ხალხი ერაყელებისა და ლიბიელებისაგან განსხვავდება. ჩვენ სხვა კულტურა და სხვა გენები გვაქვს. ამიტომ, ამერიკელები თვლიან, რომ ეს საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის გადამწყვეტი იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24



სისოუსლუპივა მკვლელებთან მარტო დაბოვებულ ბიორგი შეაჩაპვილს ნუთუ სიკვდილის შეშლავს მარტო დაბოვებენ იმავ მკვლელების პირისპირ?

← 5 გვ.

უნდა თქვა მათ ოჯახებზე, იმიტომ, რომ შეიღი არის შენი ოჯახის სარკე. რაღაცა მხეცური ქმედებით, წინასწარი განზრახვით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ხროვას ვიღაცისთვის თავის მოწონება უნდოდა და ერთმანეთს ასწრებდნენ, რომ გასწორებოდნენ გიორგი შაქარაშვილს. ასე ზომ შეიძლება ქალიც კი მოკლან, ან კიდევ მოკლან ვინმე. ისე.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნამ, რომ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების მიზეზი ასფიქსია, წყალში დახრჩობაა, რომ მისთვის სიცოცხლის დროს მიყენებული დაზიანებები თურმე მსუბუქი ხარისხის დაზიანებას განეკუთვნება და მათ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ აქვთ გარდაცვალებასთან, ძალზე გაახალისა და ააჟღერტულა ბრალდებულების აღვოკატები. ჯგუფურად განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში, რომელსაც ბრალდება წარუდგენს ბრალდებულებს, სასამართლოზე ვერ დაამტკიცებენო. სხვათა შორის, საზოგადოების ნაწილს არც იმის სჯერა, რომ გიორგის გარდაცვალების

დასკვნა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა თუ რა. მე დეტალურად არ წამიკითხავს ეს დასკვნა, მაგრამ მაგრამ ის ჩამონათვალი რანაირად შეიძლება მსუბუქი დაზიანებები იყოს?! ისიც ძალიან მაინტერესებს, კითხვა მაქვს ოპერატიულ შემადგენლობასთან და გამომძიებელთან, ამოიღეს თუ არა შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებები, იგივე ის ბლავი საგანი თუ საგნები, რომლითაც დაზიანებები მიაყენეს გიორგის, თუ ისინიც გაქრა. გარდაცვლილის ჩანთის გარდა სხვა მტკიცებულება ამოიღეს?

გეთანხმებით, რომ ადამიანის ცხედარს, რომელიც დაიხრჩო და კიდევ ოთხი დღე წყალში გაატარა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სპეციფიკური ნიშნები, გასიებული უნდა იყოს. თუ მოკლული ჩააგდეს, იმას კრიჭა უკვე შეკრული ექნებოდა, წყალს ვერ გადაყლაპავდა და ცხადია, არც გაბერილი იქნებოდა, მაგრამ ამდენი ხნით წყალში ყოფნის ნიშნები, თან ცხელ ამინდში აუცილებლად ექნებოდა. რახან ასეთი ნიშნები ვერ შენიშნა ფოტოებზე საზოგადოებამ, მაშინ ჩნდება შთაბეჭდილება და ეჭვი, რომ ეს გიორგი შაქარაშვილი მოკლეს, გვაძი გადამალული ჰქონდათ და



მიზეზი წყალში დახრჩობაა, იმ ფოტოებზე, რომელიც ტელევიზიით გვაჩვენეს, ცხედარს არ ეტყობოდა ასეთი ნიშნები.

ზოგიერთმა შეიძლება თქვას, განზრახ მკვლელობა არ ყოფილა, შეიძლება მცდელობა იყოს, რაც არასწორია. ნაცემი ბიჭის სხეული წყალში ზომ გადააგდეს, ეს აღარაა მცდელობა, მკვლელობაა. ვიღაც მტკვარში რომ გადავაგდოთ და დაიხრჩოს, ეს მცდელობაა? მკვლელობაა, რადგან ჩვენ არ ვიცით ამ ადამიანმა იცის თუ არა ცურვა, იგი გონებაზე არ არის და ჩვენ სასიკვდილოდ ვიმეტებთ. ეს არის საკმაოდ „დახვეწილი“ მკვლელობა. მესმის, რომ უფრო მსუბუქი ბრალდებით უნდა აღიძრას საქმე, რომ მერე დამძიმდეს. მე ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ მართლაც გააყალბონ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის

მერე ჩააგდეს წყალში. თუ ასე არ იყო, მაშინ მორე დღესვე რატომ ვერ იპოვეს ცხედარი, როცა ამდენი მყვინთავი, პოლიციელი თუ ახლობელი ეძებდა. ძალიან დიდ ეჭვს ბადებს იმ ადგილზე ცეცხლის გაჩენა და დაწვა, სადაც თითქოს ამირხანაშვილი და სხვები იმალებოდნენ. ლოგიკას არაა მოკლებული კითხვა, ესენი იმალებოდნენ თუ მოკლულის ცხე-

დარი ჰქონდათ მავანთ იქ გადამალული და კვალის მოსაპოვებლად გადაწვეს? ჩვენ ადრინდელ ინტერვიუში ვისაუბრეთ, როგორ დაანგრის ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვანების მკვლელობის შემდეგ, იქ მდებარე ავტოფარეხი. „ხელწერა“ და „დამრიგებელი“ ერთი და იგივეა. შაქარაშვილის ადვოკატი კი ამბობდა, რომ თვითონ და მოკლულის ოჯახიც ენდობიან ექსპერტიზის დასკვნებს და გამოძიებას, მაგრამ საზოგადოებაში ეჭვები რომ მოისპოს, კარგი იქნებოდა თუ დამოუკიდებელი ექსპერტებიც ჩაერთვებოდნენ საქმეში და კომისიური ექსპერტიზები ჩატარდებოდა.

მანანა სუნიოვილი
599 51 28 24

სსიპ დრო

საქართველოს
მედიკალთა ეკონომიკის
აკადემიის
გაზეთი

№3 (8). 15 ივლისი, 2020 წ.

ზურაბ თორია:

ნათელჟვრის ქალმოსილება

ახლახან მარადისობას შეუერთდა დიდი მწერლის, სამოციანელთა პლენარის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის – ბატონი გურამ გეგეშიძის ბოლოქარი სული. მისი შემოქმედება აუნონავი განძია ათასწლოვანი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეთათვის. ეს შთამბეჭდავი მოცულობის უაღრესად მაღალმხატვრული ნაწარმოებები, ახლახან დასრულებულ შვიდტომეულში რომაა თავმოყრილი, ობიექტური შემფასებლის კალამს და ქართული სიტყვის ჯავართი შთაგონებულ მკითხველს ელოდება.

წინამდებარე წერილი გურამ გეგეშიძის ბოლო რომან „ნათლისქრობას“ ეხება, რომელსაც ამ მნიშვნელოვანი ნაწარმოების სრული მიმოხილვის პრეტენზია არც ჰქონია. წერილის ავტორი იმედს იტოვებს, რომ იმ დროს, როცა ახალგაზრდობის უმრავლესობა საეჭვო დონისა და გემოვნების უცხოურ თარგმანებსა და ნაწარმოებებს, ქართული პროზის გამორჩეული მოპოვანის – გურამ გეგეშიძის შემოქმედებას, რის ბადალსაც მსოფლიოს ნებისმიერი კულტურული ერი იამაყებდა, გულისა და გონების კარს ფართოდ გაუღებს.



გამომცემლობა „ინტელექტმა“ დასტამბა გურამ გეგეშიძის ვრცელი რომანი „ნათლისქრობა“.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ „ნათლისქრობა“ ძილის წინ საკითხავი რომანების რიცხვს არ მიეკუთვნება. ეს წიგნი პოლიტიკური ბატალიებით იმედგაცრუებული და საყოველთაო ნიჰილიზმში ჩაძირული ერის გამოფხიზლებას უფრო ისახავს მიზნად და ყოველგვარი მინიშნებების გარეშე გავფრთხილებს: ასე გაგრძელება არ შეიძლება, რეალობა ყოველ ჩვენგანს მკაცრ მოთხოვნებს უყენებს და თუ შესაბამისი ზომები დროულად არ იქნა მიღებული, ადვილი შესაძლებელია, ერის ყოფნა-არყოფნის საკითხმა არ დააყოვნოს.

ვინც ამის მზა რეცეპტს მწერლისგან გულუბრყვილოდ ელის, ამაოდ დაშვრება. მწერალი, როგორც ცნობილია, უდიდესი წინასწარჭერეტის უნარითა დაჯილდოებული და მისი მისხლობით ანონილი სიტყვა ყურად უნდა იღოს ერის მოაზროვნე ნაწილმა, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც ქვეყნის ბედ-ილბალი აბარია.

გურამ გეგეშიძე ადრე გამოქვეყნებული ბრწყინვალე მოთხრობებისა და რომანების კვალობაზე, ამ ნაწარმოებშიც უაღრესად დახვეწილ რეალისტ მწერლად წარმოგვიდგება. თუმცა, მის შემოქმედებას არაფერი

საერთო არა აქვს ჩვენს ქვეყანაში ახლო წარსულში გამეფებულ ყავლგასულ მიმდინარეობასთან, რომელიც დამახინჯებული რაკურსით წარმოგვიდგენდა სამყაროს რეალურ სურათებს. მისი კალამი უმთავრესად, ამ წიგნში კი განსაკუთრებით, საქართველოს ახლო წარსულსა და თანადროულ რეალებს დასტრიალებს, რაც ისტორიული ჟანრის რომანებისაგან განსხვავებით, მეტ კონკრეტულობასა და სინარფულეს მოთხოვს და სხვა უამრავ მნიშვნელოვან კომპონენტთან ერთად, ამითაც არის ეს ნაწარმოები საინტერესო.

XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე არაერთხელ მოგვისმენია საყვედური მწერლების მისამართით, მათ ლეგენდებსა და ისტორიულ თემებს თავი ვერაფრით დააღწიეს და თანამედროვე პრობლემები საერთოდ გამორჩათო. ამის მთქმელთ ერთი რამ ავიწყდებათ: მწერალს მოვლენებისგან დისტანცირება აუცილებლად სჭირდება და როგორც ჩანს, დადგა ჟამი იმისა, რომ თანდათან გამოჩნდეს დროის ნიშნითა და მხატვრული ღირსებებით აღბეჭდილი წიგნები.

მკითხველის სასიხარულოდ, სწორედ ასეთი მაღალი სინჯის ქმნილებთა რიცხვს

ვასტანბ ხარჩილავა

ქარი



მე ვარ ქარების გამომძახებელი, ქარების გამომწვევი, ქარების შემლოცველი, ქარების მჩხიბავი – ძველი მეოცნებე, ქარია, ქარია, შინა და გარეთ, ქარში იღვწება, ქარების მხარე, ქარში იღვწება, ქარში იღვწება, ქარში იხვეწება დაღლილი ზარი.

მე ვარ ქარების გამომძახებელი, მე და ქარი ერთად ვტირივართ, ერთად ვმღერივართ, ბნელ სადარბაზოებში ერთად ვვხვევით საყვარელ ქალს, ქარია შენი თმები, ხორბლისფერი ქარი. ხორბლისფერი ჟრუანტელით და ქარით ვარ მთვრალი.

ქარო, მოსასხამივით მოგიგდებ მხარზე და გაფრიალდეთ გაზაფხულის ცისფერ მხარეში, მიყვარს შენი დაუოკებელი ქროლვა. შენი მოუხელთებელი ჯანყი, თავგამეტებით რომ მეხეთქები მკერდზე, ისიც მიყვარს, შენი ჟინიანი შეკივლება მიყვარს, მთელ სხეულში ჟრუანტელა რომ ჩაგიდგება და ვნებისგან აკანკალებული ველზე რომ გაიჭრები. ვერ მოვიხელთე, გულში ვერ ჩაგიკარ, შენს ტუჩებს ვერ დავენაფე, შენს ყელზე ჩემი დამლა ვერ ამოვშანთე. ერთხელაც იქნება, ურა ცხენზე შემოგიგდებ, რომ ერთად გავქროლდეთ უღრანი ტყეებისკენ – გადაუვართ ჩათვლემილ ველებს, თავს გადავევლოთ ხრამებს და ხეებს, ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ გავქროლდეთ მე და შენ, ისე რომ ჩვენს ყიჟინაზე ციდან ვარსკვლავები ცვიოდნენ.

მე ვარ ქარების მომტაცებელი, ქარების მომთვინიერებელი, ქართან ჯვარნაწერი, ქარია ჩემი პატარძალი – თმაგანენილი.

როცა არა ხარ, ქარო, მაშინ სადა ხარ, ნეტავ? სად გძინავს, სად თვლემ, სად იშუშებ დაბეგვილ სხეულს,

რა გაიძულეს, რომ დასტოვო მყუდრო ბუნაგი და სანაწალოდ გაეშურო კიდიო კიდემდე? რა გიმღერეს, ნეტავ, სისხლს, რა ძალა გაფორიაქებს, რა წამოგადგებს ფეხზე უეცრად, რა დარდი გლრღის და რა ნალველი გაყმუვლებს ასე?

როგორც ჯინი ბოთლში, ისე ზიხარ ყველა ჩვენგანში და შესაფერის დროს ელოდები, როგორ მარყევე შიგნიდან, როგორ მანჯღრევე, თითქოს ვულკანი მეჯდეს მკერდში და გულისფიცრის გამონგრევას ლამობდეს. ეს შენი სული იღვიძებს ჩემში, შენს წერას ვყავარ ატანილი, როცა ვბობოქრობ, შენი ნება მიკარნახებს მტვერწყარილ დღეებს ქარით რომ გადავერიო... შენ ერთი დიდი სიბრძნე იცი და იმით ცხოვრობ.

ამ ქვეყანაზე რაღაც უნდა ინგრეოდეს, რაღაც უნდა იღვწებოდეს, რაღაც უნდა მთავრდებოდეს... ნგრევა შენი სიმართლეა, უწესრიგობა – შენი წესრიგი, შენი შფოთვა და აურზაური სიმშვიდის დასაწყისი. ქარო, ყვითელი ფოთლების ჩამომშლელი, ქარო, გამხმარი ტოტების ჩამომლენველო, ქარო, სხეული ხეების ამომთხრელი...

შენს სხეულში ვარ ჩაგრეხილი, შენს ვნებაში ვარ ჩანწეხილი, ძარღვებში სისხლის ნაცვლად შენ ბრუნავ, შენ მიმოიქცევი, ქარო, ჩემს ნაცვლად შენ ლაპარაკობ, ჩემი სიტყვები შენგანა მაქვს ნასწავლი. შენი ოხვრისგან, შენი ზათქისგან, შენი კვენისგან.

დამბერე, ქარო, ამახმიანე სივრცეებში, დამარისხე, დამრეკე, როგორც ზარი, ამაკვენსე, როგორც სიმი, ამალეღე, როგორც ზღვა, ნაპირთან შეურიგებელი, ნაპირების გადმომლახველი...

ნათელჭკვრის კალმოსილება

7 83.

ეკუთვნის გურამ გეგეშიძის ახალი რომანი.

პირადად არ გავკადნიერდები და არ შევედგები ამ წიგნის სკრუპულოზურ განხილვას. მას მომავალში უფლებად ღირსეულ ადგილს მიუჩინენ ლიტერატურის მკვლევარები.

რომანი სოციალ-პოლიტიკური, რელიგიური და ყოფიერების მარადიული თემებით უხვადაა გაჯერებული, მაგრამ მისი ძირითადი არსისა და განწყობილების საილუსტრაციოდ, გამოვყოფდით მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების კატაკლიზმებით აღსავსე მონაკვეთს, რომლის ზემოქმედებაც რომანის გმირთა მთელ ცხოვრებას ანუ ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულამდე, ბედისწერასავით გასდევს.

წიგნის მთავარი პერსონაჟები, გიორგი უნდილაძე, გივი შაბუნიძე, ცქიტო ჯანდიერი და მისი თაობის სხვა წარმომადგენლები, პატიოსნებით აღსავსე, ნიჭიერი, კეთილანაგი, გამოკვეთილი სახის ფსიქოტიპებად გვევლინებიან, რომლებსაც უნდა აეღორძინებინათ თავიანთი სამშობლო და ამისთვის განათლებაც, მონობაცა და შინაგანი ენერჯია უნდა დაეხმობათ ხელს. ცხოვრების ასპარეზზე ის ის იყო გამოდოილი, მაგრამ მათ სრულიად მოულოდნე-

და ამ ანგარიშსწორებებს დასასრული არ უჩანდა. ყოველ ათ წელიწადში, საქართველოს ელიტას ნალებს ხდიდნენ, სამაგიეროდ, ასპარეზზე გამოჰყავდათ სატანისტური „ნათელი ინტელიგენციის“ „რჩეულები“, რომლებიც თავიანთი უფლებების განსამტკიცებლად, თავდაუზოგავად იბრძოდნენ, და შესაბამისად, ირგვლივ სულის გამყინავ შიშსა და დაუნდობლობას თესდნენ.

აქედან იღებს სათავეს ამ ახალგაზრდების განწირულობა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაღალი ინტელექტით, ოჯახისშვილობით, ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებითა და სამშობლოს სიყვარულით თანატოლებს შორის გამოირჩევიან, საზოგადოებაში, რომელშიაც გეგმაზომიერად ხდება ადამიანთა ღირსების ფეხქვეშ გათელვა, მათი მცდელობები ამაოა, რადგან საბჭოთა სისტემას არ სჭირდებოდა ერის მომავლით უღალბებელი ქართველი ახალგაზრდები.

1956 წლის გამოსვლებზე რაიმე სახით მსჯელობა საბჭოთა პერიოდში ტაბუდირებული იყო, თუმცა დამოუკიდებლობამოპოვეზულ საქართველოშიც არასათანადოდ განიხილავენ ამ თემას, რადგან ხალხის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ბელადომანის ტყვეობიდან და სიმართლის მთქმელთ, ხშირად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ.

გურამ გეგეშიძე თვითმხილველის განცდით გადმოსცემს 1956 წლის ქუჩის უთანასწორო შეტაკებებს, აცოცხლებს ამ მოვლენებში მონაწილე პიროვნებებს, მათთან დაკავშირებულ ანგარიშსწორების ფაქტებს და გამოაქვს დასკვნები, რაც მკითხველისთვის მეტად საშურად გვესახება.

საბჭოთა ტერორი თავის გზაზე ყველაფერს დაუზოგავად ნთქავდა. მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი გამართლებულად მიაჩნდა. უგულებელყოფილი იყო ადამიანურობა და პუ-მანიზმი. ნიჭიერი ადამიანი გზას ვერ გაიკვლევდა, თუ კომუნისტური პარტიისადმი თავის ერთგულებასა და თავდადებას ცოცხალი მაგალითებით არ განამტკიცებდა. პარტიული ბოსები ახალგაზრდებში ხედავდნენ მხოლოდ ქანჭიკებს, რომელთა ბედი მათ ხელში იყო და თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, განვითარების ყველა გზას უსაბოძდნენ. უძველესი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელთა შთამომავლებს შეზღუდული ჰქონდათ ასპარეზი და ისინიც ფიზიკურად რომ გადარჩენილიყვნენ, ხშირად სანეურნეო სფეროს სჯერებოდნენ ან ზემდგომნი რუსეთის თვალწინდენელ ტრამალებში რიგითი ჯარისკაცებად ამწყვდებდნენ.

ავტორი მაღალმხატვრულად აღწერს იმჟამინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებას და ამ შუქზე, ათვალსაჩინოებს ცალკეულ ადამიანთა ბედს. საბჭოეთის ბანაკის კოლონიურ სივრცეში ჩაკეტილი ახალგაზრდები იძულებულნი ხდებიან, ნებაყოფლობით უარს თქვან ცივილიზებული


სამყაროს მონაპოვრებზე, თავიანთ იდეალებზე, მთელი ენერჯია მოახმარონ მეორეხარისხოვან საქმიანობას; სპორტი გატაცება რუტინული გარემოსგან თავდალენვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ესახებათ, ხშირად ხელოვნებას ან მის განმტოებათა სფეროებს აფარებენ თავს, რომელთა განვითარება გარე სამყაროს მოსაჩვენებლად სჭირდება ხელისუფლებას, ქვეყნის მართვის სადავეები კი ისევ ტოტალიტარული რეჟიმის ვითომდა უარყოფელ და ხალხის ბედზე „მზრუნველ“ სუბიექტებს უპყრიათ, მაგრამ ხალხი მათ ზრუნვას მხოლოდ აკრძალვებში ხედავს, ხშირად ადგილი აქვს ნამდვილად ნიჭიერთა მიჩქალვას, მათ მაგიერად კი საშუალო დონის, უღიმღამო პიროვნებათა გაფეტიშებას, რის შედეგადაც ერი თავის ნამდვილ სახეს თანდათან კარგავს...

კოლონიური მმართველობის ქვეშ მოქცეული ერის უდიდეს ნაწილში ნელდება ცხოვრების რადიკალურად შეცვლის სურვილი, თავისუფლების მუხტი მხოლოდ ერის მცირე წარმომადგენლებს შორის ღვივის, მაგრამ მათი მცდელობებიც არაა დამაჯერებელი და პრინციპული, რასაც წარსულის ტერორი და საყოველთაო დამთრუნველი შიში ასაზრდოებს.

რომანის მთავარი პერსონაჟები, თითქოს ნაცნობი, ჩვენ შორის ცხოვრების აე-კარგს შეჭიდებული ახალგაზრდები არიან. ისინი ძალას, ცოდნას და ენერჯიას არ იშურებენ საზოგადოებაში თავიანთი ადგილის დასამკვიდრებლად, გამოარჩევთ, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი მომხიბლობა და ნიჭიერება, მაგრამ როგორც ირკვევა, არც ერთ მათგანს, როგორც სამსახურებრივ სარბიულზე, ისე სიყვარულშიც არ უმართლებს, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ამ ადამიანთა ბუნებით, არამედ თავისუფალი ნების არქონით და როგორც საჩინოვდება, ეს თვისებები მათი ბედკრული სამშობლოს ბედისწერასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული.

მკითხველი რომანში უამრავი ნაცნობის პროტოტიპს შეხვდება. ზოგი მათგანი ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილი, ქართული რაინდული ბუნებისა და სინდისიერების მატარებელი პიროვნებაა, მაგრამ მათ გვერდით არსებობენ ნამუსგარეცხილი არარაობებიც, რომელთაც არსენალში აურაცხელი მავნე ხრიკი მოექვევებათ.

წიგნში მრავლად არის მაღალმხატვრული პასაჟები. მწერლის კალამი შთაბეჭდავითა სვანეთის თვალმუდგამით თოვლიანი მწვერვალების, ფშავ-ხევსურეთის ლეგენდებზე ქცეული ციხე-კოშკების, ხევ-ხუეების, უფლისციხის სწორუპოვარი ნაქალაქარის, მთების რკალში მოქცეული კვეტერას მონასტრის, მცხეთის მაღალმოსილი შემოგარენისა თუ ერთი იმერული სოფლის გარემოს აღწერისას, რომელიც ნაწარმოების მთავარ გმირს ადრეული ბავშვობიდან ასდევნებია და პირველყოფილი სილამაზითა და წინაპართა სხოვითაა ნასაზრდოები. მკითხველს ისეთი მთაბეჭდილება ექმნება, რომ გურამ გეგეშიძის, ვიტყვით, გრძელეული თვალისთვის არაფერია დაფარული და შეუმჩნეველი, იგი შესანიშნავად იცნობს არა მარტო მშობლიური ქვეყნის, არამედ რუსეთის თვალწინდენელ ვენებსა და ლანდშაფტებს, შუა აზიის ცადაწვდენილ მწვერვალებს თუ



მთაგრეხილებს, სხვადასხვა ჯურის, განსხვავებული რწმენის, მისწრაფებისა და ინტელექტის ადამიანებს და თვალნათლივ იგრძნობა, რომ წიგნში აღწერილი ადგილები ფეხით აქვს მოვლილი, ბევრ პერსონაჟთან აკავშირებს პირადი ურთიერთობა, და ყველაფერში, რასაც ეხება და ხატავს, ფართო ინტერესთა სფერო, დიდი ცოდნა, მხატვრული წარმოსახვა და სიყვარულია ჩაქსოვილი.

როცა ავტორი ზოგადად ქართველი კაცის გენოტიპის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაზე ამახვილებს ყურადღებას, დადებით თვისებებთან ერთად, გამოყოფს ნაკლსაც და ამის საილუსტრაციოდ, ისტორიულ რეალიებს მოუხმობს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ელის ერს, რომელიც მხოლოდ წარსულის დიდებით სულდგმულსა და საკუთარი განვითარების გზა ჯერჯერობით არა აქვს განსაზღვრული, რასაც რომანის პერსონაჟები მცდარი შეხედულებებით თუ მოქმედებებით ნათელჰყოფენ და უმძიმესი განცდა არ გტოვებთ იმის გამო, რომ მათ ხშირად თავი ცამდე მართალი ჰგონიათ...

მწერლის მიერ საქართველოს ბუნების აღწერისას ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ეს უღამაზესი მთა-ბარი, დამშვენებული ნაირფერი მცენარეული საფარით, ცამდე აზიდული მთებითა და მწვერვალებით, წყალუხვი, თევზმარავალი მდინარეებითა და ტბებით, ტრაგიკული ნიშნითაა აღბეჭდილი და ადვილი შესაძლებელია, ვიღაც გადაამთიელს მასზე თვალი ეჭიროს და მის დასაუფლებლად ხელსაყრელ წამს ელოდოს...

ავტორი ხშირად მიმართავს შედარებასა და მეტაფორას, ასევე, ამა თუ იმ მოვლენას საყვარელი პოეტების სტრიქონებს უხამებს, ამასთან, მისი ფრაზა ლაკონური და უადრესად დახვეწილია, რაც გამოსახვის მაღალი მხატვრული კულტურისა და ინტუიციური აზროვნების ზომიერ შეხამებაზე მიგვანიშნებს.

გურამ გეგეშის რომანი „ნათლისქრობა“ მასშტაბური ტილოა და საფურნალო წერილში ძნელია ამ მრავალგანზომილებიან, სიცოცხლითა და ადამიანთა სვე-ბედიით დამუხტულ ნაწარმოებში ყველაფერს შეეხი და მისი ღირსებები სათანადოდ წარმოაჩინო, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი რამ: ავტორი სრულიად ახლებურად წარმოაჩენს წიგნში მოყვანილი ეპოქის სრულ სურათს, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ მთელ ქვეყანას აუნაზღაურებ-

ლი ზიანი მიაყენა და განვითარების ბუნებრივ გზას ასცდა, დღევანდლამდე საფუძვლიანად არ ყოფილა გაანალიზებული, რადგან როგორც ჩანს, ქართველთა უპირატეს ნაწილს ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება ან საჭირობოტო საკითხის განუსაზღვრელი ვადით გადავადება უფრო ეხერხება, ვიდრე ღრმად ჩანვდომა, გაანალიზება და აღიარება იმისა, თუ რატომ გვჭირს ესა თუ ის უბედურება, სად არის ჭირის სათავე და რით შეიძლება ამ სნეულებას ვუნამოთ.

ასე იყო იმ ავბედით ათას ცხრას ორმოცდათექვსმეტში, როცა სტალინის კულტის დაგმობის ინფანტილური მონინალმდგენი კრწანისში, სახელმწიფო რეზიდენციისკენ მიეშურებოდნენ, რათა ჩინეთის გენერალური მდივნის მოადგილისთვის გარდაცვლილი სტალინის სამშობლოსა და მისი უფლებების დაცვა (?) ეთხოვათ... ამგვარად მეორდებოდა შემდგომ წლებშიც, როცა ცნობილი ცხრა აპრილის დღეების შემდეგ, ქართული ინტელიგენციის ნაწილი, კათოლიკური სამყაროს მიერ ლამის წმინდანად შერაცხილი დედა ტერეზას, შემდგომ ქართველთა მოძულეობით სახელგანთქმული ფსევდოდიდენდის – სახაროვის, მოგვიანებით კი სხვა ოდიოზური პერსონისაგან თუ სტრუქტურებისაგან მფარველობას ელოდა, და სამწუხაროა, რომ ეს ილუზიური მოლოდინი დღესაც გრძელდება...

„კვლავ დამორჩილებული, კვლავ დაპყრობილი ქვეყანა, თითქოს ჩვენი ისტორიული ბედისწერა მუდმივ მონობაში და დათრგუნვაში ყოფნით განისაზღვრებოდეს...“, – გულისტკივილით შენიშნავს ერთგან ავტორი. ...

დღეს საქართველო დამოუკიდებლობამოპოვეზულია, თუმცა ახლა უკვე სხვა ზემოლავრი ქვეყნების ქარების ქროლვას ისმის ძალუმაღ და თუ ადრე იარაღითა და ხიშტით გვიმკლავდებოდნენ, ამჯერად, როგორც იკვეთება, ეკონომიკური მტურმებით გვიტყვენ... მაგრამ, იმედია, ქართული გენის მატარებელი ახალგაზრდა თაობა კონფორმისტ თანამემამულეთა შეცდომებს არ გაიმეორებს, საბოლოოდ არ დადებს იარაღს, მუდმივად სხვისი ხელის შემყურე არ იქნება, გააანალიზებს ერის მიერ განვლილ ისტორიულ წარსულს, სწორ არჩევანს გააკეთებს და ქვეყნისთვის ნათლის მოფენის მაგიერად, ნათლისქრობის დამლუპველ გზას არ დაადგება.



ლად უხდებოდა შეჯახება სახელმწიფო სისტემასთან 1956 წლის სტალინის კულტის დაგმობის საწინააღმდეგო მანიფესტაციებისას, რაც ძირითადად ქართული წარმომობის ბელადისადმი მასების ილუზიური განწყობით იყო განპირობებული.

როგორც ცნობილია, ეს გამოსვლები ხელისუფლებამ სისხლში ჩაახრჩო. გიორგი უნდილაძის უახლოესი მეგობარი ბექა, ბრმა ტყვიის წერა ხდება. ახალგაზრდები თავიანთ თავზე გამოცდიან ბოროტების სისასტიკეს, რითაც სულით ხორცამდე იყო გაუქვნილი საბჭოთა სახელმწიფო სისტემა

ამ ახალგაზრდებმა მშობლებისგან გადმოცემით იცოდნენ, თუ რა დაუნდობელი იყო ბოლშევიკების პირველი თაობა. ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო ადამიანი გაუყენეს შორეული გულაგების გზებს, გაუსამართლებლად ანამეს და დახვრიტეს, მითვისეს მათი ქონება, დახვრეტილთა და გადასახლებულთა ცოლ-შვილი კი სიდუხჭირისა და გაუტანლობის ლუკმა გახადეს, შემდეგ თვითონაც დაერივნენ ერთმანეთს

კობა არაბული



ქილის შორისში

გამომეპარა პოეზია სტრიქონთა შორის:
ზაფხულთა შორის...
წყალთა შორის...
ზამთართა შორის...
დათვისის მთებზე შემეფეთა ივლისის თოვლი,
გზაში იელი...
და წიწვოლას ლამაზი ცოლი...

გამომეპარა აპრილები - აპრილთა შორის,
ზვავთა ზრიალი და ზამთარი ზამთართა შორის...
წუთისოფელი - წუთისოფლის კარავში მდგომი
დედის სიზმარი...
და დევებთან იახსრის ომი!..

გამომეპარა ორი დრო და ერთი სიზმარი...
ერთი ქალი და თემის მაცნე - ორი მისანი...
ბერი ხუცესის ერთი სიტყვა თქმული სისხაშზე...
ანბანის „წილი“...
და ანბანში - ომის ნიშანი!!!

ნათლული (იმედის პაუზა)

ერთად გავსინჯეთ მე და ალდიმ ხმალი ჩემი -
„დავითფერული“,
ჩემმა ნათლულმა შეაფრქვია ჩემს ხმალს ღიმილი, -
„დავითფერულიც“ იყო ხმალი - ჩემი ნათლული! -
ქართული იყო ესე ხმალი და ფხა წამახული, -
მტრისკენ წახრილი იყო იგი და წარმართული!!

ჩემი ნათლული იყო იგი - ყრმაი, რომეკელი,
ჩემი დედული იყო იგი - კაი ბოკვერი!..
სახეს შხიანი ჩრდილი ადგა ქაჩუს კოშკების,
და თვალებს შუქი უნათებდა შურის მომკვლელო...

ვით მოკვეთილი, საუფლოდან, ძველი სარანგნი, -
დაჭრილ მამულში შეფიცულთა ედგა ფალანგი!..
ქებებზე სიარულს ასწავლიდა რომის ჭიუხი -
და ჯიუტს, ხელში ლაღად ეპყრა ხრმალი, ჯიუტი!..

ეს ჩემი ხმალი შენ იხმარე, ჩემო ნათლულო, -
რომ ხიბლში მყოფი ერის სუნთქვა გააქართულო...
კედლებს მახვილით დააწერე შენი სახელი, -
ძველი ნიშნები - შენი ჯიშის გამომსახველი!!
არ შეგეშინდეს, რომ წინდებურ გერქვას ქართველი,
რომ ქართველს შენი ქართველობის გედგას ნათელი!

არ დაგეკარგოს ძველი სიტყვა - ის მოსასხამი (!)-
მამის სამოსი უმთვარო ღამეს სახმარი...
შორი ანდრეხი: პაპის-პაპის-პაპის ნათქვამი,
შენი ღირსება, ჯიშში შენი - შხის ანათალი!..

არ წაგიშალონ უფლის სიტყვა - ცით ნაბომარი,
თუ გაგიბედეს: შენც უბოძე ძველი ბოძაღლი!..
არ გაგიბედონ: რომ ჩვილი ხარ, კიდევ მოზარდი, -
ვით მოყმე ვეფხვთან მეომარი ისე მობრძანდი!!!

თუკი შეგკადრეს, შენც შეკადრე: ვეფხვით მიუხდი, -
მეგრად ჭაობში ჩაუგორე ქვები ჭიუხის!..
„შეიბ მახვილი“! - ჩაუელვე ხრმალი ჯიუტი:
ჩამოაფლითე - ამ ჰიბრიდეს - უშნო „ბიუსტი“!!!

ჩვენ საქართველო არ გვჭირდება: არც უსვანებოდ,
არც - უმობეოდ, არც - უმესხოდ, არც - უხვესუროდ!..
ვერც უსახელო ვერ იქნება ჩვენი სამეფო:
„იყავნ ქართველი“, - ერს ქართული ქუდი ეხუროს!!!

ჩვენთვის მწარეა უცხო თესლი და უცხო წესი:
სხვის წესში ჩვენი დასასრულის დეფს დასაწყისი!..
მათ ურჩევნიათ: ჩვენთვის იყოს მუდამ კრწანისი,
გადაუხადონ დამარცხებულ ერს პარაკლისი...

ნათლულო ჩემო, შეიმოსე უფლის ნათელით,
გერქვას მამის და პაპის-პაპის ყველა სახელი -
ეს იყოს შენი მუზარადი და თავსარქმელი!..
აჰა, შეირტყი იგი ხრმალი, - ვერცხლის სარტყელით, -
მათ შეუთვალე: დაითვალონ შენი ნახმლევი!..

... ამ ხმალს, ძვირფასო, გავლილი აქვს ომის უღრანი,
ასი ომიდან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული!? -
ჩვენ ჯერ არ ვიცით მისი ბრძოლის ძველი მუღამი,
მკვდართა სიმშვიდე ჩვენ მშვიდობად გვაქვს გაგებული!..

ამ ხმალს არ უყვარს არც შექება, არც - სავედური, -
აქ ისევ ღვივის მისი გრდემლი და სამჭედური...
ის გაიცინებს - თუ შეკრება ყმათა კრებული -
ის გაიელვებს, როგორც ლექსი ვაჟასებური!!

არ დაგავიწყდეს ესე სიტყვა ჩემი ნათქვამი:
ავვისტოს მთებზე მოელვარე თეთრი ზამთარი...
ანუ ქართველთა წინაპრების ცხადი ზღაპარი:
ის, მცხეთის ღამე, წმინდა ნინოს თმებში ჩამთბარი...

ნაქნებში ჩანული ლექსის დარდი

მკლავს ლექსის დაბადების დარდი
და მისი გადარჩენის სურვილი...
მაწუხებს ჩემი უმწიფობის განცდა
და მაქვს სინანული
ნეკნებში ჩაწული (ჩარჩენილი) ლექსის?!

გამოეყოფა ლექსი სხეულს -
გამოტეხავს ნეკნებს
და გადის მზეზე სისხლიანი სარკმლიდან:
და უერთდება ქართა ქროლას
და - ფიფქთა ცვენას და მწვანეთა გადმოფენას...
და რჩება სინარული დასრულებული ტანჯვის,
და სიცარიელე - ბარტყებ აფრენილი ბუდის -
ხელახალი აღვსების მოლოდინი რომ ასულდგმულებს...

როცა სინარული მივიწყებს -
ვრჩები რიყეზე მდებარე ლოდივით
მდინარე ხავსს რომ ულოკავს...

აქ შუმერები ალაგებდნენ ცის ინტერიერს,
აბრუნებდნენ და ატარებდნენ შხის მისტერიებს...
დრო გვავიწყებს და ვერ ვიხსენებთ ჩვენს ისტორიას,
ის დროა როცა ჩვენი ჩრდილიც ჩვენი მტერია?!

როცა მსტოვარნი გამოდიან ჩვენს დასასმენად -
ერის გაყიდვა და დასმენა ისევ ფასდება?!
ფეხს აიდგამენ კაცის მკვლელები ჩვენს ფასადებთან -
ჯერ მრისხანება ჩვენი კიდევ ვერ გაცხადდება!

ჩვენ შეგვდებავენ იმ სახლების იმ ფასადივით...
გვარქმევენ შეთქმულთ სახელებს და ჭრულ ფარდაგივით -
გვაბერტყენ ჭორებს...
და ჯიბებს ნარკოტიკებით -
გვიტენენ ძალად ეს მასონი ვირის ტიკები...
ეს ვირთაგები გვიკეტავენ კარებს ტაძრების -
სურს ფოიეში დადგან სამი სემის კვინტეტი...
ლექსს მიწუნებენ ეს მასონი ვირის პიტნები!!!

დროთა შეკრება

დღეს მივუმატებ დღეს, და ღამეს - ღამეს,
მექნება ორი დღე და ორი ღამე...
დროს მივუმატებ დროს
და მთვარეს - მთვარეს:
მექნება ორი დრო და ორი მთვარე!..

მოიქცევა მთვარე და მოიქცევიან დრონი -
გვექნება ცოტა დრო და დიდი ომი?!

ტკივილს მივუმატებ ტკივილს და ვაქცევ წამლად -
დარდს ვაქცევ ლექსად და იმედის კარმად...
კაცს მივუმატებ - კაცს და მექნება თემი!
ქვას მივუმატებ ქვას და მექნება კოშკი!
კაცს ვაქცევ კაცად და თემს ვაქცევ თემად,
წილს მივცემ სხვას და ჩემს ვაქცევ ჩემად!

ორ კოშკს დავაყენებ ერთად და ორ ქალს - არა:
ორი სილამაზე ერთმანეთს ფარავს...
ქალი უცნობი მზეა სოფლის ცაზე,
ქალი ნაცნობი დარდია კოშკის კარზე...

აი, ეს იქნება ჩემი ცხოვრების წესი -
დარდს მიმატებული დარდი
და ლექსის მიმატებული ლექსი!
სინდისის ძნები გაშლილი მზეზე,
ერთი დარდის კალო ნალექი ქვებზე!..

გველის წალი

მკვდარი ტბებით სავსეა ეს წელიწადი -
არც ერთი თევზი არ მოძრაობს მის მტკნარ წყლებში...
შროშანიც კი არ ჰყვავის გზებზე,
ყვავის მხოლოდ ჭორი და ეჭვი...
ცხვრების შეჭმული
მგლების ხროვა შემომხვდა გზაზე
და ვირის შეჭმული - მწვემის!..

გასრულებულა ვეფხვის ტყავებზე წოლის ჟამი,
ქრისტეშობის თვე იმოსება უცნობი ლექსით,
გამოსულია ლაფვარდზე გველი
და რიცხვი - 6 6 6!!!



გამოვიდა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ჟურნალის „სხვა დრო“ მე-2 ნომერი.
ჟურნალში დაბეჭდილია ლექსები, მოთხრობები, სამეცნიერო და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები, თარგმანები, ხალხური პოეზიის ნიმუშები, ესეები, ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები, მოგონებები.
მწერალთა ეროვნული აკადემია.

თავი VI

„ცისფრთვალეობა ბიჭს ნამოცდა, ღმერთო!.. და კობხად ჩააცვეს...“

ხეთისომ, ვიდრე საფხვანომდე მიაღწევდა, სამჭედლოსთან შეიტყო, კიდევ ერთი ანატორელის ჯალაბობას დარევიდა სწეულედა და კაცთან ქალიანად განსაცდელში ჩაუგდია, „ჩვენს მეცხვარეს, თედუასა და მისი ცოლ-შვილს დარია ხელი...“ წყრომით გამოცრა მჭედელმა პავლიამ და აღმართული ურო გაშეგებებით დასცხო გრდემლზე გადაჭიმულ ცელის პირს. ხეობაში საზაფხულო საშუაობები მოძალებულყო.

ღვთისო საფხვანოსკენ განონას-ნორებულნი ნაბიჯით მიიქაროდან, ალაგ-ალაგ თავშეყრილი ანატორელების გამოხედვა და მის მისაღმებზე უგერგილო პასუხი, ცოტა არ იყოს, უკვირდა, მაგრამ საკუთარი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზს ქუჩაში ვერ გამოიკითხვდა, ასე საჯაროდ დისკუსიაში ჩაბმას ვერ იკადრებდა, არადა, აშკარად გრძობდა, მოხევეები მისგან ახსნა-გარმატებას ითხოვდა.

ადგილზე მისულს, თემში გამორჩეული კაცები უკლებლივ დაუხვდნენ, მხოლოდ პაპუნა არ მოსულიყო, გვიან შემოგვიერთდებოთ, ტყუპისცალისთვის დაუბარებია.

კაცებს ჭმუნვიანი გამომეტყველება ედოთ.

ცის ტატნობზე თეთრი ღრუბლები ნება-ნება იფანტებოდა და გაკრიალეული სილურჯიდან გამომსხლტარი მზის სხივები ხეობის ფერდობებსა და კლდეთა სიგრძელს ოქროცურვილის ნებეობით ეცხუნებოდა.

სადღაც ხარბი ატეხილივით ბლაოდა, თითქოს ფურჩქანს უხმობდა.

ძაღვების თამბაკეული ღრენა ისმოდა.

- რა ჭირი გვეტაკა, მგელიკა!.. - ხეთისომ ყრუდ ამოვიგამა და სახეზე გაკვირება გამოეხატა.

- უთუოდ გადამდებ სწეულეობას თან გვაქვს საქმე!.. - დასტაქარმა თემის კაცებს შეხედა, - უხილაგია, ვერაგი და მზაკვარია, ხოლო არის თუ არა სიკვდილი, ეს ჯერ არ ვიცით... - რა-ღაცნაირი ორპუნუნებით დასძინა და უკმაყოფილების ნიშნად თავი გააქნია.

- სიკვდილს დაველოდოთ, გულზე ხელდაკრეფილი შევეგებოთ?... - დაიბუხუნა ბეგლარმა და წყრომით ამოიხრა, თვალის ბრიალი იქეთ-აქეთ მომოხიხედა, თითქოს უხილაგი მტერი ანგარიშის გასასწორებლად დაეძნა.

ამ დროს საფხვანოში დეკანოზი შილა შემოვიდა.

- თემის კაცებო, აგერ, საფხვანოს მიმდებარედ, ანატორის მთელი მოსახლეობა შეკრებოდა, ჩვენგან პასუხს მოელოდა, ღელავდა!.. - ხუცესმა ბოლო სიტყვით საკუთარი სულიერი განწყობა გამოხატა, სული მოითქვა და ხეთისოს დაძაბული მიჩერდა.

ხუცესს ანატორის დროშა სასწრაფოდ მიაღწევს, დაალოცინებს და ბეგლარს გადასცეს, საფხვანოში თავში მდებარე ქვის სკამს მოწინებით გახედეს და ხეთისოს წამომართვას დაელოდნენ - ასეთი საბედისწერო და საპასუხისმგებლო ფაზი ანატორის ცხოვრებაში ჯერ არ ახსოვდათ.

ხეთისომ კრების მონაჭილეთა თავშეყრის ადგილი ფიქრინი ნაბიჯით დატოვა, მომადლო ბეჭობზე თანხლებლებთან ერთად გავიდა და საკომურების წინაშედ თავშეყრილი ანატორელებს თვალგასწორებით გადახედა, პირგამხებულ მამაკაცები საომრად გამზადებული ლეგიონის მებრძოლებს ჰგავდნენ, მოშორებით, მთვარისებრი განლაგებით დედაკაცები შექუჩბულიყვნენ, ბაღები და მოზარდები კედლებთან ატუზულიყვნენ, თვალს უჩვეულო ცნობისმოყვარეობით აცეცებდნენ.

ადამიანთა დუმილი საბედისწერო რისხვასავით გაგრძელდა, თითქოს ბუნების ნიაღში გამკრთალი ჩქამიც მინავლდა და მდინარეც დადუმდა, ჩიტებიც გაიხსნენ და ძაღვებიც დაყუჩდნენ.

- რაზედ შეყრილხართ ანატორელნო?... თქვენი წუხილის მიზეზს კი ვხვდები, მაგრამ მაუწყეთ, იქნებ პასუხი ერთად მოვძებნოთ!.. - რიხით

წარმოთქვა ხეთისომ და მამაკაცების მარაქს შემწყნარებლურად მიჩერდა. მენინავე რიგს ბრგე ვაჟკაცი, მამუკა სისაური გამოეყო, თუშური ქუდი მოიხადა და მარჯვენა ხელში თასივით დაიჭირა, მორიდებით, თანმიყოლებული ხმის აწევით დაიწყო:

- ყველა ვხედავთ, ჩვენს თავზე მოსალოდნელი უბედურებისა და ავის მომასწავებელი ღრუბლები შეიკრა და ვიდრე ქვე-ქუხილად დაგვატყდებოდეს და ძირფსვიანად ამოგვაგდებდეს, ხალხის მოთხოვნაა, უცხოელმა მოგზაურმა ანატორი დატოვოს, ან თავად ვიზრუნებთ მის აქედან გაყვანაზე!.. - გადაჭრით დააბოლოვა მამუკამ და შეკრებილებს დასტურის მოცემის ნიშნად გადახედა.

„მართალია, მართალია, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ, სწეულეების მომტან

დილს ვინ გაქცევია, სიკვდილი დროული და უდროო არავის გაურჩევია, უფალი, ალბათ, გამოცდას გვიწყობს, რანი ვართ და, საჭიროების შემთხვევაში, როგორ დავიხრცოთ უშიშრად და ღირსების შენარჩუნებით... რაც შეეხება ყორუ ანოროკსა და მის განრიდებას ჩვეუნი მიდამოებიდან, ეს უღირს და უგუნურ საქციელად ჩაგვეთვლება, ჯერ ერთი, სტუმარი, მტერიც რომ იყოს, ჩვენი ადათი არ გვაძლევს უფლებას მასპინძლის წესი დავარღვიოთ და განსაცდელში მყოფი გულგრილად მოვიძულოთ, მეორეც, თუკი ის მომაკვდინებელი სენის მატარებელია და ჩვენში ეს სენი უკვე გავრცელებულია, მისი აქედან გარიდებით, მომაკვდინებელი სწეულეებისგან ვერ განვიკურნებით და, მესამეც, ამ ყველაფერს, თვალნი რომ დაუფუჭოთ

ინტონაციით დაიწყო მგელიკამ და თანდათან ტემბრს აუწია: - ასეთი თავყრილობითა და ერთობლივი ვიშვითით, შესაძლოა, უხილაგ მტერს, მომაკვდინებელ ვირუსს ამწეუთში ჩვენ შორის თავისუფლად პარპაშის უფლებას ვაძლევთ და ის ჩვენს გულ-ღვიძლს ერთი ერთმანეთისგან ღრუნის და შიგნიდან გვანადგურებს, დღეის შემდეგ ერთდეთ შეგვფუცებებსა და თავყრილობებს, ერთმანეთისგან დაცალკეება, არ ნიშნავს სიცოცხლისთვის დახარბებას, ანატორიამ უნდა გააგრძელოს არსებობა უკუნისიდან უკუნისამდე და ვისაც გადაარჩენა უნერია, უცილობლად უნდა გადარჩეს... ჩვენ, საფხვანოში მოთათბირენი, დაუყოვნებლივ გაავარდინებელი მსჯელობას და რასაც გადავწყვეტთ, რჯულის კანონით გადავწყვეტთ, რაც თემისთვის სავალ-

ძმებმა საყოლი ხეობაში იმ დროს შერეკეს, როცა მზე ანატორის გორაკს თავზე დაადგა.

ყორუ ანოროკი საწოლიდან წამოიმართა, ქვის იატაკს კარგა ხანი უაზროდ დაჩერდა, ისეთი შენუხუნული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კლდიდან გადასახტომად ემზადებოდა და ბოლომდე ვერ გადაეწყვიტა, საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა თუ არა; კუთვით წამოადგა, მუხლებში ძლივს გაიმართა, სახლის სიმყუდროვეს მიაყურა და განცალკეებული



მერაბ შათირი ანატორი



მწერალმა მერაბ შათირმა დაამთავრა მუშაობა რომანზე „ანატორი“. გათავაზობთ ერთ თავს რომანიდან.

სტუმარს, როდემდე ვუმასპინძლოთ, ვიდრე ჩვენი ქალ-ბაღლი ამოწყდებაინ?! დაუძლურებული მგზავრი ცხენზე შევსვათ და ჩვენს მიჯნას გავარდით?!“ გაისმა აქეთ-იქედან, რასაც პანიკური მიშის გამომხატველი ისტერიული ნამოძახილების კორიანტელი მოჰყვა, ვიდრე უკმაყოფილების ტალღა გაიზრდებოდა, წარმოქმნილი ხმაური უთავგებლო ჩოჩქოლსა და მღელვარებაში გადაიზრდებოდა, თემის წინამძღოლმა მარჯვენა ხელი მაღლა აღმართა და მანამ არ დაუშვა, სანამ ორგველი სამარისებური ღუმელი არ გამეფდა.

უსწორმასწორო მოედანზე ასობით ადამიანის მდუმარე გამომეტყველება და სიცოცხლის წყურვილით ანთებული თვალები იმედის მომცემ პასუხს მოელოდა.

- ხალხნო და ჯამათნო, რაც კარს მოგვდგომია, მტყუნ-მართალს ამ შემთხვევაში ვეღარ გავარჩევთ, ვერც სამართალს დაგვანესებთ და ვერც მტერზე გალაშქრებას გადავწყვეტთ, ცხადია, კარს უხილაგი მტერი მოგვდგომია და, თუ ანატორელებს სიცოცხლე გვიწერია, მაშინ ერთად გვიწერია ვეფარის დამარცხება და, თუკი სიკვდილი გვიწერია, ვიცით, მტერი უხილაგია და დამარცხება არც ისეთი სამარცხვინოა, ჯაბანს ვერავინ გვიწოდებს, რადგან ხმალსა და ხირიმში არ წავაგებთ ბრძოლას, ასე რომ, რაც გვიწერია, ვერ ავცდებით... ჯობს უხილაგ მტერთან ღირსეულად დამარცხება, ვიდრე დიაცურად ვიშრიძო და უხორცო მტრის წინაშე დალაშქრება, ჩვენ ანატორელები ვართ!.. - ხეთისომ გორაკზე ნამოკუნებულ პატარა სალოცავსა და საუკონოვან მუხის ხეს გახედა და ხმას საგრძობლად აუწია, - ჩვენ, ლაშარის ჯვრის ყმანი და ღვთისთვის თავშეპირული ქრისტიანები ვართ, გალომგულება გვმართებს, „შიში ვერ იხსნის სიკვდილს!“ ჭირმა ათასი მოკლა, ჭირის შიშმა ასი ათასიო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და მათ ბრძნულ შეგონებას მივჰყვით... სიკვ-

და, ყურნი დაგუყურეთ, ხევის სხვა დანარჩენი მოსახლეობის ბედზე არ უნდა ვიზრუნოთ, არ უნდა ვიფიქროთ, უცხოელი მოგზაური ჩვენს მოძმე ხალხში, მეზობელ თემში შეიტანს ინფექციას და იქაურებს მასიურად დაასწეულებს?... ამით, ჩვენ, რა ხეირს ვნახავთ, გარდა ჩვენი წმინდანდან-თავან შეჩვენებისა?... - მქადაგებელი წამით შეყოვნდა, ამ დროს მომადლო ბეჭობზე მდგომთ პაპუნა შეუერთდათ, რომელმაც დასტაქარს ისე გადაუჩურჩულა, ხეთისოსაც გაეგონა, „მდინარესთან ახლოს, სოფლის განსაწეულში, ყორუ ანოროკი გარდაიცვალა!..“ სმენადაძაბულმა ორატორმა ისიც შენიშნა, სიმხნევემწერარუნებული პაპუნას სახალხოდ გამოჩენამ, რომელსაც ბიჭუნა დაუხსნულდა და დამწუხრებულად არ გამოიყურებოდა, ანატორელებზე გარკვეულწილად გადამდები შთაბეჭდილება მოახდინა, ხმაში სიმტკიცის მოძალეობა იგრძნო, თითქოს სული მოითქვა და შთაგონებით განავრძო: - რა მისიაც უფლავს გააჩნდა, როცა ქვეყნიერებას კაცად მოვევლინა, იგივე მისია გააჩნდა თითოეულ ჩვენგანს, ეს არის ღირსეული სიცოცხლისა და - ღირსეული სიკვ-

დებულო გადაწყვეტილება გახდებდა და რასაც ეტაპობრივად გაცნობებოთ!.. ხეთისომ, ხუცესმა, ბეგლარმა და მათ გარშემო მომადლოზე მდგომებმა დასტურის ნიშნად თავები დააკანტურეს და ანატორელთა დაშლის პროცესს დაკვირვებით მიაღვენეს თვალყურით.

ამ დროს აქა-იქ ჩოჩქოლი ატყდა, რამდენიმე დიაცი და მამაკაცი უღონოდ შეიქნა, დანარჩენები მიეშველნენ და ფეხზე ძლივს წამოაყენეს, მხრებში შეუდგნენ და თავიანთი საცხოვრებლისკენ წაიყვანეს, ფეხზე მხნედ მდგომები ჭირისუფლის როლს ასრულებდნენ, ხოლო დაძლურებულებს სასწრაფო კვეთილი გამომეტყველება ჰქონდათ.

უხილაგმა მტერმა, როგორც ჩანდა, ანატორელებს შორის ვერაგულად ითარემა და რამდენიმეს მუსრი გაავლო...

ანატორში თითოეული მამრის დაუძლურება, გვარ-სამანისა და ჯალაბობის, საკუთარი კერის, ჯარისკაცის, ქვეყნის მოდარაჯის დაუძლურებასა და ხეობისთვის აუნაზღაურებელ დანაკარგს ნიშნავდა.

პაპუნას ერთი ბიჭუნა ჰყავდა, მზე და მთაურე მასზე ამოდიოდა, განსაცდელს არ შეუშინდა და, გამოდმებით ცოლ-შვილის გვერდით რომ ეტრიალა, დილაუთენია ჩალხიას უხმო და საძოვარზე გარეკილი ნახირი ანატორში ჩამოვარდა და მდინარესთან ახლოს, სათადარიგო, სამემოდგომო ბოსელში დააბინავა; მისი ტყუპისცალი ჩალხია უცოლო გახლდათ, ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობდა, როცა მეზობლები ხუმრობანარევი სერიოზულობით შეახსენებდნენ, დროა დაწყვილდე, თორემ გაბერბიჭდები და უღელიც დაგიმძიმდებო, ცალყბად ჩაიღიმებდა, უნდა ვევედროთ, მთებზე ვადგენ, წმინდა რიტუალებითა და ჯვრებით, გადმოსასველელ-გადასასველელები ჩაკეტონ, მომსვრელი ფაშის ქმედებისა და შესაძლებლობების არეალი, ძლიერი სულიერი ენერგიებით შეკუმ-

სადგომი ლასლასით დატოვა, რადაც უნდა დაჯდომოდა, აქაურობას უნდა გაცლოდა, მის გამო სხვა დანარჩენი განსაცდელში არ უნდა ჩაეგდო, ისე გაიარა ვინრო და ხროკი ქუჩები, კაცისშვილი არ დაუნახავს, დაცარიელებული საცხოვრისებიდან ჩამიჩემი არ ისმოდა, როგორც იქნა, ხეობამდე ჩააღწია და მდინარის გასწვრივ ამავალ ბილიკს დაადგა, გზადაგზა ისვენებდა, ხელს გულზე იკიდებდა და ჰარს ნაპირზე მოფართხალე თევზით ისუნთქავდა, მოსაფრინებელი ნიაგი ქროდა, მაგრამ უნებავად მაინც არ ჰყოფნიდა, თითქოს საცა იყო სულს დალაფავდა და, უცებ მუხლებზე დაეცა, ორივე ხელი მკერდზე მოიკიდა, თავი ჩაქინდა და მარჯვენა მხარით ლოდს მიეყრდნო, პირს ალბდა და ჩასასუნთქ ჰარს ეძებდა, იხუთებოდა, თვალს უშწოლად აცეცებდა, ბოლოს თავი ლოდისკენ გადასწია და ერთი სამშვენივად ამოისუნთქა, იქვე განუტყვავა სული.

პაპუნა და ჩალხია გარდაცვლილ-თან იმ დროს მივიდნენ, როცა სხეული ჯერ კიდევ თბილი იქნებოდა, „წავალ, თემს შევატყობინებ!“ გამოცრა პაპუნამ და ტყუპისცალს გარდაცვლილთან დარჩენა ანიშნა, ნადირი არ მიეცანოსო.

„გულის დაავადებაც ჰქონია - ფანგადების მწვავე უქმარისობა!..“ დასაკვნა მგელიკა დასტაქარმა და ხეთისოს შეხედა, ცხედარს რა ვუყოთო.

- საფლავი იქვე, გზის პირას გაუთხაროთ, თავთან ხის ჯვარი დაუყავათ და დიდი ქვა დაედოთ, ვინ იცის, იქნებ ოდესღაც ჭირისუფალი გამოუჩნდეს და მოიკითხოს... გლოვისა და პატივით დატვირების დრო ნამდვილად არ გვაქვს, საფლავზე უცხოელი მოგზაურის შესანდობაროც ითქვას, ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლია!.. - შექუხებული სახით თქვა ხეთისომ და ბეგლარს შეხედა, ამ საქმეს შენი ბიჭები თუ მოავგარებოთ.

ბეგლარი მორჩილად ადგა, საფხვანოდან უხმოდ გავიდა.

- კიდევ კარგი, იმ მამაცხონებულს, სიკვდილმა უწია, თორემ ჩვენი სესაჩერებელი გახდებოდა!.. - მრავალმნიშვნელოვანად თქვა გელამ და დასტაქარს შეხედა.

- რაღაც უნდა ვილონოთ, ამ სწეულეების ბაცილა შესაძლოა უკვე თითოეულ ჩვენგანშია!.. - გამოცრა მგელიკამ და მოკლე წვერზე ხელი დაისვა. - ეს უსათუოდ ჭირია, ისე უნდა მოვიმოქმედოთ, ანატორიდან არსად გააღწიოს, ჩვენს სალოცავებს უნდა ვევედროთ, მთებზე ვადგენ, წმინდა რიტუალებითა და ჯვრებით, გადმოსასველელ-გადასასველელები ჩაკეტონ, მომსვრელი ფაშის ქმედებისა და შესაძლებლობების არეალი, ძლიერი სულიერი ენერგიებით შეკუმ-

შონი... – საუბარში ხუცესი ჩაერთო და პირველი გადაინერა.

ხეთისოს თითქოს რაღაც ენიშნა – თავში ახალი აზრი მოუვიდა, თვალები გონმოსულივით გაუფართოვდა.

ბეგლარი მობრუნდება, სხვა თემის კაცებიც შემოგვიერთდებიან და დროა, სამოქმედო გეგმა დავასახოთ, გადწყვეტილებები მივიღოთ, უმოქმედობა სიკვდილთან წილნაყარობის ტოლფასია!... – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და საფეხებს შემოსასვლელს გახედდა.

ნაშუადღევს თემის კაცები შეიყარნენ.

ბეგლარი თავის მეომრებთან ერთად დაბრუნდა.

ბევრი იბჭეს და ითათბირეს, გელა სისაურმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა, ყველაფერი გადაქტიკურ ნილსვლემზე და მოკიდებული, შესაძლოა ცხელმა ამინდებმა ვირუსს უკან დაახვეწინოს და ძალა დააკარგვინოსო.

მგელიკა დასტაქარმა, ერთმანეთთან დისტანცირება გემართებს, ახლა კონტაქტებს მაქსიმალურად უნდა ვერიდოთ – იზოლირების წესი დავიცვათო.

ხუცესმა, ჩვენს წმინდანებსა და სალოცავებს მოწყალება უნდა ვთხოვოთ, თემისა და ხეობის ხატებს საკლავი შევნიროთ და ლაშარის ჯვრის სასწაულმოქმედება გადაგვარჩენსო.

სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა და თემის კაცებმა ერთმანეთის აზრი პატივისცემით მოისმინეს.

ხეთისო, მთიელთა ბჭობასა და არგუმენტთა გაცვლა-გამოცვლას, დიდი გულისყურით ადევნებდა თვალყურს, ბოლოს სიტყვა ითხოვა და შეუვალი ტონით დაინკო:

– უნდა აიკრძალოს სოფლიდან გასვლა, დიდის თუ პატარასი, სოფელში არავინ იქნას შემოსული, მოსახლეობაში პანიკის დამთესავი მკაცრად უნდა დაისაჯოს, სავარგულეებსა და სათიბებში სიარული კატეგორიულად შეწყდეს, საქონელი დამოუკიდებლად უნდა გაიდენოს საძოვრებზე, რომელიც საღამოსან დაბრუნდება, საძებრად არავინ ნავიდეს, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს აკლამების ტიპის შენობების აგება მდინარის ვაღმა და ყველა დასვენებული იქ უნდა განთავსდეს, იკრძალება ერთმანეთთან სტუმრობა და ღრუბობის გამართვა, შეიქმნება მასველთა ჯგუფები და აკლამებთან საკვება მიმწოდებლები, ასევე, ანატორის ყველა შესასვლელ-გასასვლელი ვიწრო გზები თუ ბილიკები გაკონტროლდება, გაიმართება საგუშაგოები და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ვინც გაფრთხილებას არ დაემორჩილება, მეთოფურს უფლება ექნება გამოიყენოს უკიდურესი ზომები და მოახდინოს ურჩის ადგიზე ლიკვიდაცია, სამაშველო და სამშენებლო საქმეებს, დარაჯთა მორიგების განრიგსა და სანდო მონაწილეთა შერჩევას ბეგლარი უხელმძღვანელებს, თავის გეტრანებს ისე გაანაწილებს, დარწმუნებული ვარ, დაკისრებულ მოვალეობას ღირსეულად შეასრულებენ... თითოეული თემის კაცი, დღევანდელი საათობროს წევრები, სრულფუნქციონარ ხმის უფლებით ისარგებლებენ და ანატორიაში ამჟამად ყველა საჭირობო საკითხი განიხილება და შეთანხმებული იქნება თემის კურთხეულ შემადგენლობასთან... თუ ერთხმად აცხადებთ თანხმობას გამოთქმული მოთხოვნებისადმი, მაშინ ღია კენჭისყრისთანავე ამ მოთხოვნებს მიეცემა რეალური კანონის ძალა და მას ყველა უნდა დაემორჩილოს!... – ხეთისო დაუდგა.

საფიხნოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თემის კაცებს ისეთი გაოგნებული გამოქცევა ეტყობა შქონდათ, თითქოს ეს-ესაა თავზე მოწოდებული და მოვარდნილმა ზვავმა გადაუარათ, თანდათან გონს მოეგნენ, უჩვეულო და მათთვის ჯერაგანცილი ნარმოდგენიდან მალე მწარე სინამდვილეში დაბრუნდნენ, ყველაფერი საღად გაიზარეს და მარჯვენა ხელი სათითაოდ მალა ასნიეს, რაც იმას ნიშნავდა, ხევის თავკაცის გადაწყვეტილებას მხარს ერთხმად უჭერდნენ, რასაც უკვე დავიდან რეალური კანონის ძალა ენიჭებოდა.

ნის ძალა ენიჭებოდა. ანატორის მთიდან მეორედ ამოსული მზე კავკასიის ჩრდილოეთ კალთებს მოეფარა და ხეობაში ბინდი შემოიპარა.

დალადა. ანატორელებისთვის ეს ღამე არ იყო ჩვეულებრივი, მათ უკვე მშვიდად აღარ ეძინათ, ყველა კუთხესა და კუნჭულში ჩასაფრებული სიკვდილი ელანდებოდათ.

დილიდან სოფლის ოთხივე მხარეს, ბეჭობებზე, ხის ჯიხურები დადგეს და თოფით შეიარაღებული გუშაგობის განრიგი დაწესდა, ყველა საცაღფეხო და სამარხილე გზა მკაცრ მეთვალყურეობას დაექვემდებარა..

ანატორი ყველა მხრიდან ჩაკეტილი დასახლება გახდა.

მდინარეზე გადასასვლელი ხიდის აგება სწრაფი ტემპით წარმართა, ვეტერანების ერთი ნაწილი ვაღმა ნაპირას აგვიდა და ზეგნად გამოიღო სივრცეში, იქ სადაც მთას მდინარე ორად ჰყოფდა და სადაც ხეობის ქარი უწყვეტად ქროდა, აკლამების მშენებლობას შეუდგა, სიბის ქვებისა



და კირქვის მასალისთვის შორს წასვლა არ დასჭირვებიათ, გამშაგებულ მდინარეს ადიდებისას კლდის ქანები და მოზრდილი ქვარორი ნაპირ-ნაპირ ოხრად გამოერყია, სამაროვანი კედლებამოშენებული სამარხებისა და მინისზედა, ისრული ფორმის აკლამების წამომართვის პროექტი ცოცხლად შეიმუშავეს, იატაკიდან დაწყებული კამაროვანი შიდა სივრცე წვერნაკვეთილი სახურავით დასრულდებოდა, ხოლო კედლების გასწვრივ სამ-ოთხ იარუსად ფიქლის თაროები დამონტაჟდებოდა, წინა ნაწილს ნელ-ნელა მოსახრეულად შესასვლელი დიერ გაუკეთდებოდა, რომლის ამოქოლვა ადვილად შეიძლებოდა.

აკლამების ადგილმდებარეობიდან გაღმით, მოპირდაპირი ფერდობზე სოფლის სასაფლაო მოჩანდა.

ანატორელი მოსახლეობისთვის თემის საგანგებო გადაწყვეტილება – საკარანტინი პირობებზე გადასვლის შესახებ – მეორე დღესვე ცნობილი გახდა, უმრავლესობისთვის, მიუხედავად მოსალოდნელი წირთათმენისა, თემის კაცების მიერ დადგენილი ცხოვრების ახალი წესი, უცილობლად დასამორჩილებელი და რეალური კანონის ტოლფასი გახდა, თუმცა, აცხადებდნენ, რომლებიც არსებობის ამგვარ შეზღუდვას ძნელად შეურიგდებოდნენ, საკუთარი ბედ-იზღობის გამოუდგებასა და თავისუფლების აბსოლუტურად დაკარგვას ვერაფრით შეეგუებოდნენ.

დალი არაბული – ბაღლობიდან სულიასთან თანმშენებელი – რომელსაც მარიას ძუძუ ჰქონდა ნანოვი, მწვანე თვალებით, ქერადან ნაბლანდოში გარდამავალი თმით, ლობობის ბოტკოვით გაღვივებული ტუჩებითა და მთის დედოფლის დაჭირვლილი სილამაზით, მოქნილი ტანითა და სხარტი გონებით, დაუმორჩილებლობის განსახიერება გახლდათ, ანატორელები ქალაბიჭას ეძახდნენ, ცხენზე ჯირითში ბარეორი ვაჟკაცი ტოლს ვერ უდებდა, ტყვიას მიზანში უწვდენდა,

მშვილდისარს ამაზონივით ისროდა, ფარიკაობაში მასთან ვაჯიბრება ზოგჯერ სულიასაც უჭირდა, ისე, როგორც მანდილოსანი, ნაზი და ნებიერა გახლდათ, გულაჩუყება ადვილად შეეძლო, მონოდებით სიკეთესა და მონყალების მსახურს განასახიერებდა; მამამისი, ობოლა არაბული, ადრეულად დაქვრივდა და მამისერთა ქალიშვილს პატარაობიდანვე ანებიერებდა, განგებამ გვარის გამგრძელებელი არ მარგუნოა და, ბიჭივით ზრდიდა, თოფის სროლასა და ცხენზე ჯირითში მან ფანვრთა, ცხვრის გატყავებისა და ძროხის საშოდან ბოროლას გამოწინების ხერხებს დააჩვიდა და ლუდის გამოხდის საკუთარი მეთოდიც ასწავლა, რაც ცხოვრებაში გამოადგებოდა და ფონს გაიყვანდა, ყველა ხერხი და მეთოდი ქალიშვილს გადაულოცა; თავად ობოლა არაბული, ობლობაში გაიზარდა და, კარგად იცოდა ობლის კვერის გამოცხობის განვლილი დროის შესახებ, ღმერთმა ერთი შვილი მაჩუქა და, არ მინდა თავი დაჩაგრულად და დაობლებულად იგრძნოსო, ბედისწერამ ამქვეყნიდან უდროოდ წასვლა რომ მარგუნოსო,

ამას წინათ შატლიდან შუამავლები ესტუმრნენ, ერთი კაი ყმის შემონათვლი აუწყეს, ცოლად გამომყვით, ხატობაში ერთხელ შენახვედრი ჭაბუკი უთვლიდა – ჯიშინი გვარისა და შეძლებული სახლელის პატრონი სიყვარულსა და ბედნიერებას ჰპირდებოდა.

დალი მამინვე თავის დედობითან გაიქცა და გულისფანცქალით ახარა, კარს ბედი მომადგა და როგორ მოვიქცეო, მერე მათ საუბარს შემოსწრებულ სულიას დარცხვინით დაეკითხა და ყმანვილის ვინაობა დაუსახელა: „შატლიელ ბეჭა გიგაურს თუ ცნობ და, რას მიჩნევ მისიგულო?..“ მკერდზე დასავით მიეხუტა; „მაგ ვაჟზე აუგი ჯერ არ მსმენია, სადაც კი გადავყრივარ, ხატობასა თუ რომელიმე სხვა დღესასწაულზე, მასზე ყოველთვის ქება-დიდება ჩამწვეთება, სიჩაუქითა და მოშულართან ღირსეული კეჭნაობით მუდამაძ მოვიბღურვარ, გვინებ, არ იქნება ურიგო საქმე, შე ქალაბიჭა!..“ – დაამშვიდა სულიამ და ნიკაბზე უჩქმიტა, გამოაჯავრა.

ხეესური ქალი სიხარულისგან ცას

კაცის ფხიანობასაც შევათვისებო და, ენა უყიოდა, თუ მართლაც უტყუარი წინათგრძნობა ჰქონდა – ერთ ზამთარს ვიდრე ცხვრის ფარას სამშვიდობოზე გალაღავდა და საიმედოდ დააბინავებდა, ლეკები ვერაგულად თავს დაესხნენ და ალყაში მოაწყვდიეს, ხეესურმა კომბალი და ფრანგულ თანმიმდევრობით დაატრიალა და რამდენიმე ავაზაკის სისხლით თოვლის საბანი შეღება, ჭიანჭველებით მისეულ მომდღურს საბოლოოდ ვერ აუთავდა და ფლატეს ძვიდზე ფეხაცურებული ხრამში გადაიჩინა, „დალიკო დავაობლეო!..“ თურმე მანამ იძახდა, ვიდრემდე სული ძირამდე ჩაყვებოდა – უპატრონოდ დარჩენილი დალი, უქონლობას არ უჩიოდა, პური და ყველი მუდამ ჰქონდა, მამის დანატოვარი ცხვრის ფარა, მეწყვილე მეცხვარეების ხელში, ყოველწლიურ მატებას განიცდიდა და ქალიშვილს ეკონომიურად არაფერი უჭირდა, მხოლოდ მშობლის სიბოძა და სიყვარული აკლდა, მამის შემავალიანებულ გაღიმებასა და შეძახილს ნატრობდა; ანატორში ერთადერთი მეზობელი ეგულებოდა, ვისთანაც თავს შინაურულად გრძნობდა და სიმშვიდეს პოულობდა, მარია შეთვალს დედისა ეძახდა, ხოლო სულიას – მისიგულს.

ორი წლის წინათ პირიქითა ხეესურითიდან საქმრო გამოუჩნდა – ვაჟი უჯიშო გამოდგა, გარეგნულად წუნი არ დაეგებოდა და საპატარძლო ამან აცდუნა – ბედს დახარბდა და სულმოკლეობა გამოიჩინა, ამჩატდა, მარიას არ მოუხმინა, ხოლო წინააღმდეგობის გამოცხადებით, მომსვრელი ყამი ბობოქრობს, წადით, სიკვდილს ნუ ეთამაშებით!.. – მოზერებით გამოცრა ვეტერანმა და იმ უშირატესობის შეგნებით, რომ სიკვდილს თავად ეთამაშებოდა, თოფის სამიზნეს თვალს მოუხუტა, „გაიგეთ, ეს უკვე სიკვდილის სოფელია, წადით, აქაურობას გაეცალეთ და მშვიდობა ნახეთ!..“ გადაჭრით დასძინა და სახეზე მწარე სინანული გამოეხატა.

შატლიელმა მხედრებმა ერთმანეთს დაუჯერებელი თვალბით გადახედეს, თითქოს ზღაპრისა და ბოროტი ნარმოსახვის სამყაროში აღმოჩნდნენ, სადაც დევები სოფელს იპყრობდნენ, სასმელ წყალს ეუფლებოდნენ, რის შემდეგაც, იძულებულ მოსახლეობასთან გარიგებისა და საარსებო საშუალების დათმობის საფასურად, ულამაზეს ქალიშვილებს ინარჩუნებდნენ.

„ხელცარიელები და შერცხვენილები უკან ვერ გაგებრუნდები, ნეფეს რა პირით გეჩვენოთ, რით ვანუგეშოთ?..“ – ხელისმომკიდემ ხმა შეარბილა და ხმლის ვადასაც მზერა გაართვა.

საგუშაგოსთან შეყოვნებულ მხედრებსა და მეთოფურს შორის გამართული საუბარი, მასველთა რაზმის წევრებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ, რამდენიმე მათგანი ცხენებზე ამხედრებულმა საგუშაგოსთან მალე გაჩნდნენ და მოშორებით განლაგდნენ, შატლიელ მხედრებს მდუმარედ მიაჩერდნენ, მათ გამომეტყველებაში სინანული და მწუხარება ერთდროულად დაბუდებულიყო, მათ შორის პაპუნაც იდგა, მან ერთ-ერთი შატლიელი შეიცნო, შარმანდელ ხატობაზე შეხედრდა და ტყუპისცალთან ერთად დამღერებული ბალადა გაახსენა, მის მიმართ კეთილგანწყობა გამოხატა და ნუხილით დასძინა:

– კეთილო მეზობლებო, გთხოვთ, აქაურობა მშვიდობით დატოვეთ, აქ მხოლოდ ჩვენი განსაცდელია, ეს ჟამი ვიდრე არ გადაივლის, ანატორში შემოღწევა ეშმაკსაც გაუჭირდება, თუმცა ის ჩვენში უხილავი სახით დაძრძინს... ჩემი ერთადერთი ბიჭუნა სნეულებიდან იტანჯება, სიკვდილს ებრძვის – უხილავ სიკვდილს!.. – ხმა გაეზარა – ნუ გაგვიწყნრებით, არა მარტო თქვენი თემის, დანარჩენი მეზობელი სოფლების უსაფრთხოების გამო ანატორში მანამ ვერავის შემოვუშვებთ, ვიდრე ჩვენ შორის უხილავი სიკვდილი დააბოტებს!..

მაყრონის მხედრები საგონებელში ჩაყარდნენ, ხევის მომღერალი ყველამ შეიცნო, მის გულწრფელობასა და ნუხილში, ეჭვი არავის შეუტანია, მიხედნენ, ანატორში ისეთი რამ ხდებოდა, რაც ბედნიერებისა და მწუხარების, ტრადიციისა და ადით-წესის ყოველგვარ საზღვარს ცდებოდა – უკადრებულ მასპინძლობას აქაურები არ დაუშვებდნენ და მეზობელ მოძმეებს განზილბულებს არ გაისტუმრებდნენ, ბოლოს ბედაურები ზანტად მიატრიალეს და შატლისკენ ხელმოცარულები გაუყვანენ.

დალი არაბულმა საპატარძლო თავსაბურავი იატაკზე მოისროლა, თავბედი დაიწყევლა, ხმადაოკებით იკირა, უიღბლო ვარო, გული ამოისკინა და მოლას სულს უსაყვედურა, უფსკრულში შენთან ერთად რატომ არ გადაამიყოლე, ამ უღმობელი წუთისოფლისგან მოვისვენებდიო, მერე თოფმომარჯვებულმა გუშაგმა შეაჩერა და უკან წასვლა ურჩია: „არ შეიძლება, სოფელში საგანგებო ვითარებაა, კარანტინი გამოცხადებული და ვერ შეგშვებთ!..“

„შატლიდან გეახელით, ბეჭა გიგაურის ნარმოზაგნილები ვართ, საქმე გარიგებულისა, პატარძალი ნეფეს უნდა წაუყვანო!..“ – ცოტა არ იყოს, განყრომით მიუგეს უჩვეულო დახვედრით განზილბულმა სტუმრებმა წინ გადაღობებულ და თოფმომარტულ „მასპინძელს“, „საოხუნჯოდ არ მოესულვართ, დალი არაბულს ნაყიყვანთ და თქვენი მასპინძლობა თქვენთვის დაიტოვეთ!..“ – გაბრაზდა ხელისმომკიდე და თვალის ვადისკენ გააპარა.

„არ გაბედო!.. საოხუნჯოდ არც ჩვენ გეცალაია... ანატორში სნეულება მძინვარებს, მომსვრელი ყამი ბობოქრობს, წადით, სიკვდილს ნუ ეთამაშებით!..“ – მოზერებით გამოცრა ვეტერანმა და იმ უშირატესობის შეგნებით, რომ სიკვდილს თავად ეთამაშებოდა, თოფის სამიზნეს თვალს მოუხუტა, „გაიგეთ, ეს უკვე სიკვდილის სოფელია, წადით, აქაურობას გაეცალეთ და მშვიდობა ნახეთ!..“ გადაჭრით დასძინა და სახეზე მწარე სინანული გამოეხატა.



მირონ ხმარაბიანი:

სხვისი არ ვიცი და კოვიდ 19-ის მძვინვარებისას შალვა ნათელაშვილის ფანჯარაში თავს შევიკრიბე...

... მოდით, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი, ვინ არიან შალვას ოფისში თავმოყრილი ეს „ქვეყნის გადამრჩენები“ და მათი აზრით – მომავლის შესაქმნელი.

კი თქვა შალვა ნათელაშვილმა „ივანიშვილმა ბოსელში შეგვრეკაო“, მაგრამ მის პარტიულ ოფისს ამ შეურაცხმყოფელ ტერმინს არ ვაკადრებ...

ერთი ასეთი „სოფლის მამენებელი“ ვანო ჩხარტიშვილიც იქნება. ამ სულიერმა (მიჭირს ზოგიერთზე ლიტყვა „ადამიანის“ ხმარება) ქველმოქმედებად სულაც მილიონები რომ აბნოს, ჩემი შვილის მფარველი ანგელოზი სასუფეველის კარებში ჩაუდგება და ნიხლის კერით გამოაგდება...

ჩხარტიშვილი ერთხელ როგორღაც მოვიხელთე (მანქანიდან გადმოდიოდა). შვილის ნახატების ალბომი ვაჩვენე: – აი ეს ბიჭი მელუპება-მეთქი!.. ნართმეულის დაბრუნება ლამის ცრემლებით ვთხოვე და ცივად მომახალა: – ბანკი გაკოტრდა და ვერაფრით დაგეხმარებიო...

მას შემდეგ ჩემმა შვილმა კიდევ 18 წელი იტანა... ბოლო წლები სრულიად უმოძრაოდ და უმეტყველოდ სანოლს იყო მიჯაჭვული. უაღრესად ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა, ვისი ნახატების პერსონალური გამოფენა მხატვართა კავშირმა მოახსო და პრესა-ტელევიზიაც ქებით ალაპარაკდა (მაშინ

ვანის სურელები და „ლუმენ ჯუგა“

რაფერს ვიტყვი. ამ შაიტან-გაიტანე კაცმა „მდიდარი სექსის“ ნატრაბახებით დაგვამახსოვრა თავი. თუმცა, სოკრატეზე პლატონის თქმისა არ იყოს, ვინ იცის, მარგველაშვილის თავი „სილენიც“ ჰგონია, განძით დატენილი უსახური ყუთი და ვნახათ, შალვას ფანჯარაში რა სიმდიდრეს თუ ხარახურას გადმოაფრქვევს.

იქვე უცხო სახეებსაც ვხედავთ. მათგან ზოგი, როგორც იტყვიან – ქესეტაა, ჯიბეგაფხეკილი და ზემოთ მოსახვედრად კბილები უკანკანებთ. ელისაშვილიც ახალია, მერის საეარძელი ვერ მოიზომა და ახლა კანონმდებლისას აპირებს. წლები გავიდა და ვერ ვივინყებ მის დროს „კავკასიაში“ ნაცვალათებისგან მორწმუნე ბიჭებისთვის დაგებული ხაფანგს (ნამების კვალი ზოგს კვლავაც ამჩნევია). ელისაშვილი დღეს ასე მგზნებარედ რომ გავვიხალხო-სანდა და გავვილომდა, მაშინდელი მისი საპროტესტო ტრანსპარანტები და გაქაჩვები, რაღაც, არ მახსენდება...

ოპოზიციონერებს სხვებიც შეემატა. ბევრს სიმდიდრე თავზე გადასდის, მაგრამ მათგან შერისხული „ოლიგარქისგან“ განსხვავებით, არ მსმენია, ვინმეს დასახმარებლად ერთხელ მაინც გაქცეოდნენ ხელი ჯიბისკენ.

ერთი ასეთი „სოფლის მამენებელი“ ვანო ჩხარტიშვილიც იქნება. ამ სულიერმა (მიჭირს ზოგიერთზე ლიტყვა „ადამიანის“ ხმარება) ქველმოქმედებად სულაც მილიონები რომ აბნოს, ჩემი შვილის მფარველი ანგელოზი სასუფეველის კარებში ჩაუდგება და ნიხლის კერით გამოაგდება: ბიჭის საზღვარგარეთ (შვეიცარიაში) სამკურნალოდ მის ბანკში ჰონორარებით კაპიკ-კაპიკ ნაგროვები თანხა მეც შემეჭამა. (არ გაგახსენებთ, რა ამაზრუნენ, სისხლიან კრიმინალსაც ჰქონდა მაშინ იმ ბანკში ადგილი).

ჩხარტიშვილი ერთხელ როგორღაც მოვიხელთე (მანქანიდან გადმოდიოდა). შვილის ნახატების ალბომი ვაჩვენე: – აი ეს ბიჭი მელუპება-მეთქი!.. ნართმეულის დაბრუნება ლამის ცრემლებით ვთხოვე და ცივად მომახალა: – ბანკი გაკოტრდა და ვერაფრით დაგეხმარებიო...

მას შემდეგ ჩემმა შვილმა კიდევ 18 წელი იტანა... ბოლო წლები სრულიად უმოძრაოდ და უმეტყველოდ სანოლს იყო მიჯაჭვული. უაღრესად ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა, ვისი ნახატების პერსონალური გამოფენა მხატვართა კავშირმა მოახსო და პრესა-ტელევიზიაც ქებით ალაპარაკდა (მაშინ

ის მეოთხე კურსის, თანაც უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო) – სამი წლის წინ გამოგვეცალა ხელიდან... არადა, მაშინ ჩემი შვილის შვეიცარიაში სამკურნალოდ საჭირო საბუთები უკვე გამოზადებული გვექონდა და ბანკმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. აი, ასე გვისამარებენ ქვეყანასაც და მის მომავალსაც, ხალხის ნაძარცვით გაზულუქებული, უსულგულო მილიონერ-მილიარდელები...

მაგრამ, დახეთ, რა ადვილი ყოფილა უცოდველ კრავებად გარდასახვა: „ბოკერვილი“ ნაცებმა ევროპელობის ნიღაბი მოირგეს, ხაზარაძე პოლიტიკოსი გაგვიხდა და მნათესავით საცეცხლურმო-მარჯველული ჩხარტიშვილი დღეს „საყდარში წირავს.“ მოდი და ამის შემდეგ რაიმე ინამე!..

საპარლამენტო მართონში ახალი სახეა ულვაშცმაცუნა გრიგოლ თაშაძეც, რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე, ეგრევე ვორონცოვის სასახლეში რომ მოინდომა დაბუდება, მაგრამ ცოლ-ქმრის მადგახსნილი სწრაფვა „პიონერფილმის“ ერთი ბავშვის ცრემლმა დაბლოკა (იმხანად ცრემლს ძალა ჯერ კიდევ ჰქონდა). ნაკლები განცხრომით არც ამჟამად უცხოვრიათ, მსგავს აპარტამენტებზე ჩვენი სანყალი, ქვეყნისთვის სისხლდანთხეული მეფეები ვერც იოცნებებდნენ და ბევრს გაუკვირდა: რა უნდა ამ ნებიერა ბუნურულს, რა ხელისუფლებაში შევარდნა აუტყდაო? „გაგხევე ნაკერავზეო!“ – ისიც კი დაიქადა და პარლამენტის წინ ნაცხროვასთან ერთად ხელისუფლებაში შესაგარდნად გაქაჩულმა, შვილის თუ შვილიშვილის ხნის წესრიგს დამცველ პოლიციელს, ჩაქაჩნაზე მუშტები გამეტებით ურახუნა... ეს არსება სანახაობებს ალბათ არც შემდგომში მოგვაკლებს, თუ ისევ მშობლიურ რუსეთში არ გაუბერა...

საერთო გაჭირვებაში მაყუთის გაკეთება მოინდომა უმცროსმა ვაშაძემაც. (ნაცვლის ზეგონისას თავის ხალხს ყალბი საბუთებით რომ ამარაგებდა). დახლი ჩამოვდა და ხელეების ფშვნეტი დაიძახა: – აბა, სამედიცინო ნიღბები „ვედრო მანეთადო!“ მაგრამ ხელისუფლებამ ბევრად იაფად გაშასხა და ვაშაძეს ბიზნესი ჩაუფარდა; დარჩა გატრიზავებული და ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილი პელიკანივით სახეარეული...

შალვას ოფისს შეხიზნულ ოპოზიციონერებს შორის ისეთი ვინმეცაა, თავიდან თვალებს არ დაეუჯერე: – სექტანტი „მღვდელი!“... თუმცა, არ ვიცი, „მამაო“ კენჭს იყრის თუ – ელგებეტურ პალოს, მაგრამ

ვაქტია, დაბოლილი ნარკუშების სულიერი მოძღვარი, სახელად გირჩი (სვანებს რომ ცილი დაგვანა, კუბდარში მარისუანას ურევნო), მათ შორის ყელყელაობს და საქმიანდაც აქტიურობს. ამ წითურ ტარტაროზს თავის ამ ციქცნა ქვეყნის მრავალრიცხოვან საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზში ისეთ უცნობ სახეებსაც ვხედავთ, „რა ტყუილად გაჭმევთ პურსაო!“ – ენაზე რომ მოგადგება, მაგრამ, რას ერჩი, არიან ბოროლებივით და დეპუტატობით ნეტარყურობენ;

თუ ასეა, ჩვენც შევქმნით ახალ პოლიტიკურ პარტიას სახელწოდებით „ლუმენ ჯუგა“ („სვანური მუშტი“), რატომაც არა? – ნამდვილად მომწონს!.. ზემო და ქვემო სვანები იმისთანა პოლიტიკურ „შინავორგის“ გაგაჩაღებთ, ბევრმა თვალები დაყვლიპოს. მე შენ გეტყვი, ქვეყნის ერთგულებაში ჩვენებურებს ოდესმე რამე შემლიათ. ეს ყველაფერი, რა



თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ ისიც ხშირ იყო, რომ სააკაშვილი სვანებს სწორედ უანგარობისა და ქვეყნის ერთგულებისთვის გადაემტერა, რაკი ვერ მიიმხრო, ზოგი დახოცა, ზოგსაც სისხლი გაუშრო ცალკე ციხეებში და ცალკე – სვანეთში. მისმა ჯალათებმა მკვლელობის ერთ-ერთი „ნოუ-ჰაუც“ სრულიად უდანაშაულო სვან ახალგაზრდაზე გამოსცადეს: ნანამები ცინდელიანი შავ ზღვაში ბლოკმბული ჩაძირეს...

ორიოდე სიტყვა ბიძინა ივანიშვილზე: თავისი ღვანლის აფიშირება არ უყვარს. ქველმოქმედება და მეცენატობა მისი სულიერი მოთხოვნილებაა, „ეს ჩემი ქვეყანაა და ჩემი ვალდებულებააო“ – ამბობს. არსებული საბუთებით, ქვეყნისთვის უკვე სამილიარდზე მეტი დაუხარჯებია, ასობით მილიონი – ამ დღეებშიც, მაგრამ ვინ უფასებს? რა რჯისო? – იმასაც იკითხავენ, მაგრამ რად უნდა ლაპარაკი, ვისაც კი ჩვილობიდან მშობელი მინის „ცვირან ბალახზე ფეხშიშველა“ ურბენია, ის ჯადო

მინა უკვე სხვანაირად, მშობლიური სიყვარულით მუხტავს. „ბავშვობისას უღელში შემბმული პირუტყვი ისე შემცოდებია, მიფიქრია, ნეტავი შენაცვლება შემეძლოსო“ და ისიც უთქვამს, მეზობელ სოფლებში სახლების მშენებლობებზე შავ მუშადაც ბევრჯერ მიმუშავიაო... ამან მე არადადეგების პერიოდში, როცა თანატოლები პიონერთა ბანაკებში ერთობოდნენ, სხვის სამწყემსურში გატარებული ჩემი მუხლებზე შარვაღამოგლეჯილი მოჯამაგირეობა, ჩამწარებული ბავშვობის ხანა და მეცხრე კლასში უფროს სვან ბიჭებთან ერთად, თბილისში, ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიული მშენებლობაზე ქანცის ნყვეტაც გამახსენა, სადაც, ულმოებელი ბენიანერით, მომავალში თურმე ჩემ შვილს უნდა ეტანჯა...

ჰო, ვანო გამომრჩა, – მერაბიშვილი (და მასთან ერთად რამდენი ბოროტმოქმედიც კიდევ!), მატ-

როსოვის სანატორიუმიდან გამოსვლისთანავე, აივანზე ყინჩად გადმოდგარმა, ეგრევე მუქარა და მუშტების ქნევა რომ დაიწყო – „ხელისუფლებას დავამხობო!“


სამართლიან ქვეყანაში „მეტრუპე“ ვანო კი არ დაამხობდა ხელისუფლებას, თავად მას სამუდამოდ ჩამხობდნენ იქ, საიდანაც გამომუშვები, ვიდრე წერილს მოვამთავრებდი, პირველმა უჩვეულო, კარანტინში მოქცეულმა აღდგომამაც ჩაიარა... ამ დღეს ქაშვეთში ღამენათევი გიგი ანთებული სანთლით ხელში, სიხარულით შემოგვიღებდა ხოლმე სახლის კარს. გვიკვირდა, ისე შორიდან ამას როგორ ახერხებო? ახლაც, ცოცხალი რომ მყოლოდა, ეკლესიისკენ მიმავალს, ვერაფერი შეაჩერებდა...

ეს წერილიც ტკივილმა დამანერინა. გზადაგზა მე და ჩემი მეუღლე აზრებს ერთმანეთს ვუთანხმებდით. პასუხისმგებლობას გიგის სულის ნინაშეც ვგრძნობდით, რეალიზაციის გზებს რომ ეძებდა, მაგრამ იმ ჩუმი, გამოუთქმელი ბიჭის მგრძობიარე სულმა, ქვეყანაში არსებული მქნეს, გარქოვანებული საზოგადოებრივი გარსიდან ვერ გამოაღწია და შინაგანი წვით, თვითალებით ჩაიფერვლა. ეს არა მხოლოდ ჩემი ოჯახის, ზოგადად ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა: – რამდენი ასეთი პოტენციური ნიჭი გველუპება უკვალოდ!.. თხრობასაც მისივე სიტყვებით დავასრულებ მედიტაციური პარადიგმიდან – „სული ოტებული“, რომელიც 22 წლისამ დანერა:

„...სხვა არა უნდა იგლოვო-რა, თუ არა ბოროტი საკუთარ თავში, რადგან სხვისი ბოროტის გლოვა ერთმა უფალმა შეძლო. შენ სხვისი დაკარგული სიკეთე იგლოვე და იგივე – საკუთარ არსებაში ამ სიტყვებით: – თუ შეგვიძლია, რომ უკეთესები ვიყოთ, რატომ არ ვხდებით?“ გიგის ეს კითხვა კვლავაც პასუხგაუცემელია...



სპარსული კლასიკური ლირიკა



ომარ ხაიამი (1040–1123)

* * *

საზრუნავს ჩვენსას აღარ უჩანს თავი და ბოლო, გვაკლდება შეება, გვემატება ტკივილი მხოლოდ. დიდება უფალს, არასოდეს დარდი და ურვა არა გვექონია არავისგან ჩვენ სამათხოვრო.

* * *

შეხედე, როგორ დაგვმხოვია ცარგვალი რისხვით, მისგან ვერცერთი გონიერი თავს ვეღარ იხსნის; აი, მე მესმის მეგობრობა დოქის და ჯამის, მათ ბაგე შორის მიმოქცევა ნიადაგ სისხლის.

* * *

არა ხამს გულში მწუხარებამ დაიდოს ბინა, სამხიარულო შენ დაიდე წიგნები წინა. დალიე ღვინო, აისრულე წადილი გულის, ამქვეყნად დიდხანს არ დაგარჩენს, ვინც გაგაჩინა.

* * *

ხაიამ, ღვინით თუ ხარ მთვრალი, ბედს ნუ ემდური, თუ გვერდით გიზის კოხტა ქალი, ბედს ნუ ემდური. წარმოიდგინე ეს რაობა არარაობად, სული რომ გიდგას, გაიხარე, ბედს ნუ ემდური.

* * *

სამყაროს რწმენა და მიზანი — ჩვენა ვართ მხოლოდ, ბედნიერების წყაროს წყალი — ჩვენა ვართ მხოლოდ. ეს წრე დიადი სამყაროსი ბეჭედი და უძვირფასესი მისი თვალი — ჩვენა ვართ მხოლოდ.



ხაყანი შირვანელი (1120–1190)

* * *

ბევრ ქვაზე გადავიანკარე, როგორც მდინარემ, ბევრი წავლექე ნარ-ეკალი, როგორც მდინარემ. როგორც მდინარემ, მშობლიური დაუტოვე მხარე და ვერ ვიქციე პირი უკან, როგორც მდინარემ.

* * *

ვაი, როგორ მოკვდა გული, დამრჩა მზერა წყლიანი, ვის დაინდობს ეს საწუთრო, ანუ ბედის ტრიალი. ვველაფერი, რაც გაესინჯე წუთისოფლის სუფრაზე, ან მთლად უმარილო იყო, ან მთლად მარილიანი.

* * *

არაფერია, ჩვენი ყოფა, არაფერია, ლამაზ ნოხებით სახლის მორთვა არაფერია. ახალგაზრდობა — ერთადერთი არის ნუგეში, ახალგაზრდობაც, რომ დაფიქრდე, არაფერია.

* * *

ტოტი ქვეყნისა, ხაყანის აზრით, ნაყოფს ისხამდეს, არა ღირს იმად.


ტკბილეულობით გაშლილი სუფრა ბუზს ხელს უქმევდე, არა ღირს იმად. ხოტბას ასხამდე მბრძანებელს შენსას, ოქრო და ვერცხლი არა ღირს იმად.

* * *

ოი, ხაყანი, იგლოვო უნდა, კაცი არ არის დღეს შენებრ ცოდვა; მტვრზე მეტი ჩანს შენს ირგვლივ მტერი, მეგობარი კი — ოქროზე ცოტა.

გომონას ბარდასვალეზაძე

ჩემმა ჭკვიანმა, შორსმჭვრეტელმა პაწია ცირამ ნახა, სიცოცხლე ამაოა, არა ღირს ჩირად. და საჩუქარმა, ნაბოძებმა იდუმალეთით, არ დააყოვნა, არ დაილო სოფელში ბინა. წმინდანად იყო მოვლენილი ამსოფლად იგი, უწმინდურება მცირე ხნითაც ვერ მოითმინა. ნახა მწუხარე, ღარიბული სადგომი ჩემი, წავიდა ჩუმად, დათუთქული დამტოვა შინა. ნახა დაია მან თავისი, სუდარით ჩადრის, ესეც კმარაო, გაიფიქრა, ოჯახში ჭირად.



ჯეულალ ედ ღინ რუმი (1207–1273)

* * *

მომხედე, შენმა სიყვარულმა ხელად მაქცია, ქალაქი ვიყავ, უკაცრიელ ველად მაქცია. შენზე ოცნებამ განმაშორა სახლსა და ნივთებს, დარდების თანამოსახლედ და მხეველად მაქცია. ნუ იტყვი იმას, დავრდომილი ვიყავი ვითარ, შენმა დანახვამ რაინდად და ქველად მაქცია. შენმა არსებამ, ოდეს ჩემში ვყავი საჩინო, მოყვასთა შორის უცხოელად გარდამაქცია. მე სიყვარულზე დღე და ღამე ზღაპრების თხრობამ თვითონ ზღაპრად და სიყვარულის თემად მაქცია.

* * *

ჩუმად წავიდე, ჩემი სული ცას გაერია, არ ვიყავ ალი, არც დემონი და არც ფერია. თოვლი ვიყავ და დედამიწამ დამღია ჩუმად, ტყვე გავიპარე აწ საშიში აფერია. მე არ ვეკუთვნი წარმავალთა, სული ვარ ოდეს, ჩემი სული ზომ მარადიულ სულის ფერია. ვიც არ მელოდა, მე მივედი იმასთან სწორედ, გული მივართვი უთვისტომოდ განათელია. გული მივართვი, გადავიქეც კაცი მიწადა, გლოვად ვიქეცი და ცრემლები შემომქელია. ბაგეთა მისთა მე მაჩუქეს ათასი გული, მაგრამ უენოს ერთი სიტყვაც ბევრ დამცდენია. უგონოდ გდებულს მომეახლა სატრფო და მითხრა: „ნუთუ გამხელა სიყვარულის ასე ძნელია!“ ო, ამ სიტყვებით უდიდესი მიჯნური გაეხდი, მოეშორდი ყველას და საეზალიც შემომქელია.

* * *

ეს სიმარტოვე ათას სულზე უფრო ტკბილია, თავისუფლება — სამყაროზე უფრო ტკბილია. ღმერთთან იგრძენი, თუნდაც წამით, არსება შენი, სხვა ყველაფერი ქვეყანაზე მოგონილია.

* * *

ხარ სათნოების უსამანო ზღვა მოციმციმე, შენ მოლოდინით არც არავის გულს არ უმძიმებ. შენგან არავინ არასოდეს არაფრს ითხოვს, მზისგან არავინ არასოდეს არ ითხოვს სხივებს.

* * *

შენს გვერდით მონა გამდიდრდება და აივსება, ხოლო ლაჩარში გაიღვიძებს გმირის ღირსება. თიხად იქცევა, თუ ისურვებ, შენს ხელში ოქრო, შენს ხელში თიხა, თუ ისურვებ, ოქროდ იქცევა.

* * *

მან გამაჩინა, მან მომაპყრო წყალობის თვალი, მან შემიკერა ეს სამოსი ძარღვით და ტყავით. ტანი ძონძია, ხოლო გული არის დერვიში, ის შეიხია, ხანაგა კი სამყარო არის.



საადი შირვანელი (1203–1292)

* * *

თუ სასახლეში არავის იცნობ, ნუ მიადგები სასახლის კარებს, თორემ ან ძაღლი, ან კარისკაცი, უმაღვე, როგორც შეგაგულეს თვალებს, ერთი ფეხებში გეცემა, ხოლო მეორე გისვრის კინწისკვრით გარეთ.

* * *

ვნახე, შუადღე უღმობელ მტარვალს ძილისთვის ტკბილად მიეცა თავი. ვთქვი, რომ ეს კაცი კარგია მაშინ, როცა მკვდარით მძინარე არის. ის ვინც კარგია მძინარე მხოლოდ, უმჯობესია, რომ იყოს მკვდარი.

* * *

ძაღლები ნახე, როს საჭმელი არაფერი აქვთ, რარიგ არიან, ერთმანეთი ან როგორ უყვართ, მაგრამ უკანალს დააგლეჯენ ერთიმეორეს, საკმარისია, გადაუგდო მათ ერთი ლუქმა.

* * *

შენ შეგიძლია, უბრალო ქვითაც რომ დაამსხვრიო თვით ოქროს თასი. ამით არც ოქროს რამ დააკლდება, არც მოიმატებს ამით ქვის ფასი.

* * *

ხელმწიფემ სისხლი საკუთარი თუ არ დაღვარა, სამეფო მისი დაიცლება სისხლისგან მაშინ. უნდა ყოველდღე ერთი მაინც მოიკლას მგელი, რომ მის ღრიალზე დანარჩენი შეძვრეს ბუნაგში.

* * *

ნუ მოეპყრობი კეთილად ბოროტს, ეს ბოროტების ჩადენა არის. იქ სადაც მგლები დადიან ლაღად, სულ ერთიანად გაწყდება ცხვარი.

* * *

მე ვარ ნაწყენი მეგობრებისგან, წარმოაჩენენ ჩემს ცუდს რომ კარგად. სიგლაზე ჩემი რომ მოსწონთ ჩემში, რომ მიიჩნევენ ჩემს ეკალს ვარდად. სად არის ნეტავ ბინძური მტერი, ჩემს თვალში ჩემს თავს ახადოს ფარდა.

სპარსულიდან თარგმნა ნოზალი ბართაიაძე

55 წელი ერთად: გაბრიელ გარსია მარკესისა და მერსედეს ბარჩას სიყვარულის ისტორია

მაგიური რელიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი გაბრიელ გარსია მარკესი სამყაროს საკუთარი წარმოსახვის პრიზმიდან უტყვევდა. მისი მემუარების ნახევარზე მეტი გამოწვანდა, მაგრამ არის ისეთი ფაქტები, რომლებიც ნამდვილია. მაგალითად, ის, რომ გაბრიელი 1927 წლის 6 მარტს კოლუმბიაში პატარა, ცხელ, ძველ პროვინციულ ქალაქ არაკატაკაში დაიბადა, მდინარე მაგალენას მახლობლად. მამამისი ტელეგრაფისტი იყო, ის ორ ცვლაში მუშაობდა და შინ იშვიათად იყო. გაბრიელი დედას აღმერთებდა, მაგრამ მას კიდევ ათი შვილი ჰყავდა და ბიჭუნას მუდამ აკლდა დედის ყურადღება. გაბოს ბებია და ბაბუა ზრდიდნენ. ბებია ტრანკლინა – მე-19 ს-ის ქალი, ამასი, ლეთისმოსავი იყო და სახლში ყველა საქმეს ის უძღვებოდა. მოგვიანებით ტრანკლინა მარკესის ბევრ რომანში გამოჩნდა იმ ქალეზის სახით, რომლების გვარის სათავეში დგანან. ბაბუა-პოლკოვნიკი 1899—1903 წლების სამოქალაქო ომის მონაწილე – შვილიშვილის თითქმის ყველა რომანში გვხვდება. გაბრიელი ქალაქ საპაკირის ინტერნატში სწავლობდა, წერა სწორედ იქ დაიწყო, მაგრამ უნდოდა, იურისტი გამხდარიყო და 1946 წელს ბოგოტას უნივერსიტეტში ჩააბარა, თუმცა ლიტერატურაში მეცადინეობები არ შეუწყვეტია. ყველა აღფრთოვანებული იყო მისი რომანტიკული ლექსებით, 1947 წელს მისი პირველი მოთხრობა და-

ზოგჯერ მარკესი ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ სკოლის წლებში მან მერსედესი სიზმარში ნახა და ამ სიზმრით შთაგონებულმა დაწერა მოთხრობა გოგონას შესახებ, რომელიც ისე ოცნებობდა მოგზაურობაზე, რომ პეპელად გადაიქცა და მშობლიური სახლიდან გაფრინდა... მარგარიტა ჩიკა კი, მერსედესის მეგობარი, მარკესის მეგობარს, ჯერლდ მარტინს უყვებოდა, როგორ აძვრა პატარა მეჩე ბარჩა ლობეზე და დამტყვერული ქუჩის ყურებისას სევდიანმა თქვა: „ო, როგორ მინდა მსოფლიოში მოგზაურობა, ვიცხოვრებდი დიდ ქალაქებში და სასტუმროდან სასტუმროში გადავიდოდი!“ მერსედესმა, ორიდან ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მარკესმა ბავშვობის დროინდელი ოცნება აუსრულა მას – ისინი ბევრს მოგზაურობდნენ. მერსედესს რაკელ ბარჩა პარდო 1932 წლის 6 ნოემბერს დაიბადა სოფელ მაგანგაში, მდ. მაგალენას სანაპიროზე. დედა კოლუმბიელი ფერმერის ოჯახიდან იყო, მამის ძარღვებში კი პალესტინურ-ევროპული სისხლი ჩქეფდა. გოგონას ბაბუა ალექსანდრიდან იყო, კოლუმბიაში კი სხვადასხვა ქალაქებში აფთიაქების ქსელი ჰქონდა. ოჯახი ხშირად გადადიოდა ქალაქიდან ქალაქში, მაგრამ მერსედესის ყოველთვის ყველაზე პრესტიჟულ და მკაცრ კათოლიკურ სკოლებს არჩევდნენ. მეჩეს გადანყვებილება, ცოლად გაჰყოლოდა გაბრიელ გარსია მარკესს, მშობლებმა მო-

ხანგრძლივი, როგორც მარკესის რომანში „სიყვარული ჟამიანობის დროს“, სადაც მთავარი გმირი ფლორენტინო არიზა ფერმინა დაზეზე, რომელსაც აღმერთებდა, სამუდამო სიყვარულის ფიცის მიცემიდან ორმოცდაცამეტი წლის, შვიდი თვისა და თერთმეტი დღის შემდეგ დაქორწინდა. მაგრამ მაინც, მეჩეს ქორწინებამდე ცამეტ წელს მოუწია ლოდინი. გაბრიელმა და მერსედესმა 1958 წელს დაინერეს ჯვარი. გაბრიელმა და მერსედესმა ბარანკილიაში ოროთხანიან ბინაში დაიწყეს ცხოვრება, რომელიც გაზეთის რედაქციამ გამოუყო მარკესს. გაბრიელი მოთმინებით ასწავლიდა მერსედესს საყვარელი კერძების მომზადებას. სამაგიეროდ, მეჩემ ეკონომია ისწავლა და რაც ყველაზე მეტად ხიბლავდა მამაკაცს, ის იყო, რომ მერსედესი ისე უფრთხილდებოდა მეუღლის ხელნაწერებს, როგორც მონუსკრიპტებს. მერსედესმა „მზითვად“ გაბრიელის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილები მიიტანა. მამაკაცმა რამდენიმე ხნის შემდეგ სთხოვა მეჩეს, გაენადგურებინა ისინი – ვინმეს ხელში არ ჩაუფარდესო. სინამდვილეში კი სურდა თავისი დაპირებების ნივთიერი გამოხატულებები გაენადგურებინა, რადგან ქალი ასხენებდა ხოლმე: „შენ პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში მწერდი, რომ ამას არასოდეს გააკეთებდი“. ბოლოს მარკესი იძულებული გახდა, ცოლისგან



მეუღლე და ვაჟი. მალე ამერიკასა და კუბას შორის კონფლიქტი გაჩაღდა და მათ ქვეყნიდან გაქცევამ მოუწია. ისინი დიდი წვალებით დაბრუნდნენ სამშობლოში. მერსედესს საყვარელი არასოდეს უთქვამს. 1962 წელს მექსიკაში მათი მეორე ვაჟი – გონსალო გარსია დაიბადა. მერსედესი მხარში ედგა გაბრიელს, როცა მან თავისი რომანის – „მარტოობის ასი წელიწადის“ წერა დაიწყო. მარკესი თვრამეტი თვით ჩაიკეტა კაბინეტში. ოჯახს მერსედესი უძღვებოდა და სახლის პატრონთან მოლაპარაკებებსაც ის აწარმოებდა. როცა სამი თვის ქირა დაუგროვდათ, მან დააზუსტა მარკესს, რამდენ ხანში დაამთავრებდა რომანს და როცა გაბრიელმა უთხრა, რომანს ხუთ თვეში დავასრულებო, ქალმა კიდევ ერთი თვე დაამატა, დაურეკა სახლის პატრონს და დაპირდა, რომ დავალიანებას ექვს თვეში გადაიხდინდნენ. სახლის პატრონი დათანხმდა და მარკესს ვალი ზუსტად ექვსი თვის შემდეგ დაფარეს. როცა მარკესმა წიგნი დაასრულა, გამომცემლისთვის გასაგზავნად ფული არ ეყოთ. მერსედესმა ფენი და მიქსერი დაალომბარდა და თან ჩხუბობდა: „ღმერთმა არა ქნას, რომ რომანი ცუდი აღმოჩნდესო!“. რომანი ცუდი კი არა, გენიალური აღმოჩნდა. მერსედესი ღირსეულად ინანილებდა გაბრიელთან ერთად სიღარიბესაც და მისი მსოფლიო დიდების სიმძიმესაც, რაც მარკესს ეწვია. 1967 წელს რომანმა „მარტოობის ასი წელიწადი“ „ლიტერატურული მინისძვრა“ გამოიწვია და გაბრიელ გარსია მარკესი ცოცხალ კლასიკოსად აქცია. მარკესს ესმოდა, რომ მის წარმატებაში დიდი წვლილი ჰქონდა მერსედესს და რომანს „სიყვარული ჟამიანობის დროს“ ეს სიტყვები წარუმძღვარა: „რა თქმა უნდა, მერსედესს ეძღვნება. ამ დასახლებებმა თავიანთი გვირგვინისანი ღვთაება მოიპოვეს“. „ეს დასახლებები“ – მარკესის ფანტაზიის სამყაროა, მაკონდოს სამყარო – სადაც ერთმანეთშია გადახლართული მაგია და რელიზმი, სადაც შეყვარებული

გოგონები მზად არიან, ათწლეულების განმავლობაში ელოდონ ქორწილს; ქვეყნისა, საიდანაც მარკესი მოვიდა და რომელსაც ასე ორგანულად შეერწყა მერსედესი. 1982 წელს მარკესს ნობელის პრემია მიენიჭა. ეს ლათინური ამერიკისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. მერსედესი გაბრიელს ყველა ღონისძიებაზე თან ახლდა. შინ დაბრუნებულმა კარადაში შეინახა საზეიმო სამოსი და თავის საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდა – განაგრძო გაბრიელისთვის კომფორტული ცხოვრების შექმნა – კაბინეტი კარგად უნდა თბებოდა, თავის დროზე უნდა ჰქონდეს ყავა, საჭმელი და სიგარეტის მარაგი. და კიდევ, მერსედესი თავის ადვენებდა მარკესის შესახებ პუბლიკაციებს, ახარისხებდა ხელნაწერებს. ხანდახან მასპინძლობდა ვაჟიშვილებს და თვალს ადევნებდა, როგორ ეკამათებოდნენ და ეხუმრებოდნენ მამას. 1989 წელს მარკესს ფილტვების კიბო აღმოუჩინეს, მაგრამ მერსედესის ურყევმა მზრუნველობამ და მკურნალობამ შედეგი გამოიღო. გამოჯანმრთლებიდან პირველივე პრესკონფერენციაზე მარკესმა განაცხადა, „წერას თავს ვანებებ და ამიერიდან მხოლოდ მერსედესის ქმარი ვარ... მე მთლიანად მას ვეკუთვნი“. 1999 წელს კი გაბრიელ გარსია მარკესს „ლიმფური სისტემის კიბოს“ დიაგნოზი დაუსვეს. წლების შემდეგ მწერალი უფრო თამამად და ლიად საუბრობდა სიყვარულზე და მის მნიშვნელობაზე: „ჩემთვის ცხადია, რომ ცხოვრების აზრი – ეს სიყვარულია... და მხოლოდ სიყვარულზე წერა ღირს... ჩემი მომდევნო რომანი, რა თქმა უნდა, სიყვარულზეა, ვნებიან, გიჟურ, უიმედო, სამუდამო სიყვარულზე“. სიცოცხლის ბოლო წლებში გაბრიელ გარსია მარკესი ალცჰეიმერის დაავადებითაც ავადმყოფობდა, იგი მხოლოდ მერსედესს ცნობდა... ზოგჯერ კი ეჩვენებოდა, რომ მეჩე ჯერ კიდევ გოგონა იყო, რომელსაც ცოდესმე აუცილებლად ცოლად შეირთავდა...

ბაჟა გველესიანი
568 90 81 22



იბეჭდა. მაგრამ მარკესი ჯიუტად მიიწვედა იურიდიული კარიერისკენ. მას ფული სჭირდებოდა, მერსედესი რომ შეერთო. ოჯახის ზოგიერთი ნაცნობი ამტკიცებს, რომ გაცნობისას მერსედესი ცამეტის კი არა, ცხრა წლის იყო. ისევე, როგორც პატარა რემედოსი რომანიდან „მარტოობის ასი წელიწადი“, როდესაც ის აურელიანო ბუენდიას შეუყვარდა. შემდგომში მარკესის რომანებში ხშირად ჩნდება ეს თემა: სიყვარული გოგონასადამი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია საქორწინო ასაკი. და ეს ყოველთვის სულელური შემთხვევითობაა: უბრალოდ, გოგონა გვიან დაიბადა და ამიტომ არის თავის შეყვარებულზე პატარა.

ზარდის ახირებდა ჩათვალეს, მაგრამ წლები გადიოდა, მერსედესი იზრდებოდა და ყველა მოთხოვნას უარს ეუბნებოდა. იგი ელოდა, როდის სთხოვდა ხელს გაბრიელი და სულაც არ ეშინოდა, რომ გაუთხოვარი დარჩებოდა. მერსედესს რეგულარულად მოახსენებდნენ ხოლმე მისი შეყვარებულის თავგადასავლების შესახებ. მეჩესთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გაბრიელი მის ყველა წერილს პასუხობდა და ყველაფერს უამბობდა, რაც მის სულში ხდებოდა. გაბო და მეჩე კვირაში ორ-სამ წერილს სწერდნენ ერთმანეთს. გაბრიელის და მეჩეს ნიშნობა ხანგრძლივი იყო. თუმცა არა ისეთი

თავისი წერილები გამოეყვინა და ქალმა მის თვალწინ გაანადგურა ისინი. 1959 წელს გაბრიელს და მერსედესს პირველი ვაჟი – როდრიგო გარსია გაუჩნდათ. რედაქციამ გაბრიელი საკუთარ კორესპონდენტად გაგზავნა ევროპაში. მერსედესი კვლავ მორჩილად ელოდა ქმარს. ქალი მხარს უჭერდა მეუღლეს მამინაც კი, როცა მას ახალი სახიფათო გატაცება – კომუნისტური იდეები – გაუჩნდა. მან კუბაზე, აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში იმოგზაურა და აღფრთოვანებულ წერილებს წერდა. მარკესს შესთავაზეს ადგილი Prensa Latina-ს ნიუ-იორკის განყოფილებაში. მარკესმა თან წაიყვანა

რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე.
სარედაქციო კოლეგია: კობა არაბული, ლევან ბრეგაძე, ლაშა გვასალია, ანზორ სიფრაშვილი, ბათუ დანელია, ირაკლი ვაშაყმაძე, ზურაბ თორია, ერეკლე სალღანი, გური ოტობაია.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლადის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

კახა ბენდუქიძე - კახი, რომელმაც საქართველო გაყოფა

გვესაუბრება პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის ადრინდელი კავშირის თავმჯდომარე, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი კალათბურთში შურბან შურიძე:

— ბატონო შურბან, სანამ საუბარს დავესაუბრებო, თქვენ ბრძანებით, ზოგიერთს დღესაც ნაციონალი ვგონივართ. დღეს რას ნიშნავს „გუშინ“ ნაციონალი იყავით?

— საქმე ისაა, რომ მე 2004 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახლავართ.

ნამდვილი დევის რაიონში ვარ დაბადებული, ჩემი სპორტული კარიერიდან გამომდინარე, ყველა მიცნობდა. ნაციონალურმა ეს მშვენივრად „იყონოსეს“ და ერთ დღეს შემომთავაზეს კიდევაც — ჩემი პარტიის სახელით კენჭი იყარეთ ნამდვილი დევის რაიონში.

— ვინ შემოგთავაზათ?

— თვითონ მიხეილ სააკაშვილმა. მე კატეგორიული უარი ვუთხარი და წამოვედი.

მანამდე დიდი ოჯახური ტრადიციები მქონდა გადახდენილი და პოლიტიკაში გარეგანად არც მინდოდა, მაგრამ ჩემი ნებართვის გარეშე მაინც შემეფიქრებინა სიაში, თუმცა ეს მოგვიანებით გავიგე, სხვამ მითხრა.

ასე მოვხვდი მათი სიით პარლამენტში, მაგრამ „ნაციონალიზმის“ წევრი არასდროს ვყოფილვარ.

— პარტიის წევრობაზე არ გქონიათ შემოთავაზება სააკაშვილისგან?

— ერთხელ სააკაშვილმა თავის კაბინეტში დამიბარა. გვერდით პატარა დაბალი სუფრა იყო გაშლილი. ვილაპარაკოთო და დავჯექით ამ მაგიდასთან.

მისამ დაიწყო: შენო, სახელოვანი კაცი ხარო, სპორტსმენიო, ხალხი გიცნობსო, შემოდი „ნაციონალიზმში“, გახდი ჩვენი პარტიის წევრიო.

სხვათა შორის, ქართული ღვინის ფალსიფიკაციის საკითხებში 70 კანონის მიღება პარლამენტში ჩემი ძალისხმევით მოხდა. თუმცა მერე ეს კანონები შეცვალეს და თავის სასარგებლოდ გადააკეთეს გარკვეული ანგარიშის გამო, მაგრამ ეს სხვა ისტორიაა.

ერთ დღეს უმრავლესობის წევრები დაგვიბარეს და გვითხრეს: ეკონომიკის მინისტრს საკითხი გამოაქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბაქო-ჯეიჰანის ხაზის გაყიდვის თაობაზე და მხარი დაუჭიროთო. მაშინ უმრავლესობის ლიდერი მათი ნადირაძე გახლდათ. მასსოვს, ამბობდნენ, ეს მილსადენი კისერზე გვაწევს და დროზე მოვიშორითო.

ობოზიციაში უკვე იყვნენ გადასული ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე, დავით საგანელიძე, ამათ ატეხეს აურზაური. შევუერთდი მეც, მივედით ამერიკის


საელჩოში და ვუთხარით ელჩს, რომ წინააღმდეგი ვიყავით. ელჩმა, როგორც აღმოჩნდა, გაიგო, რომ რუსებისთვის უნდოდა ეს ხაზი მიეყვინათ ნაცებს და წინააღმდეგი წავიდა ელჩი. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ ეს ინიციატივა კახა ბენდუქიძეს ეკუთვნოდა.

ბენდუქიძე უცებ გამოჩნდა მთავრობაში. ამბობდნენ, სააკაშვილმა მოიწვია, როგორც საუკეთესო ეკონომისტიო. ჩვენ კი ყველამ ვიცოდით, რომ ბენდუქიძე სვერდლოვსკში „ურალმაის“ ერთ-ერთი მეპატრონე იყო და დიდძალი ფულის პატრონი გახლდათ. ვფიქრობდით: ბიზნესმენი კაცია, საქართველოს წაადგება-თქო, მაგრამ, რომ იტყვიან, თურმე, სად ბანაობ.

იყიდებოდა ყველაფერი და ჩვენც პარლამენტის უმრავლესობის წევრებიც კი, ყველაფერს ვიგებდით პოსტ-ფაქტუმ.

თვენახევარში გაიყვინა საქართველოში არსებული 30 ჰესი 100 პროცენტისა და წილის მფლობელებზე. მყიდველები გახლდნენ რუსები და ეს მოხდა სწრაფად, თვენახევარში.

მსოფლიოში არ არსებობს მსგავსი პრეცედენტი. სახელმწიფოს საკუთრებას 49 პროცენტზე მეტი წილით არ ყიდნან, რადგან პაკეტი უნდა დარჩეს სახელმწიფოს მფლობელობაში.



რატომ უნდა მოიხსნა გორაკებმა ანაი და ვაშლი, როცა არგენტინიდან უფრო იაფად შემოვიტანთ?

კახა ბენდუქიძე 2008 წ.

ახლა რომ ამბობენ, ღვინის იმპორტი გვაქვს რუსეთიდანო. ეს, ბატონო, გახლავთ ჩვენი, ფინჯალის ჰესის პროდუქტი და ადევს მფლობელის, ანუ რუსეთის ფასი.

დღეს ვაი ნაციონალები იმას გვაყვებოდნენ, ჩვენი მმართველობისას ბიუჯეტი გაიზარდაო. გაიზარდა, მაგრამ რის ხარჯზე? 30 ჰესი გაიყვინა, ბიუჯეტში, ალბათ, ჩაიდო ორი ჰესის თანხა, დანარჩენი თვითონ დაისაკუთრეს.

— ბენდუქიძე ახსენეთ ზემოთ და მას ეკუთვნის გამონათქვამი — იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდაო.

— ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — ბენდუქიძეს სინდისი გაყიდული ჰქონდა, როგორც ჩანს და რაღას გაყიდდა, რაც აღარ ჰქონდა?!

ცოტა ხნის წინ რუსულ პრესაში რუსეთში მოღვაწე, რუსეთის მტერი ოლიგარქების სია და მა-

თი მდგომარეობის ჩამონათვალი გამოქვეყნდა. ზოგზე წერია, რომ არის ციხეში, ზოგი — სხვა ქვეყნის სამსახურში, ქართველებიდან მხოლოდ ბენდუქიძე არის ნახსენები, ასეთი დახასიათებით: გამოქვეყნებული ოლიგარქი. იქაც საეჭვო რეპუტაციის ხალხის სიაშია მოხვედრილი კახა ბენდუქიძე.

სხვათა შორის, ვაინაციონალები ტერიტორიებსაც ჰყიდდა რუსებს. როგორც ამბობენ, ასე გაიყვინა კოდორის ხეობა, 150 სოფელი სამაჩაბლოში, სადაც მერე ომის ინსცენირება მოაწვეს, რომ ეს ყიდვა-გაყიდვა მიექმალათ და გადაეფარათ. მინდა მოვესწრო, გაირკვეს რატომ და ვინ დაიწყო აგვისტოს ომი.

ეხლაც გაოგნებული ვარ — ომი მიდიოდა ცხინვალში და ჩვენ, პარლამენტის წევრებმა, არაფერი არ ვიცოდით.

— პარლამენტის თავმჯდომარეს ვერ ჰკითხეთ — რა ხდებოდა?

— მე — ნინო ბურჯანაძის გუნდში არასდროს ვყოფილვარ, თუმცა მასზე კარგი წარმოდგენა მქონდა.

პარლამენტის მე-7 მოწვევის არჩევნების წინ, სააკაშვილსა და ბურჯანაძეს შორის საბოლოოდ გაფუჭდა ურთიერთობა, რაც ბურჯანაძის მიერ წარდგინდა სიებს უკავშირდებოდა. მაშინ მე გვერდით დავუდექი მას, მაგრამ რაც



სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ყველას, ჰქონდათ ექსპერიმენტალური ბაზები საქართველოს რეგიონებში. მაგალითად, თელავში გვექონდა უზარმაზარი ექსპერიმენტული ბაზა დიდი შენობით, შესაბამისი კოლექტივით, ასევე, გორში, იმერეთში, აჭარაში, თავისი საცდელ-ექსპერიმენტული ნაკვეთებით. ჰქონდათ მიწებს ვამუშავებდით, ვატარებდით ცდებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ხილზე, სხვადასხვა ჯიშის მცენარეებზე და ა.შ. საქართვე-

დით და მიგვექონდა წიგნები, რომ გადაგვეჩინა, მაგრამ რამდენი უნდა წაგვედო. ძნელი იყო გარჩევა, გადარჩენა, შენახვა. რამდენიმე უნიკალური ნაშრომი და სახელმძღვანელო გარდაცვლილი მეცნიერ-მკვლევარების ოჯახებს ვთხოვეთ და იქედან წამოვიღეთ.

სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს დავით კირვალიძეს, რომელიც ახლა პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გახლავთ, ბოლო შეხვედრისას ვთხოვე, ერთ შენობაში სადმე გავერთიანდებით ეს საკვლევო ინსტიტუტები-მეთქი. მიმითითეს ბენდუქიძისკენ. შევხვდი მას. ბენდუქიძესთან ინსტიტუტის კანცლერი დამხვდა. მას ვთხოვე: 46 ქვეყანაა მსოფლიოში, რომლებიც ღვინის მწარმოებლები არიან, ყველა ქვეყანას აქვს თუნდაც ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ვაზისა და ღვინის სამშობლო ვართ, ნუ დაანგრევთ ამას-მეთქი. დამიწყო უზრდელურად ლაპარაკი. ვეღარ მოვითმინე და წამოვავლე სკამს ხელი, მეცა კანცლერი, ხელი დამიჭირა, თორემ თავში ვარტყამდი იმ სკამს. სკამი გამომართვეს, მაგრამ სახეში მივარტყი ხელი, 20 პოლიციელი შემოვარდა, სად იყო ამდენი პოლიციელი ისე უცებ, არ ვიცი. ბენდუქიძემ უთხრა: გადით, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითო, და ასე მიწყნარდა ინციდენტი.

კახა ბენდუქიძემ 6 მილიონ ლარად შეისყიდა აგრარული უნივერსიტეტი და 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თავისი ექსპერიმენტული ბაზებით, სანერგეებით და ფერმებით, მაგრამ, საბოლოოდ, გეონი, ისიც არ გადაუხდია. სააკაშვილის ბრძანებით, მას 24 თვით გადაუკადეს შესასყიდი თანხის გადახდა. 24 თვის თავზე ბენდუქიძემ 4 მლნ. ლარი გადაიხადა, მაშინ, როცა პატარა ნაკვეთი რომ გაყიდა თავისი სახელობის ინსტიტუტის გარშემო, ცეცხლის ფასად მიჰყიდა მყიდველს.

ინსტიტუტში ჩვენ გვექონდა მასპექტრომეტრი, უნიკალური აპარატურა, რომლითაც შესაძლებელია ყველა კომპონენტის გაზომვა. მასპექტრომეტრს განმარტებაში ეწერა, რომ გადატანის

ლოში 28 კატეგორიის სხვადასხვა ნიადაგია და ყველას თავისებური მოვლა სჭირდება. ჩვენ ვმუშაობდით, მაგრამ ბენდუქიძემ ერთი ხელის დაკერით გააუქმა ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი და სხვები.

ამ ინსტიტუტების შენობები თავისი ინვენტარით, ლაბორატორიები თავისი აღჭურვილობით, გაყიდა.

ჩვენი ინსტიტუტი, ყველაზე უხეში დათვლით, 200 მლნ. ლირდა, წარმოიდგინეთ, 14 ასეთი ინსტიტუტი შეისყიდა ისე, რომ ტენდერიც არ გამოუცხადებიათ.

ჩვენს ინსტიტუტს ჰქონდა უნიკალური ბიბლიოთეკა. ასევე ჰქონდა ყველა კვლევითი ინსტიტუტს, კვლევების არქივები, რომლებიც დაყარეს სატვირთო მანქანებზე და აგრარული უნივერსიტეტის დერეფანში დაახვავეს. მივდიო-

კახა ბენდუქიძე – კასი, როგორც საქართველო გაყიდა

← 15 გვ.

შემთხვევაში, შეფუთული უნდა ყოფილიყო. ბენდუქიძის დავალებით, ინსტიტუტის გაყიდვის შემდეგ აიღეს ეს აპარატი, გამოაგორეს, ჩაარახრახეს კიბეებზე დააგდეს მანქანაზე და წაიღეს გაურკვეველი მიმართულებით. ასე მოექცნენ ყველა უნიკალურ საკვლევ აპარატურას.

ზემოთაღ გითხარით, საექსპერიმენტო მიწებზე და აქაც გავიხსენებ: ჩვენს ინსტიტუტს, მაგალითად, კახეთში, ექსპერიმენტული კვლევებისთვის, სახელმწიფოსგან გამოყოფილი ჰქონდა, 28 ჰა მიწის ნაკვეთი. იქ გაშენებული იყო ისეთი ჯიშის მცენარეები, რომლებიც კახეთის მიწისა და ჰავისთვის ტიპური იყო, იქვე ფუნქციონირებდა ლაბორატორია და რაც მთავარია, იქ იყო უნიკალური ენოთეკა. ამ ენოთეკაში ინახებოდა უძველესი ღვინოები, რომლებიც, ალბათ, თითოეული ბოთლი, მილიონების ღირებულების იყო.

ასეთივე ნაკვეთები გვქონდა ქართლში, გორთან ახლოს, იმერეთში, ზესტაფონის სიახლოვეს. ინსტიტუტს ბაზებშიც ჰქონდა ისტორიული ღვინოები, მუშაობდნენ ვაზის ჯიშების კვლევაზე და განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადრე კოსტავას ქუჩაზე მდებარეობდა, იქ იყო „სამტრესიტი“. ისე გაყიდეს იქაურობა, არავის არაფერს შეეკითხნენ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში შეიჭრნენ და ეს ინსტიტუტები პატარა შენობაში გადაიტანეს, სადაც საპატრულო იყო. მივიდნენ და ინვენტარი სულ ფანჯრებიდან გადმოუყარეს. იქვე იყო საოცარი მარანი. ამბავი მომიტანეს — იმდროინდელი სოფლის მეურნეობის მინისტრის მამა ტრაბახოზი: მე ვყიდულობ მარანს და მთელ შენობას და მთავრობის სხდომის შეკრებებს ჩემთან ჩავატარებო. თანამოაზრეებთან ერთად მივიკითხ-მოვიკითხეთ და მართლაც ასე იყო თურმე განზრახული. ბევრი ვიომეთ და გადავარჩინეთ



ეს შენობა. ახლა იქ ღვინის ეროვნული სააგენტოა განთავსებული. ყველაფერმა ამან ჩემს გულში და ჩემს თვალწინ ჩაიარა. ვინ იცის, რამდენი ნერვიულობა გადავიტანე. რომ ვევიროდი: რატომ აკეთებთ ამას, გამორჩეული ქვეყანა ვართ, ნუ მოსპობთ ყოველფე ამას-მეთქი, მპასუხობდნენ: ახალ სამინისტროში შევქმნით ჯგუფსო. იმდენი ვიბრძოლეთ, რომ რაღაც ნაშთები მაინც დარჩა, თორემ საერთოდ გაუქმება უნდოდათ ღვინის ისტორიის ისე, როგორც საერთოდ, ჩვენი ქვეყნის წარსულის.

ბენდუქიძემ შპს აბასზე დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობას.

— მერე ბენდუქიძემ ხომ შექმნა აგრარული უნივერსიტეტი „კემპუსი“?

— გასაგებია, მაგრამ თუ არ არსებობს რაიმე ბაზა, არქივი, წინაპირობები, რა აზრი აქვს რაიმე სახის მუშაობას.

ეს უნივერსიტეტი ზრდის, ვთქვათ, აგრონომს, მელიორატორს, ან ზოოვეტერინარს? — არა და ვერც გაზრდიან. შეუძლებელია ცარიელი ფურცლიდან ასეთი საქმის დაწყება. დაშლილია ყველა სტრუქტურა, ორგანიზაცია, ბაზა, არქივი, კვლევა.

— ბენდუქიძემ იყიდა ყველაფერი, მაგრამ რად უნდოდა, რა უყო ამდენ შესყიდულ ობიექტს?

— ბენდუქიძემ კი იყიდა, მაგრამ მერე გაყიდა ყველაფერი. ბევრ

ადგილას დღეს ბინათმშენებლობები მიმდინარეობს და ვინ ვიდულობს ამ მიწებს ბინათმშენებლებისთვის და ვინ სახლდება იმ სახლებში, ყველას კარგად მოეხსენება. უცხოელები აშენებენ და ვიდულობენ, ძირითადად, ბინებს და სახლებს.

— თქვენ და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებმა, სამართალდამცავ სტრუქტურებს არ მიმართეთ უკანონო ყიდვა-გაყიდვის თაობაზე?

— ჩვენ ვჩიოდით, რომ არასწორად და კანონდარღვევით მიმდინარეობდა ე.წ. პრივატიზაციის პროცესები. რაკი იყიდებოდა, წესით, ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო, ეგებ ჩვენ, თანამშრომლები ვყიდულობდით, მაგალითად, ჩვენს ინსტიტუტს. მაგრამ არავინ არაფერს გვეკითხებოდა, ასე ერთი ხელის დაკავრით იყიდებოდა ყველაფერი.

სანამ ბენდუქიძემ ცოცხალი იყო, საქართველოში ის იყო ეკონომიკის მინისტრიც, სოფლის მეურნეობის მინისტრიც, ფინანსთა მინისტრიც და ყველაფერიც.

— მაგრამ ხომ ჩიოდით, ხომ იჩივლეთ?!

— დაიბარეს პროკურატურაში ბენდუქიძე. 9 საათი მიმდინარეობდა დაკითხვები. საღამოს გამოვიდა „რუსთავი-2“-ზე გადიმებული სახით და თქვა: დამკითხეს შესყიდვებთან დაკავშირებით და კმაყოფილი ვარ, რომ პროკურატურას ყველაფერი მოვახსენეო. მერე დილით პირველივე თვითმფრინავში ჩაჯდა და გაიქცა საქართველოდან. მშვენივრად მიხვდა, რომ ოთხ კედელში ამოაყოფინებდნენ თავს. ამბობენ, ინგლისში ბენდუქიძე მოკლესო.

როგორც მე ვიცი, სანამ ინგლისში გაიქცეოდა, ბენდუქიძეს ყველაფერი „დაამღერებინეს“. ამიტომ მოიშორეს ისე, როგორც პატარაკაციშვილი მოკლეს — ჯანმრთელი და საღსალამათი კაცი. ჩემი აზრით, ბენდუქიძე მოაკვლევინეს სახელმწიფო დანაშაულებების დამალვის მიზნით, ხოლო მის მიერ მიცემული ჩვენებების ტომეულეებს, ალბათ, სქელი მტვრის ფენა ადევს...

ბილნთა ხროვის საფიხვოს უსტაბაში

ლია ნერილი ბატონ შალვა ნათელაშვილს ხევისურატიდან

ეს წერილი არ დაიწერებოდა, რომ არა თქვენს მიერ ტელევიზიით საჯაროდ გაკეთებული რამდენიმე განცხადება. ერთ-ერთი საარჩევნო კამპანიის დროს კორესპონდენტის კითხვაზე, თუ ვისთან ერთად აპირებდით ბლოკის შექმნას, თქვენი პასუხი იყო: „ბილწო არ შევეკვრი ზავითაო“ და აგრეთვე ამაყი ყოფილხარ იმით, რომ ხართ არაგველების შთამომავალი.

ამჟამად, წლების შემდეგ, ალბათ, დაგავიწყდათ თქვენივე სიტყვები და თქვენს მიერ სახელდებულ ბილწო შევეკარიოთ კი არა, სულ მთლიანად თხემიდან ტერფამდე შეერწყეთ.

რამდენიმე წლის წინანდელი ბილწი ხომ გაიხლიჩ-გამოიხლიჩნენ და ამჟამად ისევე გაერთიანდნენ და უფრო ბევრი და დიდი ბილწო გროვა გახდა, ხოლო ამ გროვის შუაგულში თავად აღმოჩნდით და რა



გამოიხარით ახლა — ამ ბილწოთა გროვის საფიხვოს უსტაბაში, ანუ მთავარი, ყველაზე დიდი გადაგვარებული ბილწი? ეს რომ სხვებს ქვეყნის ძირეულ მოღალატეებს: ბოკერიებს, ვაშაძე, გოცირიძეებს და მათ მომძებებს ექმნა, წყალსამც წაუღია ყველა, მაგრამ შეინ, ჩვენი კუთხისა და მიწა-წყლის კაცის ასეთი დაცემა, რბილად რომ ვთქვათ, სირცხვილი და უხეობაა.

შალვა, აბა, კარგად მიმოიხედეთ, თქვენსავე საფიხვოში — ვინ განხვევია ირგვლივ, ზაზინისა და ბანკის ქურდები, ჯალათები და ხალხის მძარცველები, სამშობლოს გამყიდველები, ვინც ქვეყნის ერთი მეოთხედს აჩუქა რუსეთს. ყოველგვარი ქართული ფასეულობების, რწმენის, ტრადიციების მოწინააღმდეგეები — ბერძენიშვილი-უსუფაშვილები. გირჩები და ხიჭვები, რომლებიც ქართველ ახალგაზრდებს უბიძგებენ ნარკოტიკებისკენ, სამხედრო-საჯარო დეზერტირობისკენ და კიდევ ვინ იცის რისკენ. ბოლო დროს კიდევ შემოგვმატათ „გიორგი მე-13“ — დუშული მარგველაშვილი. მართალია, მან თავისი ზეობის პერიოდში ვერაფერი სასიკეთო დაატყო საქართველოს ეკონომიკასა და პოლიტიკას მაგრამ თქვენს გროვას მაინც შეაყვებს „მდიდარი სექსით“. რამდენი ერთი უხამსობა, მოღალატეობრივი ქმედება ფიქსირდება თქვენს გროვაში, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რა დეარქვათ იმას, რაც მაგათ ჩაიდინეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვართან — შარვლები ჩაიხადეს და მტერს შიშველი უკანალები მიუშვირეს, თქვენი გროვიდან კაცებისა და დედაკაცების უკანალებით მტერი, შეიძლება, მართლაც დაინტერესდეს, მაგრამ რა ჰქნას ქართველმა ხალხმა, რომელსაც უკანალებით დაცული ქვეყანა არ უნდა.

ვია თქვენი ასეთი სამარცხვინო ფერისცვალება, ყველას ახსოვს ბოლო ორ ათწლეულში თქვენი „მტრობის“ ისტორია, ოკეანის გაღმაც კი ჩადიოდით, რომ მათთვის „დექტიტე“ გვეყვიათ. ახლა რა მოხდა, რა დამსახურებით ჩამოიხსნეს „დექტიტე“ და ბილწო გროვა რატომ გადაიტაცა დამბალხაჭოს კვერებად?! ან ახლა სააკაშვილიდან რა ნექტარი ჟონავს ისეთი, მისი ყოფილი ყველა მაგინებელ-მასწვევარი მონღოლებით რომ ლოკავთ მის უკანაღს. რა ამწეზია მოგეძალათ? თქვენ ამტკიცებდით, სააკაშვილის ფსიქიკურ დაავადების დასადასტურებლად დაიმოწმებდი მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო კლინიკების დასკვნებს. ახლა გამოაჯანმრთელა უკრაინის ჰავამ? მართალია, „მისი ჯანმრთელობა“ თქვენი მტკიცების გარეშე ყველასათვის ცნობილი იყო.

ხევსურეთში უფროსი თაობისაგან გამიგონია, რომ შეუძლებელია დამოთქვამი ფეხმძიმობა, სიმთვრალე, სიბერე და სისულელე (ჭკუასუსტობა). იქნება მაშინაც თქვენი ეს „მტრობა“ მოჩვენებითი იყო და ატყუებდით ხალხს, ამიტომ ხომ არ გიხდით ხარკს სააკაშვილი რაც თქვენმა უახლოესმა პირებმა დაგიმტკიცეს.

მაინც რა არის ამ შურის, ბოროტების, სიცრუის, მიხეზი და მიხანი (თუნდაც ივანიშვილის მიმართ რომ გამოთქვამთ)... ალბათ ის, რომ ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე ვერ აგიხდათ სურვილი „პირველკაცობის“ და კიდევ კვლავ და კვლავ გრდნით განდიდების მანია, მაგრამ, ალბათ, არავის უსწავლებია თქვენთვის, რომ პირველკაცობა სხვისი ლანძღვითა და ცილისწამებით ვერ მიიღწევა.

თქვენი პირველი „ასპარეზზე“ გამოჩენის დროს ხალხი ფიქრობდა, რომ ბაზალეთის ტბისქვეშა აკვინიან მოგვევლინა ნათელაშვილის გვარის „ყმა“ და ამისგან შეიძლება რამე გამოვიდესო, თურმე ცვდებოდათ მხსენელის ნაცვლად, ჩამოყალიბდა ცრუბუნტელა, მატყუარა, მომხვეჭელი შალიკო, აწ მიშა ორად წოდებული.

როგორც საქვეყნოდ აცხადებთ, თქვენი მიზანია ხელისუფლების და ივანიშვილის დამხობა, ამიტომ შექმნილი აქამდე მწყარად მყოფთა მძური კავშირი. პატრონ შალვა, თქვენ, პირადად, როდინ ჩავიბუდდათ ბატონ ივანიშვილისადმი ასეთი შური და ზიზღი, იმით ხომ არა, რომ სააკაშვილისგან განსხვავებით, პონორარის მოწოდებანე მიიღეთ შური. აბა, სხვა რა დაგიძავთ ივანიშვილმა ან თქვენ, ან ქვეყანას, რამდენადაც მე ვიცი (როგორც ეს სამი ძმის ქართულ ზღაპრებშია) სიღარიბეში გაზრდილი ახალგაზრდა კაცი წაყვია სხვათა ქვეყანას. გამოიჩინა უნარი, იშრომა და იშოვა სახსრები. ჩამოვიდა სამშობლოში და დაიწყო დაქცეული ქვეყნის მშენებლობა საკუთარი ხარჯით. აშენებს ტაძრებს, ქალაქებს, ციხე-სოფლებს, უნივერსიტეტებს, კულტურისა და ხელოვნების ცენტრებს და კიდევ რამდენ რამეს. იქნებ თქვათ რა არ მოგწონთ თქვენ და თქვენს ბილწოთა გროვას? ივანიშვილი რომ არა, 21-ე საუკუნის ჭირი სააკაშვილი-ბოკერიების რეჟიმის სახით, უკვე ბოლოს მოუღებდა საქართველოს.

იოსებ არაბული
ხევსურეთი
სოფ. ჩხუბა



ასე უყვარს სოფლის მეურნეობა კახა ბენდუქიძეს

საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხებზე დავივიდით, თუ გადარჩენა უნერია თავისით გადარჩეს, თუ არადა დაიღუპოს, არაა პრობლემა... სოფელში მცხოვრები მამაკაცები სხვაგან წავიდნენ შავ მუშებად, ქალები კი მეძავებად, არაა ეს ჩემი პრობლემა...

მეჩაივება და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას დღემდე მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად გაიბერა.

ჩვენ 700 ათასი გლეხური მეურნეობა გვაქვს. ყველას სესხი მივცეთ? რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით ნაკლები თავის ტკივილი იქნება

ირანდა კალანდაძე
593 56 1118

ჟორიკა რურუაზე ათიოდე დღის წინ, „იმედის კვირამ“ საინტერესო სიუჟეტი მოამზადა. გადაცემიდან ცნობილი გახდა, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსამართლე მამუკა ნოზაძემ წითელი ცირკულარით ძებნილს, 2000 წლის 26 ივნისს ამერიკიდან ჩამოყვანილ კრიმინალს შვიდ თვეში დახუტულ დღეში აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა გაუსვლელობის და სათანადო ქცევის ხელშეწყობით შეუცვალა. ხოლო ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა პაატა ტყემელაშვილმა 2001 წლის 19 თებერვალს რურუას მიმართ შეწყვიტა სს დევნა და გამოძიება. აღნიშნულ პერიოდში ყოფილ მხედრონელებს დიდი მიხედვისთვის უკვე „ფიც“ ჰქონდათ მიცემული, რომ ქუჩასაც მოუგვარებდნენ და მატერიალურ სიკეთესაც არ მოაკლვებდნენ... სიუჟეტის ნახვის შემდეგ დავინტერესდები რის საფუძველზე შეუცვალა აღმკვეთი ღონისძიება მოსამართლემ ან როგორ შეწყვიტა სს საქმე გამომძიებელმა. პოი, საოცრებაც სარწმუნო წყარომ მაცნობა, რომ არჩილ გოგელიას „უწვალა“ და

საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. მისი მშობლები ყოფილი პროკურორი ელგუჯა ტყემელაშვილი და დედა ჟურნალისტი თამარ მაისურაძე დღემდე დარწმუნებულნი არიან, რომ შვილი პირდაპირი განზრახვით მოუკლეს. გამოძიება არაობიექტურად წარიმართა და ბევრ გარემოებასა თუ მნიშვნელოვან ეპიზოდს პროკურატურამ და სასამართლომ გვერდი შეგნებულად აუარა. ექიმებმა თავი იმართლეს, დეპრესიის მედიკამენტოზური ძილით მკურნალობისას, პაციენტს ინფარქტი განუვითარდა, რადგან მას ინფარქტი ადრეც ჰქონდა გადატანილი და მედიკამენტის ოდნავ გადამეტებულმა დოზამ მისი პროვიციურება მოახდინა. სინამდვილეში, პროკურორს არც ინფარქტი ჰქონდა

შეურაცხყოფას ხელი არ შეუშლია ჭეიშვილისთვის, ტყემელაშვილთან ურთიერთობა გავერძელებინა. ჭეიშვილსა და მის მეგობარს, „ციტო“-ის დირექტორს, ავთანდილ გულაშვილს შორის შედგა მოლაპარაკება 2010 წლის 31 მაისს, რომ მასთან კლინიკაში კონსილიუმის შემდეგ გლდან-ნაძალადევის პროკურორს მიიყვანდა. ამის შესახებ გულაშვილი თავის ჩვენებაში წერს. სხვათა შორის, 30 მაისს, პროკურატურის დღეს, ქალაქის პროკურორმა გადასცა ტყემელაშვილს მთავარი პროკურორის მადლობა და განზრახვა, პირადად შეხვედროდა მას. (ზურაბ ადგიშვილის ალიბი)მეორე დღეს, 31 მაისს, ისევე ჩნდება ჭეიშვილი, პაატას დისკრიმინაციისთვის ხოლო 2 ივნისს, მათ



ჰინ და რაზომ მოკლა პროკურორი პაატა ტყემელაშვილი?



დეპუტატების ხელმოწერები შეუგროვებია რურუას გათავისუფლების თხოვნა-შუამდგომლობით. (ხელმოწერების სიას უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებ)... ასე, რომ დამოუკიდებლად, მოსამართლე ვერც გამომძიებელი ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას წითელი ცირკულარით ძებნილი, პირისისხლიანი მკვლელი, „ბოროტების სამოს“ ლიდერის და თან გელა ლანჩავას პერიოდის კომენდანტურის ოფიციალური თანამშრომლის, ჟორიკას გათავისუფლების შესახებ. სწორედ ძმები რურუების დაკვეთით დააკავეს გენერალი დავით კეკუა და შემდეგ როგორც ამბობენ პირადად გაუსწორდნენ. დავით კეკუას მეუღლემ მკვლელობაში უშუალოდ ძმებ რურუებს დასდო ბრალი. რაც შეეხება გამომძიებელ პაატა ტყემელაშვილს მოგვიანებით მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის თანამდებობაზე დაწინაურდა. ოთხმოცდაათიან წლებში, სწორედ მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში მოიყარა თავი რურუას მიერ ჩადენილი მკვლელობების თუ გამოძალკვის საჩივრებმა, ჩვენებებმა და სხვა მტკიცებულებებმა. ამბობენ, მისი დიდი ნაწილი უკვალოდ გაქრა. თუმცა ჟორიკას კრიმინალად აღქმისთვის ის მცირე ნაწილიც საკმარისია, რაც დარჩა. მოწმეების ნაწილი გარდაიცვალა, დიდი ნაწილი კი მზადაა გამოძიებას დაეხმაროს... პაატა ტყემელაშვილი 2008 წელს გლდან-ნაძალადევის პროკურორად გადაიყვანეს. 2010 წელს იგი კლინიკა „ციტო“-ში

გადატანილი და, მშობლების მტკიცებით, არც დეპრესია აწუხებდა უბრალოდ, უძილობას, უგუნებობას უწიოდა, გადაღლილი იყო და დასვენება სჭირდებოდა. გამომძიების პროცესში დახატეს სურათი, თითქოს პროკურორ ტყემელაშვილს დეპრესიული აშლილობა ჰქონდა. და, მისივე დაჟინებული თხოვნით, „ციტო“-ში დაწოლა გადაწყვიტაო. საოცარია, რომ გამოძიება არც კი დაინტერესდა წინაპირობით — რატომ, როგორ, რა გარემოებების შემდეგ და ვისი რჩევით მივიდა პაატა ტყემელაშვილი „ციტო“-ში. გამომძიებელი არ არის. ამ კითხვებზე პასუხის ძებნისას, ტყემელაშვილის დედას ექიმი გიორგი ჭეიშვილი ახსენებდა, სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყოფილი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ამბულატორიული განყოფილების უფროსი, ამავე ბიუროს ექიმ-ექსპერტი, რომელიც, ტყემელაშვილის სიკვდილის შემდეგ, ლუდუშაურის საავადმყოფოს ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. დედის თქმით, სწორედ გიორგი ჭეიშვილი „შეუწნდა“ პაატა ტყემელაშვილს და „ციტო“-შიც მან მიიყვანა. ჭეიშვილი ტყემელაშვილთან რამდენჯერმე მივიდა სახლში. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, ის ტყემელაშვილის მეგობრებმა გამოაგდეს. მიზეზი ის გახლდათ, რომ ექიმი პაციენტს რაღაც გაურკვეველ აბებს სთავაზობდა, თანაც ალკოჰოლურ სასმელთან ერთად. ამ

გვიან დამით ესტუმრა. არწმუნებდა პაატას, რომ ვინმე გულაშვილი, თავისი უნიკალური აპარატურითა და უახლესი მეთოდით კურნავს ნევროსს. ჭეიშვილმა იგი მეორე დღეს, თავის ბინაში დაიბარა კონსილიუმზე“. სამ ივნისს, მეგობრის, პროფესორ მარინა გეგელაშვილის დახმარებით, ჭეიშვილმა შეძლო დაერწმუნებინა პროკურორი, დაწოლილი კლინიკაში. უთხრეს, რომ კურსი 1500 ლარი დაუჯდებოდა, სამი დღე დაიძინებდა და გაიდვიძებდა განკურნებული. მძლოლმა გამომძიების ჩვენება მისცა: „სამსაათიანი კონსილიუმის შემდეგ ჭეიშვილმა უთხრა პაატას, ორგანიზმი გაქვს დაბლოკილი და დაგეწმინდებო“. ტყემელაშვილი „ციტო“-ში 2010 წლის 4 ივნისს დაწვა. კლინიკაში შესვლისას ჭეიშვილმა გულაშვილს უთხრა, ეს არის პაატა ტყემელაშვილი, რომელზეც ადრე გუგუნებოდით. ავთანდილ გულაშვილს სურთიფიკატი ანესტეზიოლოგიაში ჰქონდა მხოლოდ 2005 წელს აკვიტომდე, საქმის მასალებითა და გულაშვილის ჩვენებით დადგენილია, რომ ასეთ პროცედურებს ატარებდა პირველად. გამოვლინდა ფსიქიატრიული პროფილის უკანონო საექიმო საქმიანობა. რაიმე გამოკვლევის ჩატარება. ხანგრძლივი მედიკამენტოზური ძილის დროს, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი არ განხორციელებულა, კლინიკაში არ იყო რეანიმაციის რაიმე ტექნიკური საშუალება. სამედიცინო აპარატურა კი ექსპლუატაციისთვის უვარგისი გახლდათ

და, საჭიროების შემთხვევაში, ხელოვნური სუნთქვის აპარატზეც კი ვერ შეაერთებდნენ. გარდაცვალების შემდეგ, სამედიცინო ექსპერტიზა მიუხედავად მოთხოვნისა, არ ჩატარდა კომისიურად, ის ერთპიროვნულად ჩატარა ექსპერტმა გრიგოლაშვილმა, ჭეიშვილის მეგობარმა. გამომძიების „დასრულების შემდეგ პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ ერთ ადამიანს, ავთანდილ გულაშვილს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით, გულაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 246-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 260-ე მუხლის I ნაწილით, 261-ე მუხლის I ნაწილით და საბოლოოდ, სასჯელის სახით განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვარის განჩინებით კი, ამნისტიის შესახებ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე, გულაშვილი გათავისუფლდა. პროკურორის მშობლებს, ლოგიკური ეჭვი გაუჩნდათ რადგან ამკარაა, რომ ჭეიშვილი-გულაშვილის გუნდს ზურგს ვიდაც უმაგრებდა, პროკურორის გარდაცვალების შემდეგ, გულაშვილი, პროტესტის გასანიჭებლად „გაწირეს“ — საზოგადოებას აჩვენეს, რომ გაასამართლეს, სავარაუდოდ მკვლელობის „ორგანიზატორი“ ციხეში კარგ პირობებს და მოკლე ხანში გათავისუფლებას შეპირდა... პროკურორის მშობლებმა ვერ მიიღეს კითხვებზე პასუხი. რატომ არ გამოიკვლია პროკურატურამ და სასა-

მართლომ ტყემელაშვილის კიევი ვიზიტი და „მენტალ ვიტაში“ ჩატარებული „მკურნალობის“ კურსი, სადაც ასევე ჭეიშვილი-კენჭაძის გვარები ფიგურირებს? არ იცოდა ჭეიშვილმა, რომ გულაშვილს არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია? რატომ არ აუხსენეს პაციენტსა და მის მშობლებს, კონკრეტულად, რა მეთოდით აპირებდნენ „ციტო“-ში მის მკურნალობას? რა განზრახვით მიიყვანეს იგი „ციტო“-ში განსაკურნებლად, ფულის გამოსაძალად, თუ მოსაკლავად? რატომ არ დაინტერესდა პროკურატურა და სასამართლო, გაერკვია, როდის, რა ვითარებაში მიიღო ტყემელაშვილმა სხეულზე დაზიანებები და ჩაუტყდა გულმკერდის ძვალი? რატომ არაა ვინ დაინტერესდა 6 ივნისს გაკეთებული მედიკამენტების ჩამონათვალითა და დოზირებით? ან ის რატომ არააინ გაარკვია, კონკრეტულად, ვინ გაუკეთა მას 6 ივნისს სასიკვდილო დოზა? ვინ მოხსნა აპარატურა 7 ივნისს? რატომ დაიშალა ტყემელაშვილის გარდაცვალების დრო? რატომ არ ჩატარდა გამოძიება ობიექტურად და რატომ არ იმსჯელა პროკურატურამ განზრახ კეთებულობის ვერსიასზე? — ეს იმ კითხვების არასრული ჩამონათვალია, რომელზეც პასუხებიც ტყემელაშვილის ჭირისუფლებმა დღემდე ვერ მიიღეს. ასე შეიწირა ნაცრეფიმმა პროკურორი რომელიც არაერთი სარწმუნო წყაროს ცნობით პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, საქმის ერთგულებით გამოირჩეოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროკურორი, რომელმაც ჟორიკა რურუას მიმართ სს საქმე შეწყვიტა, მაგრამ მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში მტკიცებულებების გაქრობა გააპროტესტა ნერვოზის დიაგნოზით „ჭ“ კლასის კლინიკაში მოხვდა და მოკლეს. დედამისი, იმედგაცრუებული და ამბობს იმ ხელისუფლებამ შვილი მომიკლა და ამ ხელისუფლებამ მკვლეელი გაათავისუფლაო. თუმცა, მისთვის დამკვეთია უფრო საინტერესო, ვიდრე შემსრულებელი. დამკვეთი კი ვინ იცის, იქნებ ციხეში ზის და ეშმაკს აღსარებას ეუბნება...



მთავარი ზარნაპი 599 52 60 30

სანაწილოდ გელა ზედელაშვილის აღსარება

მე, გელა ანზორის ძე ზედელაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1992 წელს მომანიჭა ჟურნალისტის კვალიფიკაცია. მას შემდეგ გავიდა 28 წელიწადი. 2001 წლამდე ვიმუშავე საქართველოს ტელერადიო კომიტეტში (მაშინ ასე უწოდებდნენ ამჟამინდელ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“), მუშავებდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებში. 2001 წლიდან მოყოლებული, ვმუშაობ პერიოდულ პრესაში, გამოქვეყნებული მაქვს 5 (ხუთი) ათასზე მეტი პუბლიკაცია, წერილი თუ ნარკვევი (დღევანდელმა ჟურნალისტებმა ნარკვევისა და სხვა ჟანრების შესახებ არაფერი იციან. ეს არის ფაქტებზე აგებული მხატვრული ნაწარმოები).

უკაცრავად, ამ წერილის წასაკითხად იმით არ დაგიახლოვდეთ,



რომ ჩემი ბიოგრაფია მომეყოლა... არა, საკითხის არსი მდგომარეობს შემდეგში:

ვინაიდან და რადგანაც, ქართულ ჟურნალისტიკაში თავი მოიყარეს ქარაქუცა, ანუ შემთხვევითმა ადამიანებმა, ავანტიურისტებმა, ნაძირლებმა, ფაჩალებმა, მოლაღატებმა და თაღლითებმა, კატეგორიულად ვითხოვ, სახელმწიფომ დროებით შემიჩეროს 1992 წელს ბოძებული ჟურნალისტის კვალიფიკაცია და მომანიჭოს სანტექნიკოსის სტატუსი.

რატომ მაინც და მაინც სანტექნიკოსის სტატუსი?!

იმით, რომ ეს სფერო (ჟურნალისტიკას რომ ეძახიან) გადაიქცა ნაძირლების თავშესაფრად და საკანალიზაციო სისტემად. მოგესხნებათ, საკანალიზაციო სისტემის შეკეთებას კი სჭირდება კარგი სანტექნიკოსი. მაგალითები გნებავთ? ინებეთ, ბატონებო და ქალბატონებო: ამ დღეებში თავს ხარი დამცა „ჭუტავიზის“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანის, ინგა გრიგოლიას გამოხტომამ. ესე ვიცი, ამ ე.წ. ტელევიზიის ე.წ. ჟურნალისტმა, ვინმე თამთა დოლენჯაშვილმა გადაწვიტა, ექსპერიმენტი ჩატარებინა გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე გლდანში. წარმოიდგინეთ, ბიჭი მცხეთაში მოკლეს და ეს ექსპერიმენტს ატარებს გლდანში. თურმე ე.წ. ჟურნალისტს აინტერესებდა, პატრული რამდენ წუთში მივიდოდა მასთან და დარეკა „112“-ზე, ანუ განახორციელა ცრუ შეტყობინება. ეკიპაჟი სწრაფად

გამოცხადდა ადგილზე, მაგრამ დოლენჯაშვილმა განუცხადა, ბატონებო, მოგატყუეთ, ექსპერიმენტს ვატარებ და ამიტომაც გამოვიძახეთო.

ნორმალური ტელევიზიის ნორმალური წამყვანი ბოდიშს მოიხდიდა, მწუხარებას გამოთქვამდა და იტყოდა, სხვა გზა არ გვექონდაო. თუმცა ინგა გრიგოლია და ბოდიში? პირიქით, რაიო? ჩემ ჟურნალისტს ეგ როგორ აკადრეთო? ნინო გიორგობიანი, შენც ყოფილი ჟურნალისტი ხარ, „ოცნება“ ყოველთვის არ იქნება, შენც არ იქნები მაგ თანამდებობაზე ყოველთვის!

გაიგონეთ? დაემუქრა, იცოდეთ, „ოცნება“ ყოველთვის არ იქნებაო!

რა თქმა უნდა, დედამიწაზე მუდმივად არაფერია... დადგება დრო, არც „ოცნება“ იქნება, მაგრამ რა გარანტია აქვს ინგა გრიგოლიას, რომ თვითონ იქნება?!

არადა კანონი გვეუბნება: „112“-ის გამოყენება გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის მიზნით ცრუ შეტყობინების განსახორციელებლად, რასაც შედეგად მოჰყვება შემთხვევის ადგილზე შესაბამისი საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურის გასვლა, — გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით“.

ეგრე, წესით კი უნდა დაჯარიმდეს „ჭუტავიზის“ ე.წ. ჟურ-



ნალისტი 500 ლარით, მაგრამ რა ვიცი, დაჯარიმდება? მე და თქვენ რომ ჩაგვედინა იგივე „ცოდვა“, აუცილებლად გაგვადრობდნენ ტყავსა. რატომ ვეჭვიანობ? იმით, რომ მაგ ე.წ. ტელევიზიის მეპატრონემ 19 მილიონი დოლარი გაათეთრა მამუკა ხაზარაძესთან ერთად და აქამოდვე ერთი კაპეიციც არ გადაუხდია. სწორედ მაგითომ შექმნა ვითომ ტელევიზია, საკუთარი ინტერესები რომ დაიცვას, თორემ სულ ერთ ადგილას არ ჰკიდია კვირდღეა ჭუტას თქვენი პრობლემები?!

იცით, კიდევ რატომ მსურს სანტექნიკოსად მუშაობა? აქ, ამ სფეროში, ქართულ ჟურნალისტიკას რომ ეძახიან, სულ მიყვებიან, მემუქრებიან, ყველაფერს შავად მიხატავენ, დიდიდანვე ჩამძახიან, რომ ქვეყანა დაიქცა, ჩამოინგრა, დამყაფდა, ჩაბინძურდა... ამ დროს, ეს ე.წ. ჟურნალისტები თუ მათი მეპატრონეები კაი გვარიანად „გულაობენ“ მოპარული და ბიუჯეტში გადაუხდელი ფულიებით. ნეტა განახათ მაგათი

სახლ-კარი და ცხოვრების წესი, სულაც არ ჰგვანან და არც არიან ამ ქვეყნის მოგულშემატკივარნი და ამ ქვეყანაზე მოწუხარნი. მე რომ არ გითხრათ, რა, თქვენ არ იცით? აბა, ერთი მაჩვენეთ მაგათ მიერ „ჩადენილი“ ქველმოქმედება, მაგათ მიერ დარგული ხე, თქვენთვის აშენებული შენობა... ან თუნდაც ერთი გადარჩენილი ადამიანი. აი, მათ მიერ პირიქით გაკეთებული საქმეები კი ბევრი გვინახავს... მაშინ, როცა მეთუთუნე ავთო და მევახშე მამუკა ფულებს ათეთრებდნენ, თქვენ საკუთარი ოჯახებიდან გასახლებდნენ. ახლა კი... წარმოიდგენიათ? მათ მიერ დაქირავებული ე.წ. ჟურნალისტები ეკრანებიდან სახელმწიფო მოხელეების თითებს უწვენენ, „ოცნება“ ყოველთვის არ იქნება, არც თქვენ იქნებით მაგ თანამდებობებზე და ნახათ, რაც მოგივათო. წესით, აქ უნდა ვთქვა, არავის გადაუღუნოთ-მეთქი, მაგრამ მე, უწესიერესი სანტექნიკოსი ამას ხომ არ ვიკადრებ?

იცით, კიდევ რატომ მინდა სანტექნიკოსობა? ამ სფეროში, სადაც მთელი ცხოვრება ვმუშაობ (ვერ ვიტყვი, ვმოღვაწეობ-მეთქი, როგორც მიკროფონიანი გოგო-ბიჭები აცხადებენ), რამდენიმე „ჩაჯვი“ შემოვარდა და ისეთი სუნი დააყენეს, გაჩერება შეუძლებელია. პირდაპირ გეტყვით, ესენი არიან: ჩაჯვი გვარამია, ყვერთაოზ გაბუნია, სირთაოზ მელაძე და სხვები.

ჩაჯვები ყოველდღიურად სერიან ადამიანებს და ეს ადამიანები ყოველდღიურად ამტკიცებენ, რომ არ არიან აქლემები!

როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ყველას ჰგონია, არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს სასჯელს ცილისწამების გამო. თუ კარგად წავიკითხავთ კონსტიტუციას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და კანონს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, დავრწმუნდებით, რომ



მთლად ასეც არ არის.

კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. თავი IV, მუხლი 13. პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.



მუხლი 14. პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს.

მუხლი 17. თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

„კონსტიტუცია ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის და აზრის თავისუფლება. ეს უფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სხვათა უფლებებს ლახავს“.

წაკითხეთ? თუ თქვენს უფლებებს ლახავენ, იქ შეიძლება შეიზღუდოს ცილისწამებელთა თავისუფლება, მით უმეტეს, ისეთ წუპაკთა თავისუფლება, რომლებსაც თავები კიბრიან ჰგონიან და სინამდვილეში ჩაჯვები არიან. ხომ ნახეთ, რეები იკადრეს ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის ტრაგედიასთან დაკავშირებით? ბევრი იწვალეს, ბევრი იშავდღევს, ბევრი ე.წ. ექსპერიმენტი ატარეს, ჯერ ბერა ივანიშვილზე უნდოდათ ამ ტრაგედიის მიხედვით, მერე ბიძინა ივანიშვილის მთელ ოჯახზე, მაგრამ არ გამოუვიდათ. ვიდრე რომ გაავრცელა პროკურატურამ, იქ „კაწრო“ აღმოვაჩინეთო, ბერას მშაკაცო...



სინამდვილეში ამ ვიდეოში ხაშურელი ხელოსანი აღმოჩნდა, ანუ „კაწრო“ კი არა, „პაწრო“. მას შემდეგ, რაც ექსპერტიზის პასუხები გამოქვეყნდა, რაც დადგინდა, რომ ამ ბიჭს ჯერ სცემეს და მერე წყალში დაახრჩეს, რაც დაზარალებულმა ოჯახმა ეს ბრალდება გაიზიარა, მისდგნენ და რა მისდგნენ — შვილი გაყიდესო, ხელისუფლებისგან ფული აიღესო. იცით, რატომ მისდგნენ? ეს ადამიანები ვერ გამოიყვანეს ქუჩაში, ვერ გაამართინეს აქციები, როგორც ხორავას ქუჩის ტრაგედიისას მოხდა, ვერ ალანდინენ ბიძინა ივანიშვილი, ვერ შეასრულებინეს თაღლით სააკაშვილის გეგმა და ამიტომ. ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა გარდაცვლილ შაქარაშვილის ბიძა — მირიან ნიკოლაძე, ახლოს არ გაიკარა თანსირები და საკითხს მიუდგა ცივი გონებით. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ესენი, ეს თანსირები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ჟურნალისტიკასთან, მაგრამ მაინც ამ სფეროში ეტეხებიან, არ გაჩერდებიან, ისევ გააგრძელებენ ადამიანებისა და ოჯახების გასვრას.

იცით, კიდევ რატომ მინდა სანტექნიკოსობა? ბოლო დროს ხშირად მუშაობიან, შენ სერიოზული ჟურნალისტი ხარ, გინება არ გეკადრებაო და მეც პერიოდულად ვკომპლექსდები ხოლმე. პოდა, ამიერიდან ეგეთ რაღაცას ვეღარ მეტყვიან, სანტექნიკოსს სწორედაც რომ შეეფერება გინება. მით უმეტეს, არჩევნების პერიოდში. თუ მეტყვიან, შენ სერიოზული სანტექნიკოსი ხარ, გინება არ გეკადრებაო, მაშინ... რა ვიცი, სხვა პროფესიულ კვალიფიკაციას მოვითხოვ... მაგალითად, მეჩურტრუკის. ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის მოვლენებს შევაფასებ სანტექნიკოსის პოზიციიდან, ანუ შემოგთავაზებთ ხოლმე სანტექნიკოსის თვალთ დანახულ იკლიკანტურ ამბებს. იმედია, როდისმე ქართული ჟურნალისტიკაც გასუფთავდება სიმყრალისაგან და ისევ დაებრუნდება პატივისცემით,

გელა ზედელაშვილი
სანტექნიკოსი
555 48 48 61



ქაოსი, რომელმაც დღეს მსოფლიოში დაისადგურა ფართოდება. მრავლისმნახველ პოლიტოლოგებსაც უჭირთ შეფასება თუ რა სახის კრიზისთან გვაქვს საქმე — პოლიტიკურთან, ეთნიკურთან, რასობრივთან... კვლავ რთულია ვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში. არეულობის შესაჩერებლად, დემოკრატი გუბერნატორები და მერები კვლავ უმოქმედოდ არიან, არაფერს აკეთებენ, დემონსტრანტების წახალისებასაც ცდილობენ. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება.

აშშ-ი მასობრივად აყალიბებენ არაფორმალურ შეიარაღებულ ფორმირებებს, როგორც შავკანიანი, ასევე თეთრი მოსახლეობა. ცეცხლსასროლი იარაღის შოვნა ნამდვილად არ გაუჭირდებათ. როგორც უკვე წინა ნომრებში ვწერდით, ოფიციალური მონაცემებით ყოველი 100 ადამიანზე 120 ცეცხლსასროლი იარაღი დარეგისტრირებული, არაღრეგისტრირებულია, ამის დადგენა შეუძლებელია.

აშკარა გახდა, რომ შავკანიანი მოსახლეობის ნაწილი ძალაუფლების ხელში ადებს და ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლას ძალის, კონკრეტულად საბრძოლო იარაღის გამოყენებით ცდილობს. ამერიკელი ექსპერტების ნაწილი შიშობს, რომ ქვეყანაში მოხდება სომალიზაცია. „დღეს ამერიკელები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ“ — დიად აცხადებენ პოლიტოლოგები. იმასაც აღნიშნავენ, რომ აშშ-ი სისხლიანი ქაოსის ზღვარზეა. ამის წინაპრობები უკვე გამოჩნდა. შეიარაღებულ შავკანიანთა ხელთ ქვეყანაში უკვე ოთხი შავკანიანი ბავშვი დაღუპული, რის გამოც მოძრაობას „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“, დაზარალებულთა ოჯახის წევრები და ახლობლები დაუპირისპირდნენ.

შედეგებზე, რომელიც ქაოსს და არეულობას მოყვება, ნაკლებად ვინმე თუ ფიქრობს. „... სკოლებში, პრესაში მემარცხენე ფაშიზმმა დაისადგურა“ — გულდაწყვეტილმა თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა. „დღეს აშშ-ი თაობათა ცვლა მიმდინარეობს. ახალგაზრდობას, რომელიც ბაიდენს უჭერს მხარს, ჰუმანიტარული განათლება არ მიუღიათ. სამწუხაროდ ქვეყანაში დღეს უცოდინარობამ დაისადგურა და ამიტომ ხდება მსგავსი მოვლენები. ბოლო მონაცემებით ქვეყანაში უკვე 160-ზე მეტი ადამიანი დაღუპული სროლების შედეგად. აშშ-ი განუკითხაობა სუფევს, სიტუაცია

აშშ სისხლიანი ქაოსის ზღვარზეა

რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს?

კონტროლიდან გამოსულია. პრეზიდენტ დონალდ ტრამპს მოუწევს ეკონომიკური ცვლილებების განხორციელება და იმ გამოსავლის პოვნა, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს“ — აცხადებს ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კოვიდ-19 ბობოქრობს და ყოველდღიურად ათეულობით ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება, ტრამპის საწინააღმდეგო მასობრივ აქციებზე უარს არ ამბობენ, გასულ კვირას ნიუ-იორკში, „ტრამპაუერის“ წინ, მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ წევრებმა ყვეთელი საღებავით დაწერეს ლოზუნგი. მათ გულმოდგინედ ეხმარებოდა ქალაქის დემოკრატი მერი. ამის გამო მოსახლეობის, მათ შორის შავკანიანების რისხვა დაიმსახურა. „... ბაიდენს და მის მომხრეებს აშშ-ი ურთ დაამყარონ სოციალიზმი პლიუსით“ — აცხადებს დონალდ ტრამპი.

როგორ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ი ძნელია პროგნოზირება. სადღეისო მონაცემებით ჯო ბაიდენი დონალდ ტრამპს რეიტინგში 14 პროცენტით ესწრება. თუმცა, პოლიტოლოგები ამ გარემოებას მნიშვნელობას არ ანიჭებენ. 2016 წელსაც პილარი კლინტონი გამოკითხვებით უსწრებდა, მაგრამ ტრამპმა გაიმარჯვა. ამის გარდა, აშშ-ი გამოჩნდა პრეზიდენტობის კიდევ ერთი მსურველი — მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი ხოუი ხოფინსი, რომელიც 68 წლისაა. საინტერესოა, კიდევ რამდენი ადამიანი იქნება აშშ-ის პრეზიდენტობის მსურველი.

დღეს აშშ-ი 50 მილიონი შავკანიანი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ დაიწყეს თეთრკანიანი უმრავლესობისთვის თავიანთი პირობების წაყენება. ამაში მათ ხელს იქაური პრესა უწყობს. განვითარებული

მოვლენების, არეულობების მიზეზად დონალდ ტრამპს წლების მანძილზე გატარებული არასწორი იდეოლოგია მიაჩნია. თუმცა, არ აზუსტებს რას გულისხმობს. პოლიტოლოგებმა კი გაიხსენეს ისტორიული ფაქტი. აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი და მე-3 პრეზიდენტი ტომას ჯეფერსონი მოითხოვდა შავკანიანების მონობიდან განთავისუფლებას და უკან, აფრიკაში მათ დეპორტაციას, თუნდაც ძალის გამოყენებით. (მაშინ აშშ-ი 1,5 მილიონი შავკანიანი იყო). ჯეფერსონს მიაჩნდა, რომ შავ რასასთან თეთრების თანაცხოვრება, თუნდაც ათწლეულების შემდეგაც შეუძლებელი იქნებოდა...

უცნაურია, მაგრამ დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგეთა რიგებს მისი მძივილი შეუერთდა. პროფესიით ფსიქოლოგმა გამოსცა წიგნი სათაურით: „როგორ შექმნა ჩემმა ოჯახმა მსოფლიოში ყველაზე საშიში ადამიანი“. ავტორის სიტყვებით დონალდმა თურმე გაანადგურა მისი უფროსი ძმა. ერთხელაც არ ახსენებს ავტორი დადებითად საკუთარ ბიძას. თუმცა, ნაშრომმა ვერ პოვა ის გამომხატურება, რასაც ავტორი მოელოდა. მიუხედავად შეტევებისა, პოლიტოლოგების განცხადებით, დონალდ ტრამპი საკმაოდ კარგ ფორმაშია.

ჩვენი, ქართველი პოლიტიკოსების ყურადღების მიღმა დარჩა მეზობელ რუსეთში მომხდარი ფაქტი. 4 ივლისს ძალაში შევიდა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუ-



ტერეკოვამ კი მოითხოვა პრეზიდენტის არჩევნისთვის დაწესებული რეგლამენტის გაუქმება. პუტინი მაშინვე უმაღ დაეთანხმა, ტერეკოვას წინადადებაზე კი განაცხადა მოსახლეობამ რეფერენდუმზე გადაწყვიტოს. რეფერენდუმში მონაწილეობა 78 პროცენტმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს.

რეფერენდუმის შედეგად პუტინმა ფაქტორივად დაასამარა იაპონელებისა და უკრაინელების იმედი — დაიბრუნებდნენ თავიანთი ტერიტორიებს კურლიის კუნძულებისა და ყირიმს. ტერიტორიების გასხვისებაზე საუბარიც კი რუსეთში ახლა ექსტრემიზმთან გაიგივდა და სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

ჩვენ რა შუაში ვართო, შესაძლოა იკითხოს მაგანმა, რაც დიდი შეცდომა იქნება. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბედ-იღბალი, აგერ უკვე ათწლეულებია ბურუსით არის მოცული. დიახ, არავინ უარყოფს და აშკარაა, რომ ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე ქართული ტერიტორიების გასხვისებაში ნაცბანდა და მისი მღვებე ლიდერი სააკაშვილია. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციების იმედზე და რუსეთთან უბრაოდ ყოფნას ამ-

ჯობინებს. სხვისი ხელით ჩვენს საქმეს ვერ გადაკეთებთ, მით უფრო, როდესაც დღეს მსოფლიოში საერთაშორისო სამართალი აღარ მუშაობს, იგნორირებულია. მაგალითისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაც გამოდგება. იგივე ყირიმის საკითხზე დღეს აღარავინ საუბრობს, რადგან არავის უნდა რუსეთთან დაპირისპირება.

რუსეთის დუმის დეპუტატი კონსტანტინე ზატულინი არ გამორიცხავს აფხაზეთისა და ცხინვალში რეფერენდუმის ჩატარებას, სადაც იქაურები მოითხოვენ რუსეთის ფედერაციაში შესვლას.



გიგა ბურღული
551 71 27 07

ამერიკის დამოუკიდებლობის დღის მისალოცი აქცია რუსთაველის გაგზირზე, თბილისში...

ამერიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ დონალდ ტრამპს მისი მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე მოძრაობა „ერის უფლება და ღირსება“ და სრულიად საქართველოს ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის წარმომადგენლებმა, ოთხი ივლისის საღამოს, რუსთაველის გამზირზე, ქაშვილის ეკლესიის წინ, ყველა დაბრკოლების ძლევისათვის ლოცვით და ქაშვილის ეკლესიის წინ გამოფენილი პლაკატებით მიულოცეს.

მისი აღმატებულება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ბატონი დონალდ ტრამპი ის პირველი კაცია მსოფლიოში, რომელმაც ამხილა მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგია, როგორც სამშობლოების უარყოფითი იდეოლოგია. ბატონი ტრამპი ის პირველი პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების, რომელმაც თავად ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ქვეყნის



მსოფლიოს ეზენაესი ტრიბუნიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, აშშ-ს პრეზიდენტმა, მისმა აღმატებულებამ, ბატონმა დონალდ ტრამპმა ასე მიმართა მსოფლიოს ხალხებს: „თუ გსურთ თავისუფლება, იამაყეთ საკუთარი ქვეყნით! თუ გსურთ დემოკრატია, უპატრონეთ

სოროსი მზად, დაუნგრის და დაუშალოს ტრამპს მისი საყვარელი სამშობლო ამერიკა! დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მაძიებელმა ქართველმა ხალხმა, რომელმაც შინაარსისა და მიზანდასახულების გაუცნობიერებლად დაწერა თავისი ქვეყნის დამანგრეველი ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების“ თეორია, როგორც თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეოლოგია, ბატონი სოროსის თანამოაზრისა და თანალოყელის, ბატონი ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ გზით, დღეს უნდა გააკეთოს არჩევანი სამშობლოს სიყვარულსა და სამშობლოს უარყოფას შორის.

ვულოცავთ ამერიკის პრეზიდენტს მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს და ვუსურვებთ ყველა წინააღმდეგობის დაძლევის ძლევით საკვირველით.

დენიზა სუმბაძე

თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის „ერის უფლება და ღირსება“, სრულიად საქართველოს „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“, ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



თვითმყოფადობის საკითხი დააყენა, მშობლიური ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ნამდვილი დამოუკიდებლობის ზარები დაარისხა და მსოფლიოს ხალხებს საკუთარი ქვეყნების ნამდვილი დამოუკიდებლობის ფლობისაკენ მოუწოდა. აშშ-ს პრეზიდენტი ის პირველი კაცია მსოფლიოში, რომელმაც კაცობრიობას უთხრა, რომ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების“ დაწერვამ მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიად და სამშობლოს გამოცხადებამ „ჩაკეტულ საზოგადოებად“, ადამიანებს დაუკარგა სამშობლოს სიყვარულის უფლება. სამშობლოს სიყვარულის დაკარგვა კი მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს, რადგან, რეალურად, სამშობლოს სიყვარულის უფლების დაკარგვა ხალხების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ცხოვრების უარყოფას ისხამს თავის უშუალო ნაყოფად.

2019 წლის 24 სექტემბერს,



ყველა გულისხმიერ ადამიანს ვთხოვ, გულთან მიიტანოს ჩემი გასაჭირი

უნივერსალ „თბილისში“ ვიმუშავე 30 წელიწადი საწყობის გამგედ, ადმინისტრატორად და სექციის გამგედ. ყველა პოზიციაზე თავდადებულად ვმუშაობდი და საუკეთესო ავტორიტეტი მქონდა. ერთ დღეს ერთმა ჩემმა თანამშრომელმა, რომელსაც შვილად ვთვლიდი, მაღაზიაში ახალი სექცია გახსნა და მთხოვა: იქნება მიშოვნო თანხა სექციის გასამართადო. მე ვუსესხე ეს თანხა პროცენტით, რომლის გადახდა შემდეგ ისევ მე მომიწია. ამ თანხაში სულ 22 000 დოლარის გადახდა მომიხდა — გავყიდე სახლი, ავეჯი, ყველაფერი, რაც გამაჩნდა. დავრჩი ქუჩაში, უფლის ამარა. სოლოლაკში, ასათიანის ქუჩაზე, პრესის ურიკასთან ვდგავარ და ღია ცის ქვეშ, წვიმასა და ქარში გაზეთებს ვყიდი. ამ ქუჩაზე ყველა მიცნობს და პატივს მცემს, რადგან პატიოსნად ვმუშაობ და არავის ცუდს არ ვუკეთებ. ჩემი დადებითი სახელის წყალობით, ბევრი მენდობა და არჩევნების წინ ჩემზე უკეთესი აგიტატორი „ოცნებას“ უბანში არ ჰყავს. 2011 წლიდან ვუჭერ მხარს ჩვენს ახლანდელ მთავრობას, უდიდესი პატივისცემით ვარ განწყობილი ბატონი გიორგი გახარიასადმი, ასევე კახა კალაძის მიმართ. ჩემი დიდი სიყვარული გადაეცით ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მინდა მას მოგვიანებით მივულოცო დაბადების დღე და შვილიშვილის შექმნა. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს და გამძლეობა მისცეს. გააძლეების ამდენი მტრის გარემოცვაში.

ახლა მუხლმოდრეკით მინდა ვთხოვო მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატს, შესანიშნავ ადამიანს, ბატონ ლადო კახაძეს, გულთან მიიტანოს ჩემი გასაჭირი. ბატონ ლადოსთან ერთად ყველა გულისხმიერ ადამიანს ვთხოვ, იქნება რაიმე მიშველოთ, უფალი დაგლოცავთ, უსახლკარო ადამიანის დახმარებისთვის.

მანანა გურგენაშვილი
555 98 61 11
„ლიბერთი ბანკი“ 01003003165

დავალაგებ შეღავათიან ფასებში სახლებს,
ოფისებს, ბინებს რემონტის შემდეგ და ა.შ.
599 80 82 31. ია

სახალხო გურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო ნამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიარტრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილებს დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

ნამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მის მუშაობის დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ. №2 (მეტრო ნარაიშვილისთან) ტელ: 551 50 89 07

„საერთო გაზეთის“ თანამშრომელს ლევან ბოჭორიშვილს ვუსამძიმრებთ ცოლის მის

გაგზავს გიგაურის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძობთ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 16 ივლისს, 14 საათზე. მისამართი: თბილისი, გვაზაურის I ჩიხი N14. (კინოთეატრ „საქართველოსთან“).

„სამართო გაზეთის“ რედაქცია

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამოცემა შეზღუდულია
შპს „ელგა-ჯი“-ს მფლობელი
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983

